N 04/91
28/06/2022

ბრძანება

91-01-4-202206281050

საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2021 წლის 25 ივნისის №04/65 ბრძანების შესაბამისად განხორციელებული საქმის მოკვლევის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების დამტკიცების შესახებ

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის, მე-17[1] მუხლის მე-4 პუნქტის, მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის, მე-18 მუხლის პირველი პუნქტის ,,ზ[2]“ ქვეპუნქტის, „საქმის მოკვლევის წესის და პროცედურის დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 28 ოქტომბრის № 40 ბრძანების 29-ე მუხლის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს მოკვლევის ჯგუფის მიერ წარმოდგენილი - გადაწყვეტილება ,,სს „საქართველოს სადაზღვევო ჯგუფის“ საჩივრის დასაშვებად ცნობის, მოკვლევის დაწყებისა და მოკვლევის ჯგუფის შექმნის შესახებ“ საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2021 წლის 25 ივნისის №04/65 ბრძანების შესაბამისად განხორციელებული საქმის მოკვლევის თაობაზე - თანდართული სახით.

2. არ დადასტურდეს შპს ,,ჯეო ჰოსპიტალსის“ (ს/ნ 404907730) მხრიდან ,,კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მეორე პუნქტის ,,ა“, ,,ბ“ და ,,გ“ ქვეპუნქტების დარღვევის ფაქტი.

3. არ დადასტურდეს სს „რისკების მართვისა და სადაზღვევო კომპანია გლობალ ბენეფიტს ჯორჯიას“ (ს/ნ 404526777) მხრიდან ,,კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მეორე პუნქტის ,,ა“, ,,ბ“ და ,,გ“ ქვეპუნქტების დარღვევის ფაქტი.

4. შპს ,,ჯეო ჰოსპიტალსმა“ (ს/ნ 404907730) სს ,,საქართველოს სადაზღვევო ჯგუფის“ (ს/ნ 405206566) მიმართვის შემთხვევაში, განიხილოს ამ უკანასკნელისთვის შაბათ დღეს ოჯახის ექიმის მომსახურების მიწოდების საკითხი და შესაბამის კომერციულ პირობებზე შეთანხმების მიღწევის შემთხვევაში, თანაბარ და არადისკრიმინაციულ პირობებში, უზრუნველყოს შესაბამისი ხელშეკრულების დადება.

5. შპს ,,ჯეო ჰოსპიტალსს“ (ს/ნ 404907730) დაევალოს, ამ ბრძანების მე-4 პუნქტით გათვალისწინებული ქმედების განხორციელების თაობაზე წერილობითი ინფორმაცია მიაწოდოს სააგენტოს, მისი განხორციელებიდან 1 თვის ვადაში.

6. საქართველოში მოქმედი ყველა სამედიცინო დაწესებულების (ამბულატორიული მომსახურების ნაწილში) მიმართ გაიცეს განსახილველად სავალდებულო რეკომენდაციები.

7. დამტკიცებული გადაწყვეტილება გადაეგზავნოს როგორც მომჩივანს, ასევე მოპასუხე მხარეებს.

8. გადაწყვეტილება მისი მიღებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში გამოქვეყნდეს სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვით.

9. ამ ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64).

10. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

საფუძველი: მოკვლევის ჯგუფის 2022 წლის 24 ივნისის № 03/129 მოხსენებითი ბარათი

ირაკლი ლექვინაძე

თავმჯდომარე

საქართველოს
კონკურენციის
ეროვნული სააგენტო

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

,,სს „საქართველოს სადაზღვევო ჯგუფის“ საჩივრის დასაშვებად ცნობის, მოკვლევის დაწყებისა და მოკვლევის ჯგუფის შექმნის შესახებ“ საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2021 წლის 25 ივნისის №04/65 ბრძანების შესაბამისად განხორციელებული საქმის მოკვლევის თაობაზე

(სს „საქართველოს სადაზღვევო ჯგუფის“ (ს/ნ 405206566) საჩივარი - „ჯეო ჰოსპიტალსის“ (ს/ნ 404907730) და მასთან დაკავშირებული სს „რისკების მართვისა და სადაზღვევო კომპანია გლობალ ბენეფიტს ჯორჯიას“ (ს/ნ 404526777) მიერ ,,კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის სავარაუდო დარღვევის ფაქტზე)

თბილისი
2022

სარჩევი

I. აღწერილობითი ნაწილი 3

1.1. საჩივრის შინაარსი 3

1.2. მოპასუხეთა პოზიცია 6

1.3. სააგენტოს მიერ დამატებით მოპოვებული ინფორმაცია 9

1.3.1. მომჩივანისგან დამატებით მიღებული ინფორმაცია 9

1.3.2. მოპასუხეებისგან დამატებით მიღებული ინფორმაცია 11

1.3.3. ადმინისტრაციული ორგანოებისგან და მესამე პირებისგან მიღებული ინფორმაცია 13

1.3.4. ახსნა-განმარტებითი სხდომები 16

1.3.5 საკონსულტაციო შეხვედრები 21

II. ნორმატიული რეგულირება 23

2.1. კონკურენციის კანონმდებლობა 23

2.2. სამედიცინო სადაზღვევო მომსახურების სამართლებრივი რეგულირების ჩარჩო ნორმა 27

2.3. ამბულატორიული (მ.შ. ოჯახის ექიმის) მომსახურების სამართლებრივი რეგულირება 28

III. შესაბამისი ბაზარი 30

3.1. შესაბამისი ბაზრის განსაზღვრა 30

3.2. შესაბამის ბაზარზე მოქმედი სუბიექტები და საბაზრო წილები 37

IV. სააგენტოს შეფასება 48

4.1. ერთიანი ეკონომიკური სუბიექტის დოქტრინა 48

4.2 დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენება - ზოგადი მიმოხილვა 62

4.3. მიწოდებაზე უარი 67

4.4. ექსკლუზიური გარიგება 71

V. სარეზოლუციო ნაწილი 78

VI. რეკომენდაციები 79

I. აღწერილობითი ნაწილი

1.1. საჩივრის შინაარსი

2021 წლის 14 მაისს საქართველოს კონკურენციის ეროვნულ სააგენტოში (შემდგომში - **„სააგენტო“**) წარმოდგენილ იქნა სს „საქართველოს სადაზღვევო ჯგუფის“ (ს/ნ 405206566) (შემდგომში - **„მომჩივანი“**) საჩივარი (რეგ: № 01/744) შპს „ჯეო ჰოსპიტალსის“ (ს/ნ 404907730) (შემდგომში - **შპს „ჯეო ჰოსპიტალსი“**) და მასთან დაკავშირებული სს „რისკების მართვისა და სადაზღვევო კომპანია გლობალ ბენეფიტს ჯორჯიას“ (ს/ნ 404526777) (შემდგომში **- სს „გლობალ ბენეფიტს ჯორჯია“**) მიერ ,,კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - „კანონი“) მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „ბ“ ქვეპუნქტისა და „გ“ ქვეპუნქტის სავარაუდო დარღვევის ფაქტზე.

როგორც მომჩივანი მიუთითებს, შპს „ჯეო ჰოსპიტალსი“ და სს „გლობალ ბენეფიტს ჯორჯია“ წარმოადგენენ ურთიერთდაკავშირებულ პირებს (single economic entities), რომლებიც ე.წ. ,,კავშირებს“ ბოროტად იყენებენ და ცდილობენ სახელმწიფო შესყიდვების ფარგლებში მომჩივანის დისკვალიფიკაციას, მის საწინააღმდეგოდ ისეთი ქმედებების განხორციელებითა და გადაწყვეტილებების მიღებით, რომლებიც ზღუდავენ მომჩივანს და აყენებენ არასამართლიან პირობებში სხვა კონკურენტებთან შედარებით.

მომჩივანი განმარტავს, რომ მისი მხრიდან ორი მოპასუხის დასახელება შეესაბამება ევროპულ პრაქტიკას, კერძოდ, მომჩივანი ასახელებს *Deutsche Telekom AG v European Commission*-ის საქმეს, რომელშიც პასუხისმგებლობა დაეკისრა როგორც დომინანტ კომპანიას, ასევე, მის დედა კომპანიას, ამ უკანასკნელის მიერ უშუალო მართვისა და ზედამხედველობის განხორციელების გამო, რასაც მომჩივანი მოცემულ საქმეში წარმოდგენილი გარემოებების იდენტურად მიიჩნევს.

მომჩივანმა 2020 წელს მონაწილეობა მიიღო სახელმწიფო ტენდერში, რომელშიც იგი გამოცხადდა გამარჯვებულ პრეტენდენტად (შესყიდვის ნომერი: SPA20002568). მომჩივანის მითითებით, აღნიშნული შედეგი ორჯერ იქნა გასაჩივრებული სს „გლობალ ბენეფიტს ჯორჯიას“ მიერ:

1. **პირველი სატენდერო საჩივარი** - საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სატენდერო კომისიის 2020 წლის 20 ნოემბრის სხდომის ოქმზე (N 2) დაყრდნობით, ფორმალურ საფუძვლებსა და იმ არგუმენტზე მითითებით, რომ სატენდერო დოკუმენტაციის დაზუსტება წარმოადგენდა არსებით ცვლილებას, რაც თავის მხრივ, გაზრდიდა შესყიდვის ფასს. შესაბამისად სს „გლობალ ბენეფიტს ჯორჯიას“ პოზიციით, უნდა მომხდარიყო პრედენტენტის დისკვალიფიკაცია. დავების განხილვის საბჭომ ნაწილობრივ დააკმაყოფილა

საჩივარი და დაავალა საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს 2020 წლის 20 ნოემბრის სხდომის ოქმი N 2-ით მიღებული გადაწყვეტილების გადასინჯვა, რის შედეგადაც სს „გლობალ ბენეფიტს ჯორჯიას“ პოზიცია, საბოლოოდ არ იქნა გაზიარებული და დასადებ ხელშეკრულებაზე ხელმოსაწერად მოწვეულ იქნა გამარჯვებული პრეტენდენტი - მომჩივანი.

2. **მეორე სატენდერო საჩივარი** - შემსყიდველისთვის არასწორი ინფორმაციის მიწოდების საფუძვლით, კერძოდ, მომჩივანის მიერ თავდაპირველ შეთავაზებაში ატვირთულ იქნა დოკუმენტი, სახელწოდებით SPA20002568_დანართი 7 ოჯახის ექიმები, სტომატოლოგიურები, სასწრაფოები, ანაზღაურების ოფისი.pdf, რომელშიც მომჩივანი შემსყიდველ ორგანიზაციას ქალაქ მარნეულის მუნიციპალიტეტის შპს „ჯეო ჰოსპიტალსის“ სამშობიარო და ამბულატორიულ ცენტრში შაბათ დღეს 10 სთ-დან 17 სთ-მდე ოჯახის ექიმის მომსახურებას სთავაზობს. სს „გლობალ ბენეფიტს ჯორჯიას“ მითითებით, აღნიშნული მომსახურებით მთელი 2020 წლის განმავლობაში მისი ბენეფიციარები სარგებლობდნენ ექსკლუზიურად, ხოლო 2021 წლის პერიოდში ასევე მხოლოდ მის დაზღვეულ პირებს ექნებოდათ ოჯახის ექიმის მომსახურებით შაბათ დღეს სარგებლობის შესაძლებლობა. ამ უკანასკნელი გარემოების მტკიცებულებად სს „გლობალ ბენეფიტს ჯორჯიამ“ წარმოადგინა შპს „ჯეო ჰოსპიტალსის“ საოპერაციო დირექტორის მიერ ხელმოწერილი 2020 წლის 02 დეკემბრით დათარიღებული წერილი (შემდგომში - **„02/12/2020 წერილი“**), რომელშიც აღნიშნულია, რომ *„2020 წლის განმავლობაში და 2021 წელს მოქმედი ხელშეკრულების ფარგლებში, მხოლოდ სს „გლობალ ბენეფიტს ჯორჯიას“ დაზღვეულები სარგებლობენ/ისარგებლებენ ექსკლუზიურად ოჯახის ექიმის მომსახურებით შპს „ჯეო ჰოსპიტალსის“ - მარნეულის სამშობიარო და ამბულატორიულ ცენტრში, ასევე, გარდაბნის მრავალპროფილურ ცენტრში, შაბათ დღეს 10 სთ-დან 17 სთ-მდე.“* აღსანიშნავია, რომ სატენდერო კომისიის 2020 წლის 24 დეკემბრის გადაწყვეტილებით მოცემული საჩივარი არ იქნა დაკმაყოფილებული.

როგორც აღინიშნა, მომჩივანი მიუთითებს, რომ სს „გლობალ ბენეფიტს ჯორჯია“ და შპს „ჯეო ჰოსპიტალსი“ წარმოადგენენ ურთიერთდაკავშირებულ პირებს, კანონის მე-3 მუხლის „ლ“ ქვეპუქტის შესაბამისად და მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში მათი ქმედებები უნდა შეფასდეს ე.წ. ,,ერთიანი ეკონომიკური აგენტის დოქტრინის“ საფუძველზე. კერძოდ, მომჩივანი განმარტავს, რომ: 1. შპს „ჯეო ჰოსპიტალსის“ 100 %-იანი წილის მფლობელი პარტნიორის - შპს ,,ქართულ ჰოსპიტალთა ჯგუფის“ (ს/ნ 405322182) დირექტორი და 50%-იანი წილის მფლობელი წარმოადგენს სს „გლობალ ბენეფიტს ჯორჯიას“ დამფუძნებელი აქციონერის - შპს ,,ჯეო ინვესტმენტსის“ (ს/ნ 404524225) დირექტორსა და 100%-იანი წილის მესაკუთრეს (დავით ბეჟუაშვილი პ/ნ: [redacted]). 2. შპს „ჯეო ჰოსპიტალსის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე/წევრი არის სს „გლობალ ბენეფიტს ჯორჯიას“ ერთ-ერთი პარტნიორი, დამფუძნებელი და იმავდროულად სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე/წევრი (ნინო კობახიძე პ/ნ: [redacted]); 3. შპს „საქართველოს

ინდუსტრიული ჯგუფის“ დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარეს წარმოადგენს სს „გლობალ ბენეფიტს ჯორჯიას“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე (დავით ბეჟუაშვილი, პ/ნ [redacted].

მომჩივანი აღნიშნავს, რომ **„ერთ კონკრეტულ ტენდერში უპირატესობის მოპოვების მიზნით ურთიერთდაკავშირებული კომპანიები მოქმედებენ შეთანხმებულად და მათ ხელთ არსებული საშუალებით ცდილობენ კონკურენტი კომპანიის საქართველოს სადაზღვევო ჯგუფის ტენდერიდან ჩამოცილებას“.** მომჩივანის აზრით, 02/12/2020 წერილი და შპს „ჯეო ჰოსპიტალსის“ მიერ მომჩივანთან გაფორმებული სამედიცინო მომსახურების ხელშეკრულების შეწყვეტის 30/11/2020 წერილი (შემდგომში - **„30/11/2020 წერილი“**) სწორედ ამ მოტივს უკავშირდება. კერძოდ, მომჩივანი 02/12/2020 წერილზე უთითებს, რომ ამ უკანასკნელის წარდგენის შესაძლებლობა სს „გლობალ ბენეფიტს ჯორჯიას“ სატენდერო კონკურსის შედეგის პირველ ჯერზე გასაჩივრების დროსაც გააჩნდა, რადგან საჩივარზე გადაწყვეტილება წერილის მიღების შემდეგ, 2020 წლის 9 დეკემბერს იქნა მიღებული. ამასთან, 30/11/2020 წერილთან მიმართებით მომჩივანი აღნიშნავს, რომ ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტა ემსახურება სს „გლობალ ბენეფიტს ჯორჯიას“ უპირატეს მდგომარეობაში ჩაყენებას. ყოველივე აღნიშნული საჩივარში შეფასებულია, როგორც არაეთიკური და არაკოლეგიალური მეთოდი, რომელიც მომჩივანის დისკვალიფიკაციას ემსახურება, განსაკუთრებით, პირველი საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შემდეგ.

მომჩივანი შესაბამისი პროდუქციული ბაზრის იდენტიფიცირებისას განმარტავს, რომ საქმე ეხება შპს „ჯეო ჰოსპიტალსის“ მიერ მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი მარნეულის სამშობიარო და ამბულატორიული ცენტრის, ასევე, გარდაბნის მრავალპროფილური ცენტრის მიერ ექსკლუზიურად მხოლოდ სს „გლობალ ბენეფიტს ჯორჯიას“ (შპს „ჯეო ჰოსპიტალსთან“ ურთიერთდაკავშირებული პირის) მიმართ სერვისის მიწოდებას.

მომჩივანი შესაბამისი ბაზრის გეოგრაფიულ საზღვრად ასახელებს მარნეულის მუნიციპალიტეტსა და გარდაბნის მუნიციპალიტეტს, იმდენად, რამდენადაც შპს „ჯეო ჰოსპიტალსი“ ორივე მუნიციპალიტეტში სერვისის მიწოდებას ექსკლუზიურად ახორციელებს მხოლოდ ერთი, ურთიერთდაკავშირებული სადაზღვევო კომპანიის - სს „გლობალ ბენეფიტს ჯორჯიას“ მიმართ. მომჩივანი მიიჩნევს, რომ შპს „ჯეო ჰოსპიტალსი“ საქართველოს მასშტაბით რაიონებში ფაქტობრივად უკონკურენტოდ 22 სამედიცინო ცენტრისა და ამბულატორიის სახითაა წარმოდგენილი და საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტში „დომინანტ მოთამაშეს“ წარმოადგენს. მოცემული გარემოება მომჩივანის მხრიდან შეფასებულია, როგორც უდიდესი რისკი ამ ბაზრით დაინტერესებული ყველა მოთამაშისათვის, რადგან, მომჩივანის აზრით, გარდაბნისა და მარნეულის მუნიციპალიტეტების პრაქტიკა შესაძლოა „ხვალ სხვა მუნიციპალიტეტშიც საპრობლემო გახდეს“.

საჩივარში, ასევე, აღნიშნულია სააგენტოს პრაქტიკა, კერძოდ, სამედიცინო მომსახურების ბაზრის ამბულატორიული, სტაციონარული და სამშობიარო მომსახურებების მიხედვით დაყოფის პრინციპი. **მომჩივანი მიუთითებს, რომ მოცემულ შემთხვევაში „სახეზეა ამბულატორიული მომსახურების ნაწილში დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენება“, რაც შედეგად ზიანს აყენებს მის საქმიანობას.** ამ პრაქტიკის გათვალისწინებით, მომჩივანი მიუთითებს, რომ ქალაქ გარდაბნის ტერიტორიაზე ამბულატორიული სერვისის მიმწოდებელი პროვაიდერი მხოლოდ შპს „ჯეო ჰოსპიტალსია“, ხოლო ქალაქ მარნეულის ტერიტორიაზე - შპს „ჯეო ჰოსპიტალსი“, შპს „მედ X“ და შპს ,,ავერსის კლინიკის“ ორი ფილიალი.

საჩივარში, ასევე, აღნიშნულია მომჩივანისთვის მნიშვნელოვანი ფინანსური ზიანის შესახებ, რადგან მომჩივანი იძულებული გახდა ამბულატორიული მომსახურების მიღებასთან დაკავშირებით (შაბათ დღეს ოჯახის ექიმის მომსახურების არ ქონის გამო) დამატებითი კონტრაქტი გაეფორმებინა ქალაქ მარნეულში მოქმედ სხვა სუბიექტთან, შპს „მედ X“-თან.

ამგვარად, მომჩივანი მიიჩნევს, რომ დარღვეულია კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის:

„ა“ ქვეპუნქტი, რადგან, მომჩივანის მითითებით, არასამართლიანი სავაჭრო პირობების დადგენა უკავშირდება ხელშეკრულების გაფორმების შესაძლებლობას, რომელიც მნიშვნელოვანია სადაზღვევო კომპანიის ოპერირებისთვის;

„ბ“ ქვეპუნქტი, რადგან, მომჩივანის მითითებით, ბაზრის შეზღუდვა გამოიხატება ერთიანი ეკონომიკური სუბიექტის მიერ ერთობლივი გადაწყვეტილების მიღებით, კერძოდ, შპს „ჯეო ჰოსპიტალის“ საშუალებით, რომელსაც მომჩივანი დომინანტ ეკონომიკურ აგენტად მიიჩნევს ამბულატორიული ბაზრის ნაწილში;

„გ“ ქვეპუნქტი, რადგან, მომჩივანის მითითებით, ანალოგიური მომსახურების მიწოდების მიუხედავად, უპირატესობა მიენიჭა მხოლოდ ერთ სადაზღვევო კომპანიას ექსკლუზიური ხელშეკრულების გაფორმების გზით.

1.2. მოპასუხეთა პოზიცია

1.2.1. შპს „ჯეო ჰოსპიტალსის“ პოზიცია

შპს „ჯეო ჰოსპიტალსი“ არ ეთანხმება საჩივარს და აღნიშნავს, რომ მასსა და მომჩივანს შორის არასდროს ყოფილა შეფერხება ბიზნეს/სახელშეკრულებო ურთიერთობის ფარგლებში და, მეტიც, ტენდერში წარდგენილ დანართებში ერთ-ერთ პროვაიდერ კლინიკად სწორედაც შპს ,,ჯეო ჰოსპიტალსს“ ვხვდებით. ამასთან, მოპასუხე აღნიშნავს, რომ იგი სს „გლობალ ბენეფიტს ჯორჯიას“ პროვაიდერ კლინიკასაც წარმოადგენს.

შპს „ჯეო ჰოსპიტალსი“ 30/11/2020 წერილთან დაკავშირებით განმარტავს, რომ მსგავსი შინაარსის წერილი სხვა სადაზღვევო კომპანიებსაც გაეგზავნა. აღნიშნული ემსახურებოდა ხელშეკრულების პირობების ოპტიმიზაციასა და სახელშეკრულებო ურთიერთობის განახლებას, რაც განხორციელდა მხარეებს შორის.

მოპასუხე მიუთითებს მასსა და მომჩივანს შორის 2020 წლის 30 დეკემბერს გაფორმებულ ურთიერთთანამშრომლობის დოკუმენტზე, რომელიც არ არის საჩივარში მითითებული და ცხადყოფს მხარეთა შორის სახელშეკრულებო ურთიერთობის გაგრძელების ფაქტს. მოპასუხის პოზიციით, მომჩივანი მტკიცების ტვირთს აფუძნებს შეგნებულად ცრუ ინფორმაციას.

შპს „ჯეო ჰოსპიტალსი“ აღნიშნავს, რომ დღემდე მომჩივანის „ოჯახის ექიმები“ წარმოდგენილნი არიან მის კლინიკებში, მათ შორის, მარნეულისა და გარდაბნის მუნიციპალიტეტებში და ხორციელდება სამედიცინო სერვისების უწყვეტი მიწოდება. აღნიშნულის დასადასტურებლად მოპასუხე უთითებს საჩივარზე თანდართულ პროვაიდერთა ჩამონათვალზე. შაბათ დღეს ოჯახის ექიმის მომსახურების მიღების უფლებასთან დაკავშირებით მოპასუხე განმარტავს, რომ აღნიშნულისთვის სს „გლობალ ბენეფიტს ჯორჯია“ დამატებით იხდის მომსახურების საფასურს.

დომინანტურ მდგომარეობასთან დაკავშირებით მოპასუხე მიუთითებს კანონის მე-3 მუხლის „ი“ ქვეპუნქტზე. მოპასუხის პოზიციით მას არ უკავია დომინანტური პოზიცია: ჯანდაცვის სექტორის ფინანსური სტაბილურობისა და რისკების შეფასების შესახებ Galt & Taggart-ის 2021 წლის სამედიცინო ბაზრის კვლევის მიხედვით შპს „ჯეო ჰოსპიტალსის“ ბაზრის წილი შემოსავლის მიხედვით 2.7%-ს შეადგენს, ხოლო მომჩივანი თავად უთითებს, რომ მარნეულის ტერიტორიაზე ამბულატორიულ მომსახურებას მის გარდა დამატებით სამი სამედიცინო ორგანიზაცია ეწევა, მ.შ. შპს „ავერსის კლინიკა“ - ორი ფილიალით. შესაბამისად, მოპასუხე აღნიშნავს, რომ სხვა კლინიკასთან ახალი ხელშეკრულების დადების მხედველობაში მიღებით, *„ბაზარზე დომინანტური მდგომარეობის პირობებში „დაჩაგრულ მხარეს“ ასე მარტივად არ აქვს შესაძლებლობა ჩაანაცვლოს დომინანტური ეკონომიკური აგენტი ისე, რომ არ მიადგეს არანაირი ზიანი“.*

მოპასუხე განმარტავს, რომ მომჩივანის მიერ არ არის მითითებული შემდეგი ინფორმაცია: ქ. მარნეულის მუნიციპალიტეტში შპს „ჯეო ჰოსპიტალსთან“ ერთად ოპერირებს შვიდი სამედიცინო ცენტრი, მ.შ. ორი - შპს „ავერსის კლინიკა“ და შპს „მედ X“ - ახორციელებს გეგმურ ამბულატორიულ მომსახურებას. გარდაბნის მუნიციპალიტეტში კი მოპასუხის გარდა ფუნქციონირებს შპს ,,სამკურნალო დიაგნოსტიკური ცენტრი სანო“ (ს/ნ 416311556). ამდენად, მოპასუხე არ იზიარებს მომჩივანის პოზიციას სამომავლო საფრთხეებზე და აღნიშნავს, რომ საჩივარი უნდა ასახავდეს ინფორმაციას კონკრეტულ ქონებრივ ზიანზე, რასაც მოცემულ საქმეში არ ვხვდებით. შპს „ჯეო ჰოსპიტალსის“ შეფასებით, მოცემული საჩივარი

სამართლებრივი საფუძვლების გარეშე ემსახურება მისი საქმიანი რეპუტაციის შელახვის მცდელობას.

1.2.2. სს „რისკების მართვისა და სადაზღვევო კომპანია გლობალ ბენეფიტს ჯორჯიას“ პოზიცია

სს „გლობალ ბენეფიტს ჯორჯია“ მიუთითებს მომჩივანის მტკიცების ტვირთზე, კერძოდ, სააგენტოს 2020 წლის 19 თებერვლის გადაწყვეტილებაზე შპს „ჯევერს დეველოპმენტის“ საჩივრის გამო, ასევე, საქართველოს კანონმდებლობაზე დაყრდნობით განმარტავს, რომ მომჩივანს ეკისრება მთელი რიგი პასუხისმგებლობა, მათ შორის, მტკიცებულებათა უზრუნველყოფის ნაწილში, რაც, მოპასუხის აზრით, მოცემულ საქმეში არ არის დაკმაყოფილებული.

სს „გლობალ ბენეფიტს ჯორჯიას“ პოზიციით, საჩივარში არ არის მსჯელობა მომჩივანისთვის მიყენებულ ზიანზე, ხოლო მითითებულ გარემოებას - კლინიკასთან ხელშეკრულების გაფორმებას, როგორც ზიანს - მოპასუხე სამართლებრივად უმნიშვნელოდ მიიჩნევს და აღნიშნავს, რომ საჩივარში არ არის მითითებული ზიანის რაიმე ოდენობა. მოპასუხე, ასევე, მიუთითებს, რომ მომჩივანი წარმოადგენს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მზღვეველს, ხოლო პროვაიდერი კლინიკის შეცვლით არ შექმნილა მომჩივანის მიერ ხელშეკრულების შეუსრულებლობის საფუძველი და, ამდენად, არ დამდგარა რეალური ზიანი. სახელშეკრულებო თავისუფლებისა და კერძო ავტონომიის პრინციპებზე მითითებით, მოპასუხე განმარტავს, რომ შპს „ჯეო ჰოსპიტალსთან“ არსებული პირობების შეცვლა და სხვა კლინიკასთან სახელშეკრულებო ურთიერთობაში შესვლა არ წარმოადგენს ზიანს.

მოპასუხეთა ურთიერთდაკავშირებულობის შესახებ, სს ,,გლობალ ბენეფიტს ჯორჯია“ დამატებითი შეფასებების გარეშე, განმარტავს, რომ კომპანიებზე ამონაწერები საჯაროა და კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა შესახებ ინფორმაციის მიხედვით რაიმე დარღვევის საფუძვლის არსებობა არ დგინდება.

სს „გლობალ ბენეფიტს ჯორჯია“ მიუთითებს საჩივრის უზუსტობაზე: თუკი ერთ ნაწილში მითითებულია შპს „ჯეო ჰოსპიტალსის“ დომინანტურ მდგომარეობაზე როგორც გარდაბნის, ასევე, მარნეულის ტერიტორიებზე, მეორე ნაწილში (მე-7 გვერდზე) მომჩივანი აღნიშნავს, რომ მარნეულის ტერიტორიაზე შპს „ჯეო ჰოსპიტალსის“ გარდა ამბულატორიული სერვისის მიმწოდებელ პროვაიდერს კიდევ სამი სამედიცინო დაწესებულება წარმოადგენს. მოპასუხის განმარტებით, გაუგებარია დომინანტური მდგომარეობის შესახებ მომჩივანის შეფასება, ხოლო კლინიკათა არჩევანის გამო მომსახურების ჩანაცვლების პრობლემა არ შექმნილა. საჩივრის დასაბუთებულობაზე სწორი წარმოდგენის შექმნის მიზნით მოპასუხე განმარტავს, რომ საჩივრის მე-2 გვერდზე მოცემული ფაქტები სატენდერო ოქმის გასაჩივრების

თაობაზე არ წარმოადგენს სინამდვილეს, რადგან სს „გლობალ ბენეფიტს ჯორჯიას“ საჩივარი მოცემულ ტენდერთან დაკავშირებით ნაწილობრივ იქნა დაკმაყოფილებული.

სს „გლობალ ბენეფიტს ჯორჯია“ აღნიშნავს, რომ მომჩივანი მალავს ფაქტს შპს „ჯეო ჰოსპიტალსთან“ სამედიცინო მომსახურების ხელშეკრულების (შემდგომში - ,,პროვაიდერული მომსახურების ხელშეკრულება“; დადების თარიღი: 01.11.2017) მოქმედების შესაძლო შეწყვეტის მიზეზთან დაკავშირებით. აღნიშნულ მიზეზს ახალი პირობების შეთანხმება წარმოადგენდა, რის შედეგადაც შპს „ჯეო ჰოსპიტალსი“ კვლავ წარმოადგენს მომჩივანის პროვაიდერ კლინიკას, რაც დასტურდება საჩივრის დანართით.

მოპასუხის მტკიცებით, საჩივარი არ აკმაყოფილებს გონივრული ეჭვის სტანდარტს იმდენად, რამდენადაც მომჩივანი კონკრეტული მტკიცებულებებისა და გონივრული ვარაუდების გარეშე წარადგენს თავის პერსონალურ პოზიციას. გარდა ამისა, მოპასუხე მიუთითებს კანონის მე-6 მუხლის „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებზე, ასევე, კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტზე და განმარტავს, რომ სს „გლობალ ბენეფიტს ჯორჯია“ არ წარმოადგენს დომინანტ ეკონომიკურ აგენტს. აღნიშნულის გასამყარებლად კი მიუთითებს სსიპ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის ოფიციალურ მონაცემებზე, რომლის მიხედვით მისი საერთო წილი ბაზარზე 2020 წლის ბოლოს [redacted]-ს შეადგენს, ასევე, Galt&Taggart-ის 2020 წლის დეკემბრის კვლევაზე, რომლის მიხედვით საქართველოს ჯანმრთელობის დაზღვევის ბაზარზე კომპანიის ხვედრითი წილი [redacted]-ს შეადგენს.

შესაბამისად, მოპასუხის პოზიციით, ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოდგენილი საჩივარი დაუსაბუთებელია და ემყარება არასწორ ფაქტობრივ გარემოებებსა და სამართლებრივ ინტერპრეტაციებს.

1.3. სააგენტოს მიერ დამატებით მოპოვებული ინფორმაცია

1.3.1. მომჩივანისგან დამატებით მიღებული ინფორმაცია

წარმოდგენილი საჩივრის დასაშვებობისა და მიმდინარე მოკვლევის პროცესში საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოებების დადგენისა და დაზუსტების მიზნით, სააგენტოს მიერ მოთხოვნილი დამატებითი ინფორმაციის[1] პასუხად, მომჩივანისგან წარმოდგენილ იქნა განმარტებები და სხვადასხვა შინაარსის დოკუმენტაცია.

[1] სააგენტოს წერილები - (რეგ: № 02/348; თარიღი: 13.07.2021), (რეგ: № 02/370; თარიღი: 15.07.2021), (რეგ: № 02/568; თარიღი: 28.10.2021), (რეგ: № 02/137; თარიღი: 23.02.2022), (რეგ: № 02/155; თარიღი: 01.03.2022).

ოჯახის ექიმის მომსახურების შაბათ დღეს დამატებასთან დაკავშირებით, მომჩივანმა მიუთითა იმ გარემოებაზე, რომ თავდაპირველად მასსა და შპს ,,ჯეო ჰოსპიტალსს“ შორის შედგა ზეპირი კომუნიკაცია, რომლის ფარგლებშიც ქ. მარნეულსა და ქ. გარდაბანში ზემოთ ხსენებული მომსახურების დამატების თაობაზე ზეპირსიტყვიერი თანხმობა მიიღო. შპს ,,ჯეო ჰოსპიტალსს“ გააჩნდა ინტერესი მხოლოდ ორ მუხლში ცვლილების შეტანასთან დაკავშირებით პროვაიდერული მომსახურების ხელშეკრულებაში, რომელიც შეეხებოდა სადაზღვევო შემთხვევის ინსპექტირების წესის შემოღებას და ხელშეკრულების მოქმედების ვადის გაგრძელებას. მომჩივანის მხრიდან მეილით გაგზავნილ იქნა პროვაიდერული მომსახურების ხელშეკრულებაში ცალმხრივად ხელმოწერილი ცვლილების დოკუმენტი და ასევე ოჯახის ექიმის შაბათ დღეს მიღებაზე დამატებითი შეთანხმების დრაფტი (დრაფტი დათარიღებულია: 18.12.2020). მიუხედავად ამისა, მომჩივანს ზეპირად განემარტა, რომ აღნიშნული ცვლილება ვერ განხორციელდებოდა და ვერც მეილში აღინიშნებოდა ამის თაობაზე. საპასუხო მეილით კი ოჯახის ექიმის მომსახურების შესახებ სახელშეკრულებო ჩანაწერი მცირე სახეცვლილებით იყო წარმოდგენილი. მომჩივანი აღნიშნავს, რომ შპს ,,ჯეო ჰოსპიტალსთან“ მომსახურების (მათ შორის, ოჯახის ექიმის) ფაქტობრივ წყვეტას მთელი სახელშეკრულებო ურთიერთობის განმავლობაში ადგილი არ ჰქონია.

მომჩივანის პოზიციით, ის მზად იყო გადაეხადა შაბათი დღისთვის დამატებითი საფასური შპს ,,ჯეო ჰოსპიტალსის“ მხრიდან ასეთი მოთხოვნის არსებობის შემთხვევაში, თუმცა მას უარი უთხრეს მომსახურების მიწოდებაზე ისე, რომ არც რაიმე თანხა არ იქნა შეთავაზებული კლინიკის მხრიდან.[2] ამასთან, მომჩივანის პოზიციით შპს ,,ჯეო ჰოსპიტალსი“ წარმოადგენს დომინანტს და სერვისის ერთადერთ მიმწოდებელს მუნიციპალიტეტების მიხედვით.[3]

ამასთან, მომჩივანის მიერ მოწოდებული ინფორმაციით დგინდება, რომ იგი შაბათ დღეს ოჯახის ექიმების მომსახურებით ფაქტობრივად მთელი საქართველოს მასშტაბით სარგებლობს,[4] ხოლო რაც შეეხება ქალაქ მარნეულისა და ქალაქ გარდაბნის მუნიციპალიტეტებს - მისი ოჯახის ექიმების მეშვეობით შაბათ დღეს მომსახურების მიწოდება არ განხორციელებულა არც ერთი პაციენტისათვის, მათ შორის არც შპს ,,მედ X“-ის კლინიკაში.[5]

---

[2] მომჩივანის პოზიცია (რეგ: № 01/890; თარიღი: 11.06.2021).

[3] მომჩივანის შუამდგომლობა (რეგ: № 01/828; თარიღი: 02.06.2021).

[4] მომჩივანის წერილი (რეგ: № 01/1228; თარიღი: 30.07.2021); მომჩივანის დამაზუსტებელი წერილი (რეგ: № 01/1811; თარიღი: 05.11.2021).

[5] შპს ,,მედ X-ის“ წერილი (რეგ: № 01/374; თარიღი: 01.03.2022); მომჩივანის წერილი (რეგ: № 01/453; თარიღი: 14.03.2021).

1.3.2 მოპასუხეებისგან დამატებით მიღებული ინფორმაცია

1.3.2.1 შპს ,,ჯეო ჰოსპიტალსისგან“ დამატებით მიღებული ინფორმაცია

მიმდინარე მოკვლევის პროცესში საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოებების დადგენისა და დაზუსტების მიზნით[6], შპს ,,ჯეო ჰოსპიტალსმა“ სააგენტოში წარმოადგინა ამბულატორიული მომსახურების სახეების თაობაზე ინფორმაცია (1), ინფორმაცია პაციენტების რაოდენობისა და ფინანსური წლიური ბრუნვების შესახებ (2), სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის ოქმები (3). ამასთან შპს ,,ჯეო ჰოსპიტალსმა“ დაადასტურა, რომ საქართველოს ტერიტორიაზე [redacted] სადაზღვევო კომპანიის პროვაიდერი იყო მოკვლევის პერიოდის (2020-2021 წლები) განმავლობაში. რაც შეეხება ბენეფიციარების მიერ კონკრეტულად ქ. მარნეულისა და ქ. გარდაბნის ტერიტორიებზე ოჯახის ექიმის მომსახურებით სარგებლობის შესაძლებლობას - თითოეულ ქალაქში შპს ,,ჯეო ჰოსპიტალსი“ დასახელებული მომსახურების ფარგლებში, [redacted] სადაზღვევო კომპანიის პროვაიდერია. გარდა აღნიშნულისა, შპს ,,ჯეო ჰოსპიტალსის“ მიერ მოწოდებული ინფორმაციით - მოკვლევის პერიოდის განმავლობაში შაბათ დღეს ოჯახის ექიმის მომსახურებით სარგებლობდნენ მხოლოდ სს ,,გლობალ ბენეფიტს ჯორჯიას“ ბენეფიციარები.

შპს ,,ჯეო ჰოსპიტალსის“ განმარტებით, რეგიონების მიხედვით ოჯახის ექიმის მომსახურების ანაზღაურების მოცულობა განსხვავებულია და დამოკიდებულია ყოველ კონკრეტულ რეგიონში დატვირთვიანობაზე. ძველი მენეჯმენტის პირობებში სს ,,გლობალ ბენეფიტს ჯორჯიასთან“ დადებულ ხელშეკრულებაში დაემატა შაბათი დღე ქ. მარნეულსა და ქ. გარდაბანს. კერძოდ, ქ. გარდაბნის ნაწილში შაბათი დღის ხელშეკრულებაში დამატება 2018 წლის 15 ივნისს განხორციელდა, ხოლო ქ. მარნეულის ნაწილში 2019 წლის 01 იანვარს.

მომჩივანსა და შპს ,,ჯეო ჰოსპიტალსს“ შორის 2017 წლის 01 ნოემბერს დადებული პროვაიდერული მომსახურების ხელშეკრულების 5.3 პუნქტის შესაბამისად, 2020 წლის დასასრულს განხორციელდა უფლება-მოვალეობების ოპტიმიზაცია და ანაზღაურების პირობების ადაპტირება ჯანდაცვის სფეროში მოქმედ მარეგულირებელ ნორმებთან. შპს ,,ჯეო ჰოსპიტალსის“ მიერ მოწოდებული წერილობითი კორესპონდენციის მიხედვით დგინდება, რომ როგორც 2020, ისე 2021 წლებში პროვაიდერული მომსახურების ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ 1 თვით ადრე სადაზღვევო კომპანიებთან შეტყობინების გაგზავნა, სახელშეკრულებო პირობების ოპტიმიზაციის შეთავაზებით, გავრცელებულ სამუშაო პრაქტიკას წარმოადგენდა.

[6] სააგენტოს წერილები - (რეგ: № 02/274; თარიღი: 10.06.2021), (რეგ: № 02/308; თარიღი: 14.06.2021), (რეგ: № 02/350; თარიღი: 13.07.2021), (რეგ: № 02/389; თარიღი: 27.07.2021), (რეგ: № 02/163; თარიღი: 09.03.2022), (რეგ: № 02/189; თარიღი: 11.03.2022).

შპს ,,ჯეო ჰოსპიტალსის“ მიერ სააგენტოსთვის მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, მისი მხრიდან არც ერთი სადაზღვევო კომპანიის მიმართ არ ყოფილა განხორციელებული შეთავაზება შაბათ დღეს ოჯახის ექიმების მომსახურების გაწევის თაობაზე.

შპს ,,ჯეო ჰოსპიტალსის“ მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად დგინდება, რომ სს ,,გლობალ ბენეფიტს ჯორჯიასთან“ შესაძლო ექსკლუზიური გარიგების დადებასთან დაკავშირებით მოლაპარაკებები მიმდინარეობდა ტელეფონის საშუალებით ან/და შეხვედრების ფორმატში, შესაბამისად აღნიშნულ საკითხზე, მათ არ უფიქსირდებათ ელექტრონული ფოსტის მიმოწერა. ამასთან, მოლაპარაკებების შედეგად დღეის მდგომარეობით არ გაფორმებულა რაიმე სახის ექსკლუზიური შეთანხმება სს ,,გლობალ ბენეფიტს ჯორჯიასთან“.

შპს ,,ჯეო ჰოსპიტალსის“ მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, სს ,,საერთაშორისო დაზღვევის კომპანია ირაოსთან“ (ს/ნ 205023856) შაბათ დღეს ოჯახის ექიმის მომსახურების გაწევის თაობაზე კომუნიკაცია არ განხორციელებულა და არც დამატებითი შეთანხმება არ არის მასთან გაფორმებული. ამასთან იმავე ინფორმაციის მიხედვით, 2021 წელს სს ,,საერთაშორისო დაზღვევის კომპანია ირაოს“ ბენეფიციარებისგან მხოლოდ ქალაქ გარდაბანში ფიქსირდება ოჯახის ექიმთან შაბათ დღეს მიმართვის ერთადერთი შემთხვევა.

1.3.2.2 სს „რისკების მართვისა და სადაზღვევო კომპანია გლობალ ბენეფიტს ჯორჯიასგან“ დამატებით მიღებული ინფორმაცია

მიმდინარე მოკვლევის პროცესში საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოებების დადგენისა და დაზუსტების მიზნით,[7] სს ,,გლობალ ბენეფიტს ჯორჯიამ“ სააგენტოში წარმოადგინა ინფორმაცია 2020 წლის განმავლობაში ჯანმრთელობის დაზღვევის ბაზარზე მოზიდული სადაზღვევო პრემიების შესახებ, როგორც მთლიანად ქვეყნის მასშტაბით, ისე კონკრეტულად მარნეულისა და გარდაბნის მუნიციპალიტეტებში. ამასთან, ცალკე იქნა წარმოდგენილი იმ სამედიცინო დაწესებულებების ჩამონათვალი, სადაც სს ,,გლობალ ბენეფიტს ჯორჯიას“ ბენეფიციარები სარგებლობდნენ ოჯახის ექიმის მომსახურებით შაბათ დღეს საქართველოს მასშტაბით (1), სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის ოქმები (2) და ოჯახის ექიმის, აგრეთვე პროვაიდერული მომსახურების ხელშეკრულებები, რომელიც დადებულია სხვადასხვა სამედიცინო დაწესებულებასთან საქართველოს მასშტაბით (3).

სს ,,გლობალ ბენეფიტს ჯორჯიას“ მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, ყოველი წლის ბოლოს ხდება მასსა და შპს ,,ჯეო ჰოსპიტალსს“ შორის სახელშეკრულებო

[7] სააგენტოს წერილები - (რეგ: № 02/233; თარიღი: 31.05.2021), (რეგ: № 02/371; თარიღი: 15.07.2021), (რეგ: № 02/138; თარიღი: 23.02.2022), (რეგ: № 02/169; თარიღი: 09.03.2022).

პირობების გადახედვა და ოპტიმიზაცია. ორივე მათგანი შეიძლება იყოს აღნიშნული პროცესის ინიციატორი. სს ,,გლობალ ბენეფიტს ჯორჯია“ 2017 წლიდან ოპერირებს სადაზღვევო მომსახურების ბაზარზე და ამავე პერიოდიდან იღებს მონაწილეობას სახელმწიფო ტენდერებში. შპს ,,ჯეო ჰოსპიტალსთან“ დადებულ ხელშეკრულებაში ქალაქ მარნეულსა და ქალაქ გარდაბანში ოჯახის ექიმის მომსახურების შაბათ დღეს დამატება (2018-2019 წლები), განპირობებული იყო პოტენციური დაზღვეულებისათვის სრულყოფილი პირობების შეთავაზებით. 2018 წლიდან სს ,,გლობალ ბენეფიტს ჯორჯიას“ უკვე ჰყავდა ის კლიენტები, რომლებიც ისარგებლებდნენ შაბათ დღეს ოჯახის ექიმის მომსახურებით ქალაქ მარნეულსა და ქალაქ გარდაბანში.

სს ,,გლობალ ბენეფიტს ჯორჯია“ დამატებით განმარტავს, რომ დღეის მდგომარეობით ექსკლუზიური შეთანხმება შპს ,,ჯეო ჰოსპიტალსთან“ მიღწეული არ არის, თუმცა ასეთი შეთანხმების მიღწევის შემთხვევაში მათთვის უპირატესი ინტერესის საგანს ოჯახის ექიმის მომსახურება წარმოადგენს. ამასთან, სს ,,გლობალ ბენეფიტს ჯორჯიას“ განცხადებით, 2021 წელს არ დადებულა რაიმე სახის ექსკლუზიური შეთანხმება შპს ,,ჯეო ჰოსპიტალსთან“ დეტალებზე შეუთანხმებლობის, პროცესის გაწელვის და ამ უკანასკნელ კომპანიაში მენეჯმენტის ცვლილების გამო, ხოლო რაც შეეხება 2022 წელს, პანდემიური მდგომარეობისა და დაზღვეულთა მოთხოვნების გათვალისწინებით, ოჯახის ექიმის მომსახურების ექსკლუზიური პირობით სარგებლობა არ წარმოადგენს სს ,,გლობალ ბენეფიტს ჯორჯიას“ ინტერესის საგანს.

1.3.3. ადმინისტრაციული ორგანოებისგან და მესამე პირებისგან მიღებული ინფორმაცია

მოკვლევის მიმდინარეობის ფარგლებში, სსიპ სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოსგან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე (რეგ №: 01/854; თარიღი: 07.06.2021), სააგენტომ ქალაქ მარნეულისა და ქალაქ გარდაბნის ტერიტორიებზე არსებულ ეკონომიკურ აგენტებს გაუგზავნა წერილები (სულ: 29 წერილი). ასევე, მოკვლევის ფარგლებში დამატებით გამოიკვეთა, რომ ქალაქ გარდაბანში 2020/2021 წლების განმავლობაში ფუნქციონირებდა და დღესაც ფუნქციონირებს შპს ,,სამკურნალო დიაგნოსტიკური ცენტრი სანო“ (ს/ნ 416311556), რომლის საქმიანობის საგანიცაა ამბულატორიული მომსახურება (რეგ №: 01/386; თარიღი: 02.03.2022). ამასთან დადგინდა, რომ აღნიშნული ეკონომიკური აგენტებიდან:

- შპს „მარნეულის რაიონის ამბულატორიულ-პოლიკლინიკური გაერთიანება“ (ს/ნ 234178378) დღეის მდგომარეობით აღარ ფუნქციონირებს. აღნიშნული ეკონომიკური აგენტის ნაცვლად, ფუნქციონირებს შპს ,,მარნეულის ამბულატორია“ (ს/ნ 405266037), რომლისგანაც სააგენტომ მიიღო წერილი (რეგ № 01/893; თარიღი: 14.06.2021), სადაც წარმოდგენილია მოთხოვნილი ინფორმაცია. შესაბამისად, ეს სუბიექტი და მასთან

გაგზავნილი 2 წერილი სააგენტოს მიერ შესაბამისი ბაზრის საზღვრების დადგენისას არ იქნა გათვალისწინებული;

- ი/მ ისლამ იბრაგიმოვი - სამეწარმეო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, მისი იურიდიული მისამართია სოფელი ალგეთი. თუმცა, გარდა იმისა, რომ აღნიშნული მისამართი არ არის საკმარისად ზუსტი, შესაბამისი ბაზრის განსაზღვრის მიზნით ქ. მარნეულის მუნიციპალიტეტში არსებული სოფლები არ ექცევიან აღნიშნული ბაზრის გეოგრაფიულ საზღვრებში და შესაბამისად, ეს სუბიექტი და მასთან გაგზავნილი 1 წერილი სააგენტოს მიერ შესაბამისი ბაზრის საზღვრების დადგენისას არ იქნა გათვალისწინებული;

- შპს ,,ავერსი კლინიკა“ ქ. მარნეულში წარმოდგენილია 2 ფილიალის სახით, რომლებთანაც სააგენტომ ცალ-ცალკე გააგზავნა წერილები (2 წერილი). შესაბამისად, შპს ,,ავერსი კლინიკა“ წარმოადგენს 1 ეკონომიკურ აგენტს და მის 2 ფილიალთან დაკავშირებული მონაცემები გამოანგარიშებულია ერთობლივად.

ზემოთ ხსენებული 26 ეკონომიკური აგენტისგან, ქ. მარნეულიდან სააგენტოს ჩაბარდა 24 წერილი, ხოლო ქ. გარდაბნიდან 2 წერილი - ი/მ სარა მამედოვა და შპს ,,სამკურნალო დიაგნოსტიკური ცენტრი სანო.“ შპს ,,ჯეო ჰოსპიტალსი“ ქალაქ მარნეულში წარმოდგენილია 2, ხოლო ქალაქ გარდაბანში 1 სამედიცინო დაწესებულებით. შესაბამისად, ეს სუბიექტი განიხილება ერთ ეკონომიკურ აგენტად, რომელიც 2 სხვადასხვა გეოგრაფიული საზღვრის მქონე ბაზარზე ფუნქციონირებს. აღნიშნული სუბიექტი შედის ხსენებული 26 ეკონომიკური აგენტის შემადგენლობაში.

ამ გარემოების გათვალისწინებით, სააგენტომ იხელმძღვანელა 26 ეკონომიკური აგენტისგან მიღებული ინფორმაციის მიხედვით. აღნიშნულმა ეკონომიკურმა აგენტებმა სააგენტოს მოაწოდეს ინფორმაცია ქვემოთ მოცემული შეკითხვების შესაბამისად:

- თქვენ მიერ გაწეული სტაციონალური და ამბულატორიული მომსახურებების სახეების სრული ჩამონათვალი (ცალ-ცალკე);

- პაციენტთა რაოდენობა სტაციონალური და ამბულატორიული მომსახურებების მიხედვით (ცალ-ცალკე), 2020 წლის განმავლობაში (ასეთი მონაცემის არსებობის შემთხვევაში);

- სტაციონალური და ამბულატორიული მომსახურებების (ცალ-ცალკე) ჯამური ბრუნვა 2020 წლის განმავლობაში (სტომატოლოგიური მომსახურების არსებობის შემთხვევაში, მისი გამორიცხვით);

- იყავით/ხართ თუ არა რომელიმე სადაზღვევო კომპანი(ებ)ის პროვაიდერი 2019-2020 წლებიდან დღემდე? ასეთის არსებობის შემთხვევაში, გთხოვთ მიუთითოთ შესაბამისი სადაზღვევო კომპანია/ები;

- იყო/არის თუ არა შესაძლებელი ოჯახის ექიმის მომსახურებით სარგებლობა თქვენს დაწესებულებაში 2019-2020 წლების პერიოდიდან დღემდე. ასეთის არსებობის შემთხვევაში, გთხოვთ დააკონკრეტოთ, შესაბამისი მომსახურების გამწევი სადაზღვევო კომპანია;

- იყო/არის თუ არა შესაძლებელი 2019-2020 წლების პერიოდიდან დღემდე ოჯახის ექიმის მომსახურებით სარგებლობა შაბათ დღეს. ასეთის არსებობის შემთხვევაში, გთხოვთ დააკონკრეტოთ, ოჯახის ექიმის მომსახურების შაბათ დღეს გამწევი სადაზღვევო კომპანია.

ქ. მარნეულისა და ქ. გარდაბნის ტერიტორიებზე არსებული 26 ეკონომიკური აგენტისგან მიღებული ინფორმაციით დადგენილ იქნა შემდეგი:

26 ეკონომიკური აგენტიდან ამბულატორიულ მომსახურებას ახორციელებს 11 სამედიცინო დაწესებულება: შპს ,,ჯეო ჰოსპიტალსი", შპს ,,მედx", შპს ,,კლინიკა ექიმები", შპს ,,კლინიკა პროფესორი", შპს ,,მარნეკორე", შპს ,,მარნეული პედიატრიული კლინიკა", შპს ,,მარნეულის ამბულატორია", შპს ,,ახალი მზერა", შპს ,,ავერსი კლინიკა", შპს ,,სამედიცინო ცენტრი ადიკ" და ქალაქ გარდაბნის ტერიტორიაზე შპს ,,ჯეო ჰოსპიტალსის" გარდა, ასევე შპს ,,სამკურნალო დიაგნოსტიკური ცენტრი სანო."

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, სააგენტომ სსიპ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურისგან გამოითხოვა (რეგ: № 02/240; თარიღი: 07.06.2021) ინფორმაცია სს ,,გლობალ ბენეფიტს ჯორჯიას" კონკურენტების (ყველა ლიცენზირებული სადაზღვევო კომპანიის) მიერ 2019-2020 წლებში ჯანმრთელობის დაზღვევის ბაზარზე მოზიდული სადაზღვევო პრემიების შესახებ გარდაბნის მუნიციპალიტეტში, იმის გათვალისწინებით, რომ ანალოგიური მონაცემი ქ. მარნეულის მუნიციპალიტეტში, სს ,,გლობალ ბენეფიტს ჯორჯიასგან" მიღებული ინფორმაციის თანახმად [redacted] ლარს შეადგენდა. ზემოთ ხსენებული ადმინისტრაციული ორგანოსგან მოწოდებულ იქნა გამოთხოვილი ინფორმაცია ყველა სადაზღვევო კომპანიის შესახებ. აღნიშნულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, სააგენტომ დამატებით შეისწავლა ჯანმრთელობის დაზღვევის ბაზარზე სს ,,გლობალ ბენეფიტს ჯორჯიას" შესაძლო საბაზრო ძალაუფლების საკითხიც.

სააგენტომ დამატებით გამოიკვლია, სს ,,საერთაშორისო დაზღვევის კომპანია ირაოსგან" (ს/ნ 205023856) წარმოდგენილ წერილში (რეგ №: 01/1183; თარიღი: 23.07.2021) მითითებული გარემოება იმის თაობაზე, რომ *,,2019 წლიდან დღემდე სს ,,დაზღვევის საერთაშორისო კომპანია ირაო" სარგებლობდა/სარგებლობს, შპს „ჯეო ჰოსპიტალსის" ოჯახის ექიმის მომსახურებით შაბათ დღეს, სრულიად შპს „ჯეო ჰოსპიტალსი"-ს ქსელში.*

სს ,,საერთაშორისო დაზღვევის კომპანია ირაომ“ სააგენტოს მიერ გამოთხოვილი ინფორმაციის შესაბამისად, წერილობით დაადასტურა, რომ მიუხედავად შპს ,,ჯეო ჰოსპიტალსთან“ სახელშეკრულებო შეთანხმების არარსებობისა, მისი ბენეფიციარები ჩვეულებრივ სარგებლობენ ოჯახის ექიმის მომსახურებით როგორც ქალაქ მარნეულში, ასევე ქალაქ გარდაბანში შაბათ დღეს. ამასთან, არც დამატებითი საფასურის ანაზღაურების საკითხი არ დამდგარა (რეგ №: 01/419; თარიღი: 10.03.2022).

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, გასათვალისწინებელია შემდეგი გარემოებაც: მომჩივანის სამედიცინო დაზღვევის დირექტორმა ახსნა-განმარტებით სხდომაზე[8] სააგენტოს მიაწოდა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ არსებობდა გარკვეული შემთხვევები, როდესაც სამედიცინო კლინიკა კონკრეტული სახის მომსახურებას კონკრეტულ ლოკაციებზე წყვეტდა და მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული მომსახურების გაწევის შესაძლებლობა ხელშეკრულებით იყო შეთანხმებული მის პროვაიდერ სადაზღვევო კომპანიასთან, შესაბამის შეტყობინებას მომსახურების შეწყვეტის თაობაზე მოცემულ კომპანიას არ უგზავნიდა. ასეთ სამედიცინო დაწესებულებად მომჩივანმა სს ,,ევექსის ჰოსპიტლები“ (ს/ნ 404476205) დაასახელა. მოცემული გარემოება, სააგენტომ დააზუსტა სს ,,ევექსის ჰოსპიტლებთან“ გაგზავნილი წერილით (რეგ: № 02/303; თარიღი: 06.04.2022), რომლის საპასუხო კორესპონდენციითაც (რეგ: № 01/734; თარიღი: 12.04.2022) დადგინდა, რომ კლინიკა მომსახურების ნებისმიერ ლოკაციაზე შეწყვეტისას, გამონაკლისის გარეშე ატყობინებს ყველა პროვაიდერ სადაზღვევო კომპანიას სახელშეკრულებო ურთიერთობის დასრულების შესახებ. შეტყობინების ვადა (როგორც წესი 2 კვირა) და საკომუნიკაციო ფორმა (ფოსტა და მეილი) განსაზღვრულია სადაზღვევო კომპანიებთან დადებული ხელშეკრულების მიხედვით. შესაბამისად, ანალოგიური წესი გათვალისწინებულია მომჩივანთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზეც, რომელსაც აღნიშნული კლინიკა საკუთარ სამუშაო პრაქტიკაში იყენებს.

1.3.4 ახსნა-განმარტებითი სხდომები

1.3.4.1 მომჩივანის ახსნა-განმარტება

სააგენტოში საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების დადგენის მიზნით 2022 წლის 01 აპრილს გაიმართა ახსნა-განმარტებითი სხდომა[9] მომჩივანის წარმომადგენლებთან, მათ შორის კომპანიის სამედიცინო დაზღვევის დირექტორთან, რომელიც უშუალოდ იღებდა მონაწილეობას 2020 წლის 30 დეკემბრის ელექტრონულ მიმოწერაში შპს ,,ჯეო ჰოსპიტალსთან“.

[8] ინდივიდუალური ახსნა-განმარტებითი სხდომის ოქმი N 3, თარიღი: 01.04.2022.
[9] ინდივიდუალური ახსნა-განმარტებითი სხდომის ოქმი N 3, თარიღი: 01.04.2022.

ზეპირ ახსნა-განმარტებით სხდომაზე მომჩივანის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, ოჯახის ექიმის მომსახურების შაბათ დღეს ხელშეკრულებაში მისი მხრიდან დამატების მცდელობას გააჩნდა სამართლებრივი საფუძველი, რადგანაც შპს ,,ჯეო ჰოსპიტალსთან" დადებული შესაბამისი ხელშეკრულება ითვალისწინებდა მუხლს, რომლის მიხედვით, სადაზღვევო კომპანიის დატვირთვიანობის ცვლილების შემთხვევაში, აღნიშნული გარემოება თავის მხრივ გათვალისწინებული იქნებოდა შპს ,,ჯეო ჰოსპიტალსის" მიერ მომავალში. ამასთან, პროვაიდერული მომსახურების შეწყვეტის შესახებ შპს ,,ჯეო ჰოსპიტალსისგან" მიღებული წერილობითი შეტყობინების მიღების შემდეგ, მომჩივანის სამედიცინო დაზღვევის დირექტორი ტელეფონით დაუკავშირდა კონტრაჰენტის საოპერაციო სამსახურის უფროსს და მასთან შეეცადა დაეზუსტებინა აღნიშნული წერილის მიღების მიზეზი. მან პასუხად მიიღო, რომ გაგზავნილი შეტყობინება სტანდარტული ხასიათის იყო, რადგანაც იგივე შინაარსის მქონე წერილები ასევე გაგზავნილ იქნა სხვა სადაზღვევო კომპანიებთანაც.

მომჩივანის მიერ სააგენტოსთვის მოწოდებული ახსნა-განმარტების მიხედვით, მოლაპარაკებები პროვაიდერული მომსახურების ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე აუცილებლად უნდა დასრულებულიყო 2020 წლის ბოლოს და 2021 წლის 01 იანვრისთვის მხარეებისათვის საჭირო ყველა ცვლილება უნდა ყოფილიყო ასახული. სატელეფონო კომუნიკაციის ფარგლებში მომჩივანმა შეატყობინა შპს ,,ჯეო ჰოსპიტალსს", რომ მას გარკვეული ცვლილება ესაჭიროებოდა ოჯახის ექიმებთან მიმართებაში, რასაც წერილობითაც შეატყობინებდა და იმედი ჰქონდა, რომ აღნიშნული ცვლილების განსახორციელებლად არანაირი პრობლემა არ შეექმნებოდა, ვინაიდან მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულება ითვალისწინებდა ცვლილებების შეტანის შესაძლებლობას.

იმის გათვალისწინებით, რომ მომჩივანმა ტენდერის ფარგლებში სს ,,გლობალ ბენეფიტს ჯორჯიას" მხრიდან მიიღო შპს ,,ჯეო ჰოსპიტალსის" მიერ მომზადებული 02/12/2020 წერილი, პრევენციის მიზნით, 2020 წლის 25 დეკემბერს მან შპს ,,მედ X"-თან გააფორმა პროვაიდერული და ოჯახის ექიმების მომსახურების თაობაზე ხელშეკრულება, რომელიც აგრეთვე ითვალისწინებდა ოჯახის ექიმის მიერ მომსახურების გაწევის შესაძლებლობას შაბათ დღეს. მომჩივანმა დაადასტურა, რომ 2020 წლის ბოლოსთვის შპს ,,ჯეო ჰოსპიტალსთან" სახელშეკრულებო პირობების შეთანხმება ტექნიკურად გაჭიანურდა და ეს გარემოება მისთვის სრულებით გასაგები იყო. მას შემდეგ, რაც მომჩივანმა შპს ,,ჯეო ჰოსპიტალსისგან" ელექტრონული მიმოწერის ფარგლებში მიიღო ხელშეკრულების ის ვერსია, საიდანაც ამოღებული იყო კონკრეტულ ლოკაციაზე ქ. მარნეულში ოჯახის ექიმის მომსახურების შესახებ პირობა შაბათ დღესთან დაკავშირებით, კომპანიის სამედიცინო დაზღვევის დირექტორი კვლავ ტელეფონის მეშვეობით დაუკავშირდა შპს ,,ჯეო ჰოსპიტალსის" საოპერაციო სამსახურის უფროსს და ეცადა მისგან დაეზუსტებინა ზემოთ ხსენებული, მომჩივანის მიერ შეთავაზებული პირობის ამოღების მიზეზი/არგუმენტაცია. ამასთან, მომჩივანმა მოითხოვა, რომ შესაბამისი არგუმენტაცია მოპასუხეს დაეფიქსირებინა

წერილობით, რაზეც საოპერაციო სამსახურის უფროსმა უპასუხა, რომ მის მიერ ელექტრონულად გაგზავნილი სახელშეკრულებო ვერსიის გარდა დამატებით ვერაფერს მიაწვდიდა.

მომჩივანის განმარტებით, იმისათვის, რომ მხარეებს შორის დადებულ ხელშეკრულებას დამატებოდა მისთვის საჭირო პირობა შაბათი დღის მომსახურების გაწევასთან დაკავშირებით, ერთ თვიანი მოლაპარაკების ვადა სრულებით საკმარისი იყო და ამასთან დააზუსტა, რომ აღნიშნული პირობის ხელშეკრულებაში გათვალისწინება აუცილებელი იყო 2020 წლის 30 დეკემბრისთვის და არა მოგვიანებით, ერთი კვირის ან უფრო ხანგრძლივი დროის განმავლობაში. მომჩივანმა აგრეთვე დაადასტურა, რომ შპს ,,ჯეო ჰოსპიტალსის“ საოპერაციო სამსახურის უფროსს არანაირი შეტყობინება/ახსნა-განმარტება შაბათი დღის მომსახურების ტარიფთან დაკავშირებით მისთვის არ გაუგზავნია. უფრო მეტიც, არავითარი სხვა მიზეზი შპს ,,ჯეო ჰოსპიტალსის“ მხრიდან მომჩივანისთვის შეტყობინებული არ ყოფილა და მხოლოდ იმ გარემოებაზე მიუთითა შპს ,,ჯეო ჰოსპიტალსმა,“ რომ გადმოგზავნილ იქნა ის, რისი გადმოგზავნაც საოპერაციო სამსახურის უფროსმა შეძლო. ამასთან მომჩივანმა დაადასტურა, რომ შპს ,,ჯეო ჰოსპიტალსის“ მხრიდან არც სს ,,გლობალ ბენეფიტს ჯორჯიასადმი“ 02/12/2020 წერილზე არ ჰქონია მითითებას ადგილი, მხარეთა შორის სატელეფონო კომუნიკაციის ფარგლებში.

მომჩივანმა ახსნა-განმარტებით სხდომაზე ვერ დაადასტურა (მართალია წარმომადგენელი შესაბამისი მიზეზის გახსენებას შეეცადა, თუმცა მან მხოლოდ ივარაუდა, რომ ქ. გარდაბანი ტექნიკური ხარვეზის გამო არ იყო მითითებული მომჩივანის მიერ გაგზავნილ დრაფტში), თუ რა გარემოებამ/გარემოებებმა განაპირობა მის მიერ შეთავაზებულ ხელშეკრულების ტექსტში მხოლოდ ქ. მარნეულის ჩამატება იმის გათვალისწინებით, რომ მისივე მითითებით, ზეპირსიტყვიერად ქ. გარდაბანზეც არსებობდა მხარეთა შორის შეთანხმება. მომჩივანმა განმარტა, რომ ქ. მარნეულში შაბათი დღის დამატებისას, შესაბამისი ტარიფის მითითება შპს ,,ჯეო ჰოპსიტალსს“ შეეძლო და მოცემული განმარტების მიხედვით, ეს უფრო ლოგიკური იქნებოდა. ამასთან მომჩივანმა განმარტა, რომ საჩივარში მის მიერ მითითებული მნიშვნელოვანი ფინანსური ზიანი შპს ,,ჯეო ჰოსპიტალსთან“ არსებულ ურთიერთობაში ნდობის დაკარგვით გამოიხატა და ამის გამო ქონებრივი ზიანის რისკის წინაშე დადგომის საფრთხე შეექმნა. მომჩივანმა დაადასტურა, რომ ხელშეკრულებაში ოჯახის ექიმის მომსახურების შაბათ დღეს დამატებას სატენდერო მოთხოვნა განაპირობებდა, სხვა მხრივ რაიმე არსებითი მნიშვნელობა ამ გარემოებას არ გააჩნდა.

1.3.4.2 შპს ,,ჯეო ჰოსპიტალსის“ ახსნა-განმარტება

შპს ,,ჯეო ჰოსპიტალსის“ წარმომადგენლებთან სააგენტოს მიერ გამართულ ახსნა-განმარტებით სხდომაზე[10] შემდეგ გარემოებებთან დაკავშირებით იქნა მიღებული ინფორმაცია - შპს ,,ჯეო ჰოსპიტალსის“ პოზიციით, ოპტიმიზაციისას ხელშეკრულება გახდა უფრო მოქნილი, ადაპტირებული, შეთანხმდა რევიზიის პირობები, 2021 წელსაც იგივენაირად მოხდა ტარიფების გადახედვა და დამატებით, ახალი შეთანხმება გაფორმდა მომჩივანთან და სს ,,გლობალ ბენეფიტს ჯორჯიასთან“ 2022 წლის 01 იანვრიდან განახლებული ამბულატორიული მომსახურების შესახებ. აღნიშნული ვითარება ჩვეულებრივი პრაქტიკაა და ამ პრაქტიკას აგრძელებენ ყოველწლიურად. შპს ,,ჯეო ჰოსპიტალსმა“ მოლაპარაკებების შედეგად ყველა მუხლი უცვლელად დატოვა და მომჩივანთან შეთანხმებით ერთი მუხლი დაამატა (ინსპექტირება/რევიზია). ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ შეტყობინების მომჩივანთან გაგზავნა არანაირად არ წარმოადგენდა რაიმე პირობების დარღვევას და მსგავს სიტუაციაში აბსოლუტურად იგივე შინაარსის წერილები იქნა გაგზავნილი სხვა სადაზღვევო კომპანიებთანაც.[11] ამასთან, შპს ,,ჯეო ჰოსპიტალსმა“ განმარტა - მომჩივანთან დადებული რომელიმე ხელშეკრულების შეწყვეტა მისი მიზანი არ იყო და ამას ადასტურებს ის გარემოება, რომ შეეძლო მისთვის მხოლოდ შეწყვეტის შესახებ გაეგზავნა შეტყობინება. მიწერილ წერილში ასახული იყო არა მარტო ხელშეკრულების შეწყვეტაზე მითითება, არამედ შესათანხმებელ ოპტიმალურ პირობებზეც, შესაბამისად 30/11/2020 წერილის მიზანი არ იყო პირდაპირ და მხოლოდ ხელშეკრულების შესაძლო შეწყვეტა. შპს ,,ჯეო ჰოსპიტალსმა“ დაადასტურა სააგენტოს წარმომადგენლის შეკითხვაში დასმული გარემოება იმის თაობაზე, რომ ხელშეკრულებების გადახედვა და განახლება მხოლოდ კომპანიის მენეჯმენტის მოთხოვნა არ იყო და ეს გადაწყვეტილება ემყარებოდა პანდემიით გამოწვეულ ცვლილებებს ჯანდაცვის სფეროში, რამაც აბსოლუტურად შეცვალა გარემო, ხოლო სამედიცინო სერვისები საჭიროებდა დინამიკაში დაკვირვებას.

ამასთან, შპს ,,ჯეო ჰოსპიტალსმა“ დაადასტურა, რომ მართალია შაბათ დღეს ოჯახის ექიმის მომსახურებასთან დაკავშირებით შეთანხმება მომჩივანთან გაფორმებული არ არის, თუმცა მსგავსი შემოთავაზების არსებობის შემთხვევაში, მზადაა, როგორც მომჩივანთან, ისე ნებისმიერ სხვა სადაზღვევო კომპანიასთან მიიღოს მოლაპარაკებებში მონაწილეობა. უფრო მეტიც, აღნიშნული პირობის ხელშეკრულებაში დამატება მისთვის ეკონომიკურად მომგებიანი იქნება, რადგანაც ასეთ შემთხვევაში მომსახურების გაწევას გაზრდილი ტარიფის პირობებში შეძლებენ. კომპანიის წარმომადგენლებმა ასევე დაადასტურეს, რომ შაბათ დღეს ოჯახის ექიმის მომსახურების შეთანხმებისას, ასევე დღის წესრიგში უნდა დადგეს საკითხი ტარიფის გაზრდის/გაძვირების შესახებ, რადგანაც ოჯახის ექიმის დროის მხრივ დამატებითი

[10] ინდივიდუალური ახსნა-განმარტებითი სხდომის ოქმი N 1, თარიღი: 02.03.2022.

[11] აღნიშნული გარემოება დადასტურებულია შპს ,,ჯეო ჰოსპიტალსის“ წერილის (რეგ: № 01/494; თარიღი: 17.03.2022) დანართი N 3-ით.

დატვირთვა, საჭიროებს დამატებით ანაზღაურებას, რაც სადაზღვევო კომპანიებმა უნდა გაიღონ. შესაბამისად, სს ,,გლობალ ბენეფიტს ჯორჯიაც“ იხდის მხარეებს შორის შეთანხმებულ დამატებით საფასურს.

02/12/2020 წერილის შინაარსთან დაკავშირებით, შპს ,,ჯეო ჰოსპიტალსმა“ განმარტა - ტექსტში გამოყენებული ტერმინი ,,ექსკლუზივი“ 2020 წლის კონტექსტში გულისხმობდა მხოლოდ იმ ფაქტობრივი გარემოების/მოცემულობის დადასტურებას, რომ მთელი ამ დროის განმავლობაში მხოლოდ სს ,,გლობალ ბენეფიტს ჯორჯიას“ ბენეფიციარები სარგებლობდნენ შაბათი დღის მომსახურებით და აღნიშნული არ გამორიცხავდა იმის შესაძლებლობას, რომ სხვა კომპანიების ბენეფიციარებსაც მიეღოთ ეს მომსახურება, შპს ,,ჯეო ჰოსპიტალსთან“ ასეთი შეთანხმების შემთხვევაში. ამასთან, შპს ,,ჯეო ჰოსპიტალსსა“ და სს ,,გლობალ ბენეფიტს ჯორჯიას“ შორის დადებულ ხელშეკრულებაში (ნებისმიერი თარიღის მქონე) ექსკლუზივის თაობაზე არაფერი წერია. რაც შეეხება 2021 წელს, კომპანიის წარმომადგენლების მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, მხარეთა შორის არც ამ დროის განმავლობაში არ იქნა ექსკლუზიური შეთანხმება მიღწეული, რადგანაც სხვა ბევრად უფრო მნიშვნელოვანმა საკითხებმა გადაფარა, მოლაპარაკებები დასრულდა და ეს საკითხი დღის წესრიგიდან მოიხსნა.

1.3.4.3 სს „რისკების მართვისა და სადაზღვევო კომპანია გლობალ ბენეფიტს ჯორჯიას“ ახსნა-განმარტება

სს ,,გლობალ ბენეფიტს ჯორჯიას“ წარმომადგენლებისგან სააგენტოს მიერ გამართულ ახსნა-განმარტებით სხდომაზე[12] შემდეგ გარემოებებთან დაკავშირებით იქნა მიღებული ინფორმაცია - შპს ,,ჯეო ჰოსპიტალსისა“ და სს ,,გლობალ ბენეფიტს ჯორჯიას“ ურთიერთობაში რაიმე სახის პრივილეგიით არც ერთი მხარე არ სარგებლობს. ამასთან, კომპანიის წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ ოჯახის ექიმის მომსახურების თაობაზე დამატებით შაბათი დღის შეთანხმებისას, შესაბამისი ტარიფის გაზრდა მხარეთა ნების გამოვლენის თავისუფლების სფეროა, ხოლო სს ,,გლობალ ბენეფიტს ჯორჯიას“ არც ერთი მომსახურება არ მიუღია შპს ,,ჯეო ჰოსპიტალსისგან“ უფასოდ და ყველა მომსახურებაში საფასურს იხდის. ანალოგიურად, კომპანია დამატებით საფასურს იხდის ოჯახის ექიმის მიერ შაბათი დღის მომსახურებაშიც. კომპანიის წარმომადგენლების ახსნა-განმარტებით, შაბათ დღეს ოჯახის ექიმის მომსახურების დამატებისას სს ,,გლობალ ბენეფიტს ჯორჯია“ მხოლოდ ტენდერზე არ არის დამოკიდებული, რადგანაც არსებობენ სხვადასხვა კორპორატიული კლიენტები, რომლებიც ასევე შეიძლება საჭიროებდნენ ოჯახის ექიმის მომსახურებას შაბათ დღეს. ოჯახის ექიმის შაბათი დღისთვის მომსახურების შეთანხმებისას, სს ,,გლობალ ბენეფიტს ჯორჯიას“ უკვე ჰყავდა დაზღვეულები მარნეულში და გარდაბანში საკმაოდ დიდი რაოდენობით. ამასთან, სადაზღვევო კომპანიას ჰყავს სპეციფიკური კატეგორიის დაზღვეული

[12] ინდივიდუალური ახსნა-განმარტებითი სხდომის ოქმი N 2, თარიღი: 07.03.2022.

პირები, რომლებსაც ძალიან მაღალი სტანდარტები აქვთ. აქედან გამომდინარე, წარმომადგენლების განმარტებით, ექსკლუზიური პირობების შეთანხმება სამედიცინო კლინიკასთან, ბენეფიციარებისთვის არის კომფორტი და ფუფუნება, რომ გარკვეული მომსახურება კონკრეტულ ფასად მიიღონ. სს ,,გლობალ ბენეფიტს ჯორჯიას“ განმარტებით, ბენეფიციარები სწორედ ასეთ ექსკლუზიურ პირობებს ანიჭებენ უპირატესობას, შაბათი დღე არის განსაკუთრებული მოთხოვნა კლიენტების მხრიდან, როდესაც ისინი გარკვეულ ორგანიზაციაში არიან დასაქმებულები. შაბათი დღე განეკუთვნება განსაკუთრებულ სარგებელს და შესაბამისად მხოლოდ ქ. გარდაბანსა და ქ. მარნეულში მსგავსი მომსახურების საჭიროება არ დგას.

დღეის მდგომარეობით, ექსკლუზიური პირობების შეუთანხმებლობასთან დაკავშირებით, სს ,,გლობალ ბენეფიტს ჯორჯიას“ წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ შპს ,,ჯეო ჰოსპიტალსში“ მენეჯმენტის გარკვეული ცვლილებები განხორციელდა. აღნიშნულმა გამოიწვია ის გარემოება, რომ სს ,,გლობალ ბენეფიტს ჯორჯიას“ მატერიალური ფორმით ექსკლუზიურ შეთანხმებაზე ხელი არ აქვს მოწერილი. გარდა ამისა, 2022 წლისთვისაც ეს საკითხი შეიძლება დღის წესრიგიდან იყოს მოხსნილი.

სატენდერო საჩივრებთან დაკავშირებით სს ,,გლობალ ბენეფიტს ჯორჯიას“ წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ მათი სტრატეგიის ნაწილია, თუ რომელ საჩივარზე რომელ მტკიცებულებას წარადგენენ და აღნიშნულ საკითხში შეზღუდული არ არიან, რადგანაც ეს უკანასკნელი შეჯიბრებითობის პრინციპიდან გამომდინარეობს.

1.3.5. საკონსულტაციო შეხვედრები

საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებებთან დაკავშირებით ინფორმაციის მისაღებად, სააგენტომ საკონსულტაციო შეხვედრები გამართა სს ,,დაზღვევის საერთაშორისო კომპანია ირაოს“ წარმომადგენლებთან და შპს ,,ჯეო ჰოსპიტალსის“ საოპერაციო სამსახურის უფროსთან.[13]

სს ,,დაზღვევის საერთაშორისო კომპანია ირაოს“ წარმომადგენლების განმარტებით, შაბათ დღეს ოჯახის ექიმის მომსახურება არასტანდარტულად იმიტომ მიაჩნიათ, რომ ხელშეკრულებაში არ არის გაწერილი აღნიშნული მომსახურება. ხელშეკრულებაში ასახულია სამუშაო დღეებში გაწეული მომსახურება და არასტანდარტულად ითვლება, თუ სადაზღვევო კომპანიას დამატებითი სახის მომსახურება სჭირდება. წარმომადგენლების განმარტებით, სამედიცინო საჭიროებიდან გამომდინარე, პირები სარგებლობენ დამატებითი სერვისებით. სააგენტოს თანამშრომლის შეკითხვაზე, თუ რატომ არ არის შაბათი დღის თაობაზე შეთანხმება დაფიქსირებული წერილობით ხელშეკრულებაში და რატომ არსებობს აღნიშნულთან

[13] საკონსულტაციო შეხვედრის ოქმი N 1, თარიღი: 02.03.2022; საკონსულტაციო შეხვედრის ოქმი N 2, თარიღი: 31.03.2022.

დაკავშირებით მხოლოდ ზეპირი შეთანხმება, კომპანიის წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ სამუშაო დღეებში ხორციელდება გეგმიური სამედიცინო მომსახურება და თუ ვინმეს დასჭირდება, ვალდებულნი არიან მიაწოდონ გადაუდებელი სამედიცინო მომსახურებაც. დღემდე შეუფერხებლად მიმდინარეობს პაციენტთა მომსახურება, მათ შორის შაბათ დღესაც და აღნიშნულთან დაკავშირებით არანაირი პრეტენზია არ გამოთქმულა. წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ კონკრეტულად შაბათი დღის მომსახურებაზე საუბარი შპს ,,ჯეო ჰოსპიტალსთან“ არც ჰქონიათ და არც ამ თვალსაზრისით ყოფილა რაიმე სახის შეფერხება.

შპს ,,ჯეო ჰოსპიტალსის“ საოპერაციო სამსახურის უფროსთან გამართულ საკონსულტაციო შეხვედრაზე, აღნიშნულმა პირმა ზეპირად დაადასტურა ყველა იმ გარემოების არსებობა, რომელიც თავის მხრივ მომჩივანთან 2020 წლის 30 დეკემბრის ელექტრონული მიმოწერით დგინდებოდა. შესაბამისად, მას აღნიშნულ ეპიზოდთან დაკავშირებულ მიმოწერაში განხორციელებული კორესპონდენციის ფაქტი (დოკუმენტურად დადასტურებული დროებისა და კომუნიკაციის შინაარსის ჩათვლით) სადავოდ არ გაუხდია. მოპასუხის წარმომადგენელმა განმარტა მიზეზი, რის გამოც ამოღებულ იქნა მისი მხრიდან გაგზავნილი დოკუმენტიდან კონკრეტულ ლოკაციაზე ქ. მარნეულში შაბათ დღეს ოჯახის ექიმის მომსახურება. კერძოდ, პირველი ძირითადი ხელშეკრულება მოიცავდა სამუშაო დღეებს ძირითადი ლოკაციის ადგილებზე, ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით და გაწერილი იყო ყველა ლოკაციაზე შესაბამისი ტარიფით. სამი ლოკაცია, რისი დამატებაც მოხდა, იგივე ,,რეინჯის“ ლოკაციებია, რომელიც მანამდეც იყო მხარეთა შორის შეთანხმებული. რაც შეეხება შაბათი დღის არდამატებას - ვინაიდან შექმნილი იყო ფორსმაჟორული გარემოება, ანუ 30 დეკემბერს ვერ ესწრებოდა აღნიშნულ მომსახურებასთან დაკავშირებული სხვადასხვა გარემოებების გარკვევა, უფრო კონკრეტულად კი დამატებითი ტარიფის ხელმძღვანელობასთან შეთანხმება. მოპასუხის წარმომადგენლის განმარტებით, მთავარი პრიორიტეტი გენერალური ხელშეკრულებით სამედიცინო მომსახურების უწყვეტი პროცესის შენარჩუნება იყო. შესაბამისად, 2020 წლის 30 დეკემბრამდე მას არ ახსოვს შედგა თუ არა რაიმე სახის კომუნიკაცია ოჯახის ექიმის ქ. მარნეულში შაბათ დღეს დამატებასთან დაკავშირებით, ხოლო 2020 წლის 30 დეკემბერს ანუ ერთ დღეში შპს ,,ჯეო ჰოსპიტალსი“ ვერ გამოიანგარიშებდა ახალ კონკრეტულ ტარიფს. ამასთან სამი რაიონი მართალია 2020 წლის 30 დეკემბერს დაემატა ოჯახის ექიმით მომსახურების ხელშეკრულებას, თუმცა ამ რაიონების შემთხვევაში (რადგანაც ბაღდათის, ვანის და დუშეთის კლინიკები დაახლოებით იგივე ,,რეინჯის“ მქონეა როგორიც სამტრედიაა), შეთავაზებულ იქნა იგივე ტარიფი. კომპანიის წარმომადგენლის განმარტებით, შაბათი დღე სხვა ლოკაციაზე არსად არ აქვს შპს ,,ჯეო ჰოსპიტალსს“ და შაბათი დღის ტარიფი იმ ეტაპზე არ იცოდა. შესაბამისად, 1 ან 2 საათში ვერც შესთავაზებდა ტარიფს, თუმცა მოგვიანებით შეეძლოთ ყველაფერი დაეთვალათ და შეთანხმებულიყვნენ. ტარიფის დაზუსტებას შესაძლოა 2 დღე დასჭირვებოდა, რადგანაც აღნიშნული, გარდა ხელმძღვანელობასთან შეთანხმებისა, ოჯახის ექიმთან დაკავშირებას და მის წინასწარ გაფრთხილებასაც გულისხმობდა, რასაც ადგილი უნდა ჰქონოდა 2020 წლის მიწურულსა და 2021 წლის დასაწყისში ანუ ფორსმაჟორულ გარემოებებში. ამასთან,

მოპასუხის წარმომადგენლის განმარტებით, მომჩივანის მხრიდან არ ყოფილა არანაირი კომუნიკაცია, იმასთან დაკავშირებით, რომ სურდათ შაბათ დღეს ოჯახის ექიმის დამატება, თუმცა არანაირი პრობლემა არ იქნებოდა შაბათი დღის დამატებაც, თუ რა თქმა უნდა მხარეები პირობებზე შეთანხმდებოდნენ.

შპს ,,ჯეო ჰოსპიტალსის" საოპერაციო სამსახურის უფროსმა მოცემულ ახსნა-განმარტებით სხდომაზე აგრეთვე დაადასტურა, რომ ის იყო მიმოწერაზე უფლებამოსილი პირი, თუმცა შაბათი დღის ამოღება განპირობებული იყო დროის სიმცირის გამო (მცირე დროში ახალი ტარიფის გარკვევის მოუსწრებლობის მიზეზით). მოპასუხის წარმომადგენელმა ასევე დაადასტურა, რომ 3 საათიანი პერიოდის განმავლობაში მან მოახერხა 3 რაიონი დამატებოდა ოჯახის ექიმის მომსახურების ხელშეკრულებას, ასევე სამუშაო დღეების განმავლობაში ოჯახის ექიმის მომსახურების დაწყებისა და დასრულების ახალი დროები შეთანხმდა.

II. ნორმატიული რეგულირება

2.1. კონკურენციის კანონმდებლობა

2.1.1. მატერიალური ნაწილი

საქართველოს კონსტიტუციის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, „სახელმწიფო ზრუნავს თავისუფალი და ღია ეკონომიკის, თავისუფალი მეწარმეობისა და კონკურენციის განვითარებაზე."

„კონკურენციის შესახებ" საქართველოს კანონის[14] პირველი მუხლით, კანონის რეგულირების სფეროდ განისაზღვრება თავისუფალი და სამართლიანი კონკურენციის არამართლზომიერი შეზღუდვისაგან დაცვის პრინციპების დადგენა, რაც, თავის მხრივ, თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენტუნარიანი ბაზრის განვითარების საფუძველია. აღნიშნულის საფუძველზე, მე-2 მუხლით კონკრეტდება კანონის მიზანი: საქართველოში ბაზრის ლიბერალიზაციის, თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის ხელშეწყობა.

კანონის მე-6 მუხლის თანახმად, დაუშვებელია ერთი ან რამდენიმე (ჯგუფური დომინანტური მდგომარეობის შემთხვევაში) ეკონომიკური აგენტის მიერ დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენება. ასეთად შეიძლება ჩაითვალოს შემდეგი ქმედებები:
ა) შესყიდვის ან გაყიდვის არასამართლიანი ფასის ან სხვა არასამართლიანი სავაჭრო პირობების პირდაპირ ან არაპირდაპირ დადგენა (ფიქსირება);

[14] კონსოლიდირებული პუბლიკაცია: 28.05.2021

ბ) წარმოების, ბაზრის ან ტექნოლოგიური განვითარების მომხმარებლის ინტერესების საზიანოდ შეზღუდვა;
გ) გარკვეული სავაჭრო პარტნიორებისთვის იდენტურ ტრანზაქციებზე განსხვავებული პირობების დაწესება, რითაც ხდება მათი არაკონკურენტულ მდგომარეობაში ჩაყენება;
დ) გარიგების დასადებად მხარისთვის ისეთი დამატებითი პირობის დადგენა/ვალდებულების დაკისრება, რომელიც არც საგნობრივად და არც კომერციულად დაკავშირებული არ არის გარიგების საგანთან, და სხვა.

შესაბამისად, დომინანტური მდგომარეობის მქონე ეკონომიკურ აგენტს კანონი მომეტებულ პასუხისმგებლობას აკისრებს. კონკრეტული ეკონომიკური აგენტის მიმართ დომინანტური მდგომარეობის ფაქტის დადგენა თავისთავად არ წარმოადგენს კონკურენციის კანონმდებლობის დარღვევას, არამედ, ასეთ ეკონომიკურ აგენტს აკისრებს სპეციალურ ვალდებულებას, არ განახორციელოს ისეთი ქმედება, რომელიც შესაბამის ბაზარზე საფრთხეს შეუქმნის ჯანსაღ კონკურენტულ გარემოს.[15]

თავად „დომინანტურ მდგომარეობის“ ცნებას კანონის მე-3 მუხლის „ი“ პუნქტი განმარტავს, კერძოდ, დომინანტური მდგომარეობა არის შესაბამის ბაზარზე მოქმედი ეკონომიკური აგენტის/ეკონომიკური აგენტების ისეთი მდგომარეობა, რომელიც მას/მათ საშუალებას აძლევს, იმოქმედოს/იმოქმედონ კონკურენტი ეკონომიკური აგენტებისგან, მიმწოდებლებისგან, კლიენტებისა და საბოლოო მომხმარებლებისგან დამოუკიდებლად, არსებითი გავლენა მოახდინოს/მოახდინონ შესაბამის ბაზარზე საქონლის მიმოქცევის საერთო პირობებზე და შეზღუდოს/შეზღუდონ კონკურენცია. თუკი სხვა მტკიცებულებები არ არსებობს, ეკონომიკური აგენტი/ეკონომიკური აგენტები არ ჩაითვლება/არ ჩაითვლებიან დომინანტური მდგომარეობის მქონედ/მქონეებად, თუ შესაბამის ბაზარზე მისი/მათი წილი 40 პროცენტს არ აღემატება. ორი ან ორზე მეტი ეკონომიკური აგენტიდან თითოეული ჩაითვლება დომინანტური მდგომარეობის მქონედ, თუ ისინი არ განიცდიან მნიშვნელოვან კონკურენციას განსახილველი ჯგუფის შიგნით და მის მიღმა შესაბამის ბაზარზე მოქმედი სხვა ეკონომიკური აგენტებისგან, ნედლეულის წყაროს და გასაღების ბაზრის შეზღუდული ხელმისაწვდომობის, შესაბამის ბაზარზე შესვლის ბარიერებისა და საბაზრო ძალაუფლების განმსაზღვრელი სხვა ფაქტორების გათვალისწინებით, ამასთანავე:

ი.ა) არაუმეტეს 3 ეკონომიკური აგენტის ერთობლივი წილი 50 პროცენტს აღემატება, ამასთანავე, თითოეულის საბაზრო წილი არანაკლებ 15 პროცენტია;

ი.ბ) არაუმეტეს 5 ყველაზე მნიშვნელოვანი წილის მქონე ეკონომიკური აგენტის ერთობლივი წილი 80 პროცენტს აღემატება, ამასთანავე, თითოეულის საბაზრო წილი არანაკლებ 15 პროცენტია.

[15] Case 322/81 *Michelin NV v Commission* [1983] ECLI:EU:C:1983:313 [57].

კანონის მე-5 მუხლი კი განმარტავს, რომ დომინანტური მდგომარეობა განისაზღვრება შესაბამის ბაზარზე ეკონომიკური აგენტის საბაზრო წილის, აგრეთვე მისი კონკურენტების საბაზრო წილების, ბაზარზე შესვლის ბარიერების, წარმოების გაფართოების ბარიერების, მყიდველის საბაზრო ძალაუფლების, ნედლეულის წყაროს ხელმისაწვდომობის, ვერტიკალური ინტეგრაციის ხარისხის, ქსელური ეფექტებისა და საბაზრო ძალაუფლების განმსაზღვრელი სხვა ფაქტორების გათვალისწინებით. სააგენტო ეკონომიკური აგენტის საბაზრო წილს და საბაზრო ძალაუფლებას განსაზღვრავს კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 23 ოქტომბრის N 37 ბრძანებით დამტკიცებული ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების გამოყენებით.

2.1.2. პროცედურული ნაწილი

კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, სააგენტოში საჩივრის წარდგენის უფლება აქვს მომჩივანს, რომელიც მხარედ განიხილება. მან სააგენტოში საჩივართან ერთად უნდა წარადგინოს მტკიცებულებები და მასვე ეკისრება მტკიცების ტვირთი.

„საქმის მოკვლევის წესის და პროცედურის დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 28 ოქტომბრის N 40 ბრძანებით დამტკიცებული პროცედურის (შემდგომში - „პროცედურა“) მე-5 მუხლის მიხედვით, სააგენტო უფლებამოსილია დაიწყოს საქმის მოკვლევა საჩივრის საფუძველზე ან საკუთარი ინიციატივით, მ.შ. კანონის მე-6 მუხლის სავარაუდო დარღვევის ფაქტზე.

კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 23 ოქტომბრის N 38 ბრძანებით დამტკიცებულ იქნა „საჩივრის ფორმა, მისი წარდგენის წესი და საჩივრის დასაშვებობასთან დაკავშირებული პროცედურები და ვადები“, რომლის მე-7 მუხლი აწესრიგებს საჩივრის მატერიალური დასაშვებობის საკითხს. კერძოდ, სააგენტო საჩივარს შეისწავლის მისი შემოსვლიდან 30 სამუშაო დღის ვადაში (შესაძლებელია ამ ვადის 15 სამუშაო დღით გაგრძელება). აღნიშნულ ვადაში სააგენტოს გამოაქვს გადაწყვეტილება საჩივრის დასაშვებად ცნობის ან დასაშვებად ცნობაზე უარის თქმის შესახებ.

კანონის 25-ე მუხლისა და პროცედურის მე-6 მუხლის თანახმად, საქმის მოკვლევის დაწყების თაობაზე გადაწყვეტილების მიღების შემდეგ სააგენტო იწყებს საქმის მოკვლევას და არაუგვიანეს 6 თვისა იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას, ამასთან, მოკვლევის მნიშვნელობისა და სირთულის გათვალისწინებით, სააგენტოს გადაწყვეტილებით, საქმის მოკვლევა შეიძლება გაგრძელდეს 18 თვემდე.

პროცედურის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სააგენტო უფლებამოსილია ეკონომიკურ აგენტს/მხარეს/დაინტერესებულ მხარეს მოსთხოვოს ნებისმიერი დოკუმენტი/ინფორმაცია (მათ შორის, კონფიდენციალური), რომელიც საჭიროა სააგენტოს

მიერ შესაბამისი უფლებამოსილების განხორციელების პროცესში და ხელს შეუწყობს საქმისათვის მნიშვნელოვანი გარემოებების დადგენას.

პროცედურის მე-20 მუხლის მიხედვით, სააგენტო ვალდებულია ადმინისტრაციული წარმოების პროცესში გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე. საქმის გარემოებებიდან გამომდინარე სააგენტო უფლებამოსილია:

ა) შეაგროვოს ინფორმაცია საქმესთან დაკავშირებით;
ბ) მიიღოს ახსნა-განმარტება ან გამართოს საკონსულტაციო შეხვედრა საქმის გარემოებათა დასადგენად;
გ) მოიწვიოს ექსპერტი;
დ)მტკიცებულებათა შეგროვების, გამოკვლევისა და შეფასების მიზნით მიმართოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა ზომებს.

პროცედურის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საქმისათვის მნიშვნელოვანი გარემოებების დასადგენად სააგენტოს თავისი ინიციატივით ან მხარის შუამდგომლობის საფუძველზე შეუძლია ახსნა-განმარტების მისაღებად მოიწვიოს მხარე ან/და დაინტერესებული მხარე. პროცედურის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, სააგენტო, ახსნა-განმარტების მიღების მიზნით, ატარებს სხდომას მხარეთა მონაწილეობით, ხოლო 25-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, მოკვლევის ინტერესების გათვალისწინებით, ახსნა-განმარტების მიღება შესაძლებელია მოხდეს სხდომის ჩატარების გარეშე, ინდივიდუალური ახსნა-განმარტების ჩამორთმევის გზით.

კანონის 25-ე მუხლის მე-11 და მე-12 პუნქტების შესაბამისად, სააგენტო შემაჯამებელი სხდომის გამართვამდე განმცხადებელსა და მხარეს წერილობით უგზავნის სააგენტოს საბოლოო გადაწყვეტილების პროექტსა და საქმის მასალებს. ამასთანავე, განმცხადებელსა და მხარეს განემარტებათ, რომ მათ უფლება აქვთ, წარმოადგინონ თავიანთი პოზიციები და შესაბამისი დამატებითი ინფორმაცია (მტკიცებულებები). განმცხადებლისა და მხარის მიერ თავიანთი პოზიციების წარმოდგენისათვის განსაზღვრული ვადა არ უნდა იყოს 25 სამუშაო დღეზე ნაკლები. ამ ვადის ამოწურვის შემდეგ წარდგენილი ინფორმაცია სააგენტომ შეიძლება არ გაითვალისწინოს საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას.

პროცედურის 28-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საქმის გარემოებათა გამოკვლევისა და მტკიცებულებების შეგროვების შემდეგ ინიშნება შემაჯამებელი სხდომა მხარეებისა და სხვა უფლებამოსილი ორგანოების/პირების მონაწილეობით, ხოლო 29-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, შემაჯამებელი სხდომის დასრულების შემდგომ მოკვლევის ჯგუფი ამზადებს გადაწყვეტილების პროექტს, რომელიც წარედგინება სააგენტოს თავმჯდომარეს დასამტკიცებლად.

სააგენტოს მიერ საქმის მოკვლევის განხორციელების პროცესში მიღებული გადაწყვეტილებები და კვლევები საჯაროა, გარდა კანონის მე-20 მუხლით განსაზღვრული კონფიდენციალური ინფორმაციისა.

2.2. სამედიცინო სადაზღვევო მომსახურების სამართლებრივი რეგულირების ჩარჩო ნორმა

„დაზღვევის შესახებ" საქართველოს კანონის მიხედვით, სადაზღვევო საქმიანობა არის მზღვეველის საქმიანობა, რომელიც დაკავშირებულია დაზღვევისა და გადაზღვევის ხელშეკრულებების დადებასა და განხორციელებასთან.

ამავე კანონის მე-4 მუხლით, დაზღვევის ერთ-ერთ ობიექტს წარმოადგენს პირადი დაზღვევა, კერძოდ კი დაზღვევა, რომელიც დაკავშირებულია დაზღვეულის სიცოცხლესთან, ჯანმრთელობასთან, შრომისუნარიანობასთან, საპენსიო უზრუნველყოფასთან და სხვა პირად ინტერესებთან.

აღნიშნული კანონის 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადაზღვევო საქმიანობის ლიცენზია გაიცემა მხოლოდ შემდეგ საქმიანობაზე: ა) სიცოცხლის დაზღვევა; ბ) დაზღვევა (არა სიცოცხლის); გ) გადაზღვევა, რაც, ასევე, მოწესრიგებულია „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონის[16] მე-6 მუხლით.

„დაზღვევის შესახებ" საქართველოს კანონის მიხედვით, მე-8, მე-9 და მე-10 მუხლებით, დამზღვევი არის პირი, რომელმაც მზღვეველთან დადო დაზღვევის ხელშეკრულება, ხოლო მზღვეველს წარმოადგენს იურიდიული პირი, რომელიც შექმნილია სადაზღვევო საქმიანობის განხორციელებისათვის და რომელსაც ამ კანონით დადგენილი წესით მიღებული აქვს დაზღვევის შესაბამისი სახეობის განხორციელების ლიცენზია. მზღვეველის, როგორც ორგანიზაციის, რეგისტრაცია ხორციელდება საქართველოში იურიდიული პირის რეგისტრაციისათვის დადგენილი წესით. დაზღვეული კი არის პირი, რომლის მიმართაც ხორციელდება დაზღვევა. დამზღვევი შეიძლება იმავდროულად იყოს დაზღვეული, თუ დაზღვევის ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

უშუალოდ ჯანმრთელობის დაზღვევის მომწესრიგებელ ნორმებს შეიცავს საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, რომლის 843[1] მუხლის მიხედვით ჯანმრთელობის დაზღვევის ხელშეკრულებით მზღვეველი ვალდებულია აანაზღაუროს დაზღვეული პირის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებასთან ან ჯანმრთელობის დაზიანებასთან დაკავშირებული მკურნალობის და ამ ხელშეკრულებით შეთანხმებული სხვა სამედიცინო მომსახურების ხარჯები ამავე ხელშეკრულებით დადგენილი წესითა და პირობებით. ამასთან,

[16] კონსოლიდირებული პუბლიკაცია: 17.07.2020

ჯანმრთელობის დაზღვევის ხელშეკრულება შეიძლება დადოს დამზღვევმა დაზღვეული პირის სასარგებლოდ.

საბაზრო ეკონომიკისა და ხელშეკრულების დადების თავისუფლების პირობებში, საქართველოს სადაზღვევო პრაქტიკის მაგალითზე, უმეტეს შემთხვევაში, სადაზღვევო კომპანიები თავად განსაზღვრავენ იმ სამედიცინო დაწესებულებებს, სადაც დამზღვევმა უნდა მიიღოს კონკრეტული ტიპის სამედიცინო მომსახურება.[17]

2.3. ამბულატორიული (მ.შ. ოჯახის ექიმის) მომსახურების სამართლებრივი რეგულირების ჩარჩო ნორმა

„ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის[18] მე-4 მუხლის „კ“ ქვეპუნქტის თანახმად, ჯანმრთელობის დაცვის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ერთ-ერთ პრინციპს პირველადი ჯანმრთელობის დაცვის, მათ შორის გადაუდებელი სამედიცინო დახმარების პრიორიტეტულობა, მათში სახელმწიფო და კერძო სექტორების მონაწილეობა, საოჯახო მედიცინისა და ოჯახის ექიმის ინსტიტუტის განვითარება და მასზე დაფუძნებული სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა წარმოადგენს.

ამავე კანონის მე-3 მუხლის „ტ[2]“ ქვეპუნქტით ოჯახის ექიმი განსაზღვრულია, როგორც ექიმი-სპეციალისტი, რომელსაც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით უფლება აქვს პირველადი მრავალპროფილური სამედიცინო მომსახურება გაუწიოს ყველა ასაკის ორივე სქესის პირს. ამავე მუხლის „ტ“ ქვეპუნქტი განმარტავს, რომ პირველადი ჯანმრთელობის დაცვას წარმოადგენს ჯანმრთელობის დაცვის სისტემასთან ცალკეული პირისა და ოჯახის პირველი შეხება; უწყვეტი, ყოვლისმომცველი და კოორდინირებული, უპირველესად საოჯახო მედიცინის სისტემაზე დაფუძნებული, საზოგადოების თითოეული წევრისათვის ხელმისაწვდომი სამედიცინო მომსახურება, რომელიც მოიცავს ჯანმრთელობის ხელშეწყობის, დაავადებების პრევენციის, ფართოდ გავრცელებული დაავადებების სამკურნალო და სარეაბილიტაციო ღონისძიებებს, მათ შორის, დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობაზე ზრუნვას, ოჯახის დაგეგმვას, პალიატიურ მზრუნველობას, აუცილებელი მედიკამენტებით ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას.

„ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 89[1]-ე მუხლის თანახმად, პირველადი ჯანმრთელობის დაცვის სისტემის, მათ შორის, საოჯახო მედიცინის, განვითარებისათვის აუცილებელ სამართლებრივ ბაზას და ორგანიზაციულ-სამართლებრივი

---

[17] *ირემაშვილი, ქ.,* ჯანმრთელობის დაზღვევის სამართლებრივი რეგულირების თავისებურებანი, სამართლის ჟურნალი N2, 2011, გვ-გვ. 56-76, 63.

[18] კონსოლიდირებული პუბლიკაცია: 16.03.2021

მოწყობის წესს შეიმუშავებს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2016 წლის 4 მარტის №01-9/ნ ბრძანების[19] „სამედიცინო დაწესებულებების კლასიფიკაციის განსაზღვრის თაობაზე“ მე-2 მუხლის მიხედვით სამედიცინო სერვისების მიმწოდებელი დაწესებულებები იყოფა შემდეგ ჯგუფებად:

ა) ამბულატორიული დაწესებულებები;
ბ) სტაციონარული დაწესებულებები;
გ) ხანგრძლივი მოვლის დაწესებულებები;
დ) შინმოვლის დაწესებულებები/ბინაზე სამედიცინო სერვისის მიმწოდებელი სუბიექტები;
ე) ჰოსპისი;
ვ) სასწრაფო გადაუდებელი დახმარებისა და სამედიცინო ტრანსპორტირების (რეფერალის) სამსახურები;
ზ) დამხმარე სერვისების მიმწოდებელი დაწესებულებები;
თ) საზოგადოებრივი ჯანდაცვის ლაბორატორიები.

ამავე ბრძანების მე-3 მუხლი ეხება ამბულატორიულ დაწესებულებებს, კერძოდ, მუხლის მიხედვით, ამბულატორიული სერვისების მიმწოდებელი დაწესებულებები აწარმოებენ დაავადებათა პროფილაქტიკასთან, დიაგნოსტიკასთან, მკურნალობასთან, რეაბილიტაციასა და/ან პალიატიურ მზრუნველობასთან დაკავშირებულ სამედიცინო მომ-სახურებას. ისინი სამედიცინო მომსახურებას შეიძლება აწვდიდნენ 24-საათიან რეჟიმშიც, თუმცა, მათში ცალკეული პაციენტის დაყოვნების ხანგრძლივობა არ აღემატება 24 საათს.

ამბულატორიული სერვისის მიმწოდებელი დაწესებულებები იყოფა რამდენიმე ტიპად, მ.შ. ოჯახის ექიმის/სოფლის ექიმის ოფისი და საოჯახო მედიცინის/სოფლის ამბულატორიული ცენტრი (ტიპი „a“); ექიმ-სპეციალისტის კაბინეტი (ოფისი) (ტიპი „b“); პოლიკლინიკა (ტიპი „d“); რეპროდუქციული ჯანმრთელობის ცენტრი (ტიპი „f“); დღის სტაციონარი (მ.შ. ენდოსკოპიური, ლითოტრიპსიული, ოფთალმოლოგიური და სხვ. სერვისის მიმწოდებელი) (ტიპი „i“) და სხვ.

აღსანიშნავია, რომ ამავე მუხლით ოჯახის ექიმის/სოფლის ექიმის ოფისი და საოჯახო მედიცინის/სოფლის ამბულატორიული ცენტრი (ტიპი „a“) განმარტებულია, როგორც პირველადი ჯანდაცვის დაწესებულება, რომელიც ახორციელებს ჯანმრთელობის ხელშეწყობის, დაავადებების პრევენციის, სამკურნალო, სარეაბილიტაციო ღონისძიებებს, მათ შორის, დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობაზე ზრუნვას, ოჯახის დაგეგმვას, გერიატრიულ და

[19] კონსოლიდირებული პუბლიკაცია: 06.07.2021

პალიატიურ მზრუნველობას და ა.შ. ის შეიძლება არსებობდეს, ასევე, არასამედიცინო დაწესებულებაში ინტეგრირებული სახით. აქვე, მოიაზრება სააღმზრდელო-საგანმანათლებლო დაწესებულების (მაგ.: სკოლის) ექიმის ოფისი. საოჯახო მედიცინის/სოფლის ამბულატორიულ ცენტრში, ოჯახის ექიმის/სოფლის ექიმის ოფისისგან განსხვავებით, პირველადი ჯანდაცვის სერვისების მიწოდებას უზრუნველყოფს რამდენიმე საოჯახო მედიცინის/სოფლის ექიმის გუნდი.

III. შესაბამისი ბაზარი

3.1 შესაბამისი ბაზრის განსაზღვრა

დომინანტური მდგომარეობის დადგენამდე, პირველ რიგში, უნდა განისაზღვროს შესაბამისი ბაზარი და ამის შემდეგ დადგინდეს ეკონომიკური აგენტის ძალაუფლების მასშტაბი ამ ბაზართან მიმართებაში.

საქართველოს კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის მიერ 2020 წლის 23 ოქტომბრის № 37 ბრძანებით დამტკიცებული ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების (შემდგომში - ,,ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებები“) მე-5 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, შესაბამისი ბაზრის იდენტიფიცირება ხდება შემდეგი სამი პარამეტრის მეშვეობით:

ა) სასაქონლო/მომსახურების ბაზრის პროდუქციული საზღვრები;
ბ) სასაქონლო/მომსახურების ბაზრის გეოგრაფიული საზღვრები;
გ) სასაქონლო/მომსახურების ბაზრის დროითი ჩარჩოები.

3.1.1 შესაბამისი ბაზრის პროდუქციული საზღვრები

ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების მე-8 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, შესაბამისი ბაზრის პროდუქციულ საზღვრებში ექცევა ყველა საქონელი ან მომსახურება, რომელიც შეიძლება ჩაითვალოს ურთიერთჩანაცვლებადად ამ საქონლის/მომსახურების მახასიათებლებიდან, ფასებიდან და მათი გამოყენების მიზნებიდან გამომდინარე.

უპირველეს ყოვლისა იმისათვის, რომ სწორად იქნეს დადგენილი შესაბამისი ბაზრის პროდუქციული საზღვარი, აუცილებელია გაანალიზდეს განსახილველ ბაზართან დაკავშირებული 2 ძირითადი ასპექტი:

- შესაბამისი ბაზრის დონეების რაოდენობა;

- შესაბამისი ბაზრის პროდუქციული საზღვრების იდენტიფიცირება დონეების მიხედვით.

- *შესაბამისი ბაზრის დონეების რაოდენობა*

შესაბამის ბაზარს შესაძლოა გააჩნდეს ორი ან მეტი დონე. აღნიშნული დონეების რაოდენობას, უპირველეს ყოვლისა განსახილველი პროდუქციის ან მომსახურების ეკონომიკურ აგენტთა შორის არსებულ ურთიერთობებში მიმოქცევის მიმართულება განსაზღვრავს. კერძოდ, განსახილველი პროდუქტი ან მომსახურება მის საბოლოო რეალიზაციამდე ე.ი. საბოლოო მომხმარებლის მიერ მის შეძენამდე, შესაძლოა გარკვეულ საწარმოო და სავაჭრო სტადიებს გადიოდეს. მაგალითად, წარმოების, გადამუშავების, დისტრიბუციის და რეალიზაციის სტადიებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, სხვადასხვა ბაზრებზე მოქმედი ეკონომიკური აგენტები ერთმანეთს აწვდიან და ერთმანეთისგან იძენენ პროდუქციას/მომსახურებას, რაც განაპირობებს მათ გარკვეულ ეკონომიკურ ურთიერთკავშირს. მაგალითად, ფქვილის მწარმოებელი კომპანიები, აღნიშნულ პროდუქტს აწვდიან პურის მწარმოებელ ეკონომიკურ აგენტებს. ასევე, სათამაშო მაგიდების მწარმოებელი ეკონომიკური აგენტები, აღნიშნულ პროდუქციას აწვდიან სათამაშო ბიზნესის წარმომადგენლებს (მაგალითად, სამორინეებს, სლოტ-კლუბებს), რომლებიც მოცემული პროდუქციით მომხმარებლებს მომსახურებას უწევენ. ანალოგიურად, ძრავის მწარმოებელი კომპანიები აღნიშნულ პროდუქტს აწვდიან ავტომობილების მწარმოებელ კომპანიებს და სხვა.

წინამდებარე დავის ფარგლებში, სააგენტოს მიერ განსახილველი საგანია არა რაიმე სახის პროდუქტის, არამედ მომსახურების მიმოქცევის საკითხი. იმის გათვალისწინებით, რომ მოკვლევის მხარეებს სადაზღვევო კომპანია და სამედიცინო დაწესებულება წარმოადგენენ, აუცილებელია მკაფიოდ გამოიკვეთოს ზემოთ ხსენებული ეკონომიკური ურთიერთკავშირი სამედიცინო დაწესებულებებსა და სადაზღვევო კომპანიებს შორის. კერძოდ, სამედიცინო დაწესებულებასა და სადაზღვევო კომპანიას შორის შესაძლოა დამყარდეს სახელშეკრულებო ურთიერთობა იმ მიზნით, რომ ამ უკანასკნელმა შეძლოს პაციენტთა ჯანმრთელობის დაზღვევა ანუ იმისათვის, რომ მას გააჩნდეს აღნიშნული სადაზღვევო მომსახურების პაკეტი. აქედან გამომდინარე, სამედიცინო მომსახურების შეძენით დაინტერესებული სადაზღვევო კომპანიები მიმართავენ სამედიცინო დაწესებულებებს შეთანხმებული საფასურის სანაცვლოდ ამა თუ იმ მომსახურების სადაზღვევო პაკეტისთვის შესაძენად, რაც საბოლოო ჯამში ჯანმთელობის დაზღვევის პროდუქტის ფორმირებას განაპირობებს. შესაბამისი შეთანხმების მიღწევის პირობებში, სამედიცინო დაწესებულება აწვდის, ხოლო სადაზღვევო კომპანია იძენს სხვადასხვა სახის მომსახურებას - ეს უკანასკნელი კი სადაზღვევო კომპანიას საკუთარი კლიენტებისთვის ესაჭიროება.

ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, ცალსახად დგინდება 2 სახის - სამედიცინო და სადაზღვევო მომსახურებათა ეკონომიკური ურთიერთკავშირი, რაც ჯანმრთელობის

დაზღვევის კონტექსტში არ იძლევა მათი ერთმანეთისგან დამოუკიდებლად განხილვის შესაძლებლობას. შესაბამისად, სამედიცინო მომსახურების მიმოქცევის თვალსაზრისით, სამედიცინო დაწესებულება (კლინიკა) არის მიმწოდებელი, ხოლო სადაზღვევო კომპანია არის შუალედური მომხმარებელი.

შესაბამისი ბაზრის ფორმირების პროცესში აუცილებლად გასათვალისწინებელია, ზოგადად მომსახურების მიმოქცევის დინამიკა. კერძოდ, ნებისმიერ სამედიცინო დაწესებულებას გააჩნია მატერიალური და ადამიანური რესურსი, რომელსაც აღნიშნული კლინიკა საკუთარ ყოველდღიურ საქმიანობაში იყენებს. თავის მხრივ, ნებისმიერ სადაზღვევო კომპანიას სხვა ეკონომიკურ აგენტებთან თანამშრომლობის გარეშე, საკუთარი კლიენტებისთვის რაიმე სახის მომსახურების ანაზღაურება არ შეუძლია. შესაბამისად, სამედიცინო მომსახურების გასაწევად საჭირო რესურსის მფლობელი არის კლინიკა, რომელსაც შეუძლია ეს რესურსი (მატერიალური ან/და ადამიანური) მიაწოდოს სადაზღვევო კომპანიებს და მხოლოდ აღნიშნული მიწოდების შემდგომ შეძლებს სადაზღვევო კომპანია პოტენციური პაციენტებისთვის/კლიენტებისთვის ჯანმრთელობის დაზღვევის შეთავაზებას.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ერთ ბაზარზე არსებული/წარმოებული რესურსების მიწოდება ხელს უწყობს მეორე ბაზარზე მოქმედი ეკონომიკური აგენტების ოპერირებას, რისი გათვალისწინებითაც, მოცემული საქმის მოკვლევის ფარგლებში, შესაბამისი ბაზარი უნდა განისაზღვროს, როგორც ორდონიანი - ზედა და ქვედა დონეების მიხედვით.

- ***შესაბამისი ბაზრის იდენტიფიცირება დონეების მიხედვით***

უპირველეს ყოვლისა, იმისათვის, რომ მართებულად დადგინდეს შესაბამისი ბაზრის პროდუქციული საზღვრები (მისი დონეების გათვალისწინებით), აუცილებელია განისაზღვროს ისეთი ბაზარი, რომელსაც რელევანტური მნიშვნელობა გააჩნია მოცემული დავის გადასაწყვეტად. კერძოდ, საჩივარში განხილულია მომსახურების კონკრეტული სახე - სამედიცინო მომსახურება. ამასთან, აუცილებლად გასათვალისწინებელია, რომ მომჩივანმა შემოსაზღვრა და უფრო მეტად დააკონკრეტა სამედიცინო მომსახურების სახეობა - ამბულატორიულ მომსახურებაზე მითითებით. მომჩივანის პოზიციით, ადგილი აქვს ამბულატორიული მომსახურების ნაწილში დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენებას, რის გამოც მის საქმიანობას ზიანი ადგება.[20] ამასთან, წარმოდგენილი საჩივარი ეხება შაბათ დღეს ოჯახის ექიმის მომსახურების გაწევასაც. შესაბამისად, სააგენტოს მიერ იდენტიფიცირებული დავის საგნის მიხედვით - შესაბამისი ბაზრის პროდუქციულ საზღვრებზე მსჯელობისას აუცილებლად გასათვალისწინებელია ამბულატორიული და

[20] საჩივარი (რეგ: № 01/744; თარიღი: 14.05.2021).

ოჯახის ექიმის მომსახურების ეკონომიკური მახასიათებლები, აგრეთვე ამ სახის მომსახურებებთან დაკავშირებული სამართლებრივი მოწესრიგება.

კერძოდ, როგორც სააგენტოს მიერ კონცენტრაციებზე მიღებული გადაწყვეტილებით,[21] ასევე, ნორმატიულ დონეზე[22] და საერთაშორისო პრაქტიკით, ამბულატორიული მომსახურება გამიჯნულია სტაციონარული მომსახურებისგან. თავის მხრივ ოჯახის ექიმის მომსახურება „სამედიცინო დაწესებულებების კლასიფიკაციის განსაზღვრის თაობაზე" საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2016 წლის 4 მარტის № 01-9/ნ ბრძანების მიხედვით მოაზრებულია ამბულატორიულ მომსახურებად. დაზღვეული პაციენტი, რომელიც დაინტერესებულია სადაზღვევო კომპანიის ოჯახის ექიმის მომსახურების მიღებით, საბოლოო ჯამში, ამავე ექიმის მიერ განხორციელებული პროცედურების დასრულების შემდეგ, ამბულატორიული მომსახურების მიღების მიზნით, გადამისამართებული იქნება განსაზღვრული პროფილის მქონე სხვა ექიმთან (მაგ: ოფთალმოლოგთან, გინეკოლოგთან, ოტორინოლარინგოლოგთან თუ სხვა). ოჯახის ექიმი, კონკრეტული პროფილის მქონე სხვა ექიმის არჩევისას, ხშირად ზრუნავს მის მიერ არჩეულ ექიმსა და პაციენტს შორის ურთიერთობის განხორციელებაზე.[23] აღნიშნული გულისხმობს პაციენტის გადამისამართებას ძირითადად ამბულატორიული მომსახურების მისაღებად.

როგორც აღინიშნა, მიმდინარე მოკვლევის მიზნებისთვის, დავის საგნის გათვალისწინებით, შესაბამისი ბაზარი უნდა განისაზღვროს, როგორც ორდონიანი ბაზარი. მოცემულ შემთხვევაში ბაზრის ზედა დონეს განეკუთვნება - ამბულატორიული მომსახურება, ხოლო ქვედა დონეს - კერძო სადაზღვევო კომპანიების ბენეფიციართა ოჯახის ექიმით მომსახურება.

ზედა დონისაა ბაზარი, რომლის ფარგლებშიც ხდება წარმოებისა და რეალიზაციის ჯაჭვის ქვედა რგოლის ფუნქციონირებისათვის საჭირო საქონლით/მომსახურებით ვაჭრობა (Upstream Market).[24] კონკურენციის კანონმდებლობის აღსრულებისას, ზედა დონის ბაზრის განსაზღვრა და მასზე საბაზრო ძალაუფლების არსებობის ფაქტის დადგენა ვერტიკალური შეთანხმებების, ვერტიკალური კონცენტრაციების და დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენების რიგი შემთხვევების (მაგ. მიწოდებაზე უარის) ანალიზის არსებითი ნაწილია.[25] აღნიშნულის საპირისპიროდ, ქვედა დონისაა ბაზარი, რომელზეც მოქმედი

---

[21] სსიპ საქართველოს კონკურენციის სააგენტოს 2015 წლის 28 ივლისის გადაწყვეტილება, დამტკიცებულია ბრძანება № 95-ით.

[22] პარა. 2.3.

[23] *Barnett ML, Keating NL, Christakis NA, O'Malley AJ, Landon BE.* Reasons for choice of referral physician among primary care and specialist physicians. J Gen Intern Med. 2012; 27(5): pp. 506-512. doi:10.1007/s11606-011-1861-z.

[24] კონკურენციის ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი, თბილისი, 2019, გვ. 67.

[25] Whish & Bailey, Competition Law (9th ed.), 697-784.

ეკონომიკური აგენტები იძენენ ,,ზედა დონეზე“ არსებული ეკონომიკური აგენტების ნაწარმს, რაც აუცილებელია იმ საქონლის დასამზადებლად ან მომსახურების მისაწოდებლად, რომელსაც, თავის მხრივ, საკუთარ კლიენტებზე ყიდიან (Downstream Market).[26] ზედა დონის ბაზრის განსაზღვრის ანალოგიურად, კონკურენციის კანონმდებლობის აღსრულებისას, ქვედა დონის ბაზრის განსაზღვრა, მასზე საბაზრო ძალაუფლების ფაქტის არსებობა-არარსებობის დადგენა დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენების რიგი შემთხვევების (მ.შ. მიწოდებაზე უარის) ანალიზის ძირითადი შემადგენელი ნაწილია.[27] თითოეულ შემთხვევაში შეფასების საგანია - ხომ არ ხდება ან ხომ არ მოხდება ზედა დონის ბაზარზე არსებული საბაზრო ძალაუფლების გამოყენება ქვედა დონის ბაზარზე წვდომის შესაზღუდად ან პირიქით.

ასევე გასათვალისწინებელია, რომ დავის საგანი შეეხება არა მხოლოდ შესაძლო მიწოდებაზე უარს, არამედ შესაძლო ექსკლუზიური გარიგების დადებასაც. ასეთ შემთხვევაშიც გასათვალისწინებელია, რომ ექსკლუზიური ხასიათის გარიგებები ძირითადად წარმოადგენს ვერტიკალური ხასიათის შეთანხმებებს, კერძოდ, იდება ორი დონის ბაზარზე მოქმედ სუბიექტებს შორის – მიმწოდებელს (რომელიც წარმოდგენილია ზედა დონის ბაზარზე) და მომხმარებელს (რომელიც წარმოდგენილია ქვედა დონის ბაზარზე) შორის.[28]

შპს ,,ჯეო ჰოსპიტალსი“ 2017-2018 წლებიდან მომჩივანს აწვდის როგორც ამბულატორიულ, აგრეთვე ოჯახის ექიმის მომსახურებას. შესაბამისად, მოპასუხის დომინანტური მდგომარეობის დადგენისა და მისი მხრიდან მომჩივანისათვის ოჯახის ექიმის მომსახურების შაბათ დღეს მიწოდებაზე უარის ან/და მომჩივანის გამორიცხვით ექსკლუზიური გარიგების დადების შემთხვევაში, ის, როგორც ზედა დონის ბაზარზე მოქმედმა სუბიექტი (აღნიშნულ ბაზარზე მისი დომინანტური მდგომარეობის დადგენის შემთხვევაში), შეუზღუდავს კონკურენციას ქვედა დონის ბაზარზე მოქმედ სუბიექტს (მოცემულ შემთხვევაში სს ,,საქართველოს სადაზღვევო ჯგუფს“), რომელსაც აღნიშნული მომსახურების მიღება საბოლოოდ საკუთარი კლიენტებისთვის ესაჭიროება.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ქვედა დონის ბაზარზე კონკურენციის შეზღუდვა თავის მხრივ საბოლოო მომხმარებლებისთვის (მოცემულ შემთხვევაში სადაზღვევო კომპანიის ბენეფიციარებისთვის) განაპირობებს ზედა დონის ბაზრით გათვალისწინებული მომსახურებით სარგებლობის გამორიცხვას ან გართულებას. კერძოდ, იმ შემთხვევაში, თუ მომჩივანის მომხმარებლები მოკლებულნი იქნებიან შესაძლებლობას, შაბათ დღეს მიიღონ ოჯახის ექიმის მომსახურება შპს ,,ჯეო ჰოსპიტალსის“ კლინიკაში, ცხადია იმავე დღეს, მათ შეიძლება მიიღონ პირდაპირ ამბულატორიული მომსახურება, თუმცა იმ განსხვავებით, რომ

[26] კონკურენციის ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი, თბილისი, 2019, გვ. 158.
[27] Whish & Bailey, Competition Law (9th ed.), 697-784.
[28] საქართველოს კონკურენციის სამართალი, თბილისი, 2019, გვ. 432.

მათ სრულად ან მნიშვნელოვანწილად საკუთარი შემოსავლებიდან მოუწევთ სამედიცინო მომსახურების ანაზღაურება. ეს შემთხვევა, გავრცელებული კომერციული პრაქტიკიდან გამომდინარე, ან საერთოდ არ იქნება ანაზღაურებადი სადაზღვევო კომპანიის მიერ, ან მხოლოდ განსაზღვრული მოცულობით (პროცენტულობით), რაც ნებისმიერ შემთხვევაში, ნაკლები იქნება ოჯახის ექიმის მეშვეობით მომსახურების მიღებასთან შედარებით. მიუხედავად დაზღვეული პაციენტის ფინანსური დანახარჯის კუთხით არსებული განსხვავებისა, ეს მოცემულობა არავითარ გავლენას არ ახდენს ამბულატორიული მომსახურებისა და კერძო სადაზღვევო კომპანიების ბენეფიციართა ოჯახის ექიმით მომსახურების საერთო ბაზრად მიჩნევის შესაძლებლობაზე, თუმცა გასათვალისწინებელია შპს ,,ჯეო ჰოსპიტალსის“ საბაზრო ძალაუფლებისა და მისი გამოყენების ინტენსივობის შეფასებისას.

ასევე, ვინაიდან საჩივარი შპს ,,ჯეო ჰოსპიტალსთან“ ერთად, ურთიერთდაკავშირებული პირების კონტექსტში ეხება სს ,,გლობალ ბენეფიტს ჯორჯიას“, რომელიც შპს ,,ჯეო ჰოსპიტალსის“ ქალაქ მარნეულისა და ქალაქ გარდაბანის კლინიკებში შაბათ დღეს ოჯახის ექიმის დაზღვევის მომსახურებას ეწევა, ამ მიმართულებით სააგენტომ უნდა შეაფასოს ზემოთ ხსენებული 2 ეკონომიკური აგენტის კავშირი ერთიანი ეკონომიკური სუბიექტის დოქტრინის საფუძველზე.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ასევე, დავის საგნის არსის გათვალისწინებით, მიმდინარე მოკვლევის მიზნებისთვის შესაბამისი ბაზრის პროდუქციულ საზღვრად მიიჩნევა - **ამბულატორიული და კერძო სადაზღვევო კომპანიების ბენეფიციართა ოჯახის ექიმით მომსახურების ბაზარი**.

3.1.2 შესაბამისი ბაზრის გეოგრაფიული საზღვრები

„ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების“ მე-11 მუხლის თანახმად, სასაქონლო/მომსახურების ბაზრის გეოგრაფიული საზღვრები წარმოადგენს ტერიტორიას, რომელზეც შერჩეული ჯგუფის მყიდველები იძენენ ან აქვთ ეკონომიკური, ტექნიკური და სხვა სახის შესაძლებლობები, შეიძინონ განსახილველი საქონელი/მომსახურება. მოცემულ საქმეში მომჩივანი მიუთითებს მარნეულისა და გარდაბნის მუნიციპალიტეტების ტერიტორიებზე შაბათ დღეს ოჯახის ექიმის მომსახურების საკითხზე.

ისტორიულად, სამედიცინო მომსახურების ბაზრებთან დაკავშირებით სასამართლოები ადგენენ შედარებით მცირე გეოგრაფიულ საზღვარს. მაგალითად, გადაწყვეტილებაში *United States v. Rockford Memorial*[29] სასამართლოს განმარტების შესაბამისად: ,,უმეტეს შემთხვევებში, მომხმარებლები სამედიცინო მომსახურებას

[29] *U.S. v. Rockford Memorial Corp.*, 898 F.2d 1278, 7th Cir. [1990] 1262.

ადგილობრივ დონეზე იღებენ. პაციენტები დაინტერესებულნი არიან სამედიცინო მომსახურება მიიღონ თავიანთი ოჯახებისა და საცხოვრებელი ადგილის მახლობლად იმ სამედიცინო დაწესებულებებში, სადაც თავიანთ ადგილობრივ ექიმებს სამედიცინო პრივილეგიები გააჩნიათ." სამეცნიერო ლიტერატურა სამედიცინო ბაზრების ეკონომიკური კვლევის შესახებ სწორედ ამ სახის ბაზრის განსაზღვრის პრინციპს უჭერს მხარს.[30] აქედან გამომდინარე, მანძილი პაციენტის საცხოვრებელ ადგილსა და სამედიცინო დაწესებულებას შორის არის უმნიშვნელოვანესი გარემოება სამკურნალო დაწესებულების ასარჩევად.

აღნიშნული არგუმენტაცია მით უფრო შეეხება ამბულატორიული სახის სამედიცინო მომსახურებას, რადგანაც ეს უკანასკნელი სტაციონარული მომსახურებისგან განსხვავებით, არ გულისხმობს ისეთი ხარისხის სამედიცინო ჩარევას პაციენტის ჯანმრთელობის სფეროში, რომელიც თავისი ინტენსივობით შეგვიძლია მივიჩნიოთ არსებითი ხასიათის მქონედ. სწორედ ამბულატორიული მომსახურების ნაწილია ოჯახის ექიმის მომსახურებაც.[31]

როგორც ამბულატორიულ, ასევე ოჯახის ექიმის მომსახურებას არ გააჩნიათ პაციენტის ჯანმრთელობის სფეროში ჩარევის ისეთი ინტენსივობა, რომელიც დამახასიათებელია სტაციონარული მომსახურებისთვის. შესაბამისად, პაციენტის ჯანმრთელობის სფეროში ჩარევის ხარისხი (მაღალი, საშუალო ან დაბალი) თავის მხრივ გავლენას ახდენს ამ უკანასკნელის მიერ სამედიცინო დაწესებულების არჩევაზე. კერძოდ, ამბულატორიული და ოჯახის ექიმის მომსახურების მიღებისას, პაციენტის საცხოვრებელ ადგილსა და სამედიცინო დაწესებულებას შორის არსებული მანძილის სიახლოვე ის გადამწყვეტი კრიტერიუმია, რომლის საფუძველზეც სააგენტომ შესაბამისი ბაზრების გეოგრაფიული საზღვრები დაადგინა - ქ. მარნეულისა (ცალკე ბაზარი) და ქ. გარდაბნის სახით (ცალკე ბაზარი).

აუცილებლად გასათვალისწინებელია ის სპეციფიკაც, რომელიც მიმდინარე საქმის მოკვლევას ახასიათებს. კერძოდ, საჩივრის ფარგლებში საუბარია ოჯახის ექიმის მომსახურების გაწევაზე, უფრო კონკრეტულად კი პრობლემურია შაბათ დღეს ოჯახის ექიმის მომსახურების გაწევის საკითხი. შესაბამისად, იქიდან გამომდინარე, რომ დავა შეეხება ოჯახის ექიმის მიერ შაბათ დღეს მომსახურების გაწევას, სააგენტომ ასევე გაითვალისწინა აღნიშნული გარემოება და დაადგინა, რომ როგორც ოჯახის ექიმის, ასევე ამბულატორიული მომსახურების მიღებისას, პაციენტი არჩევანს აკეთებს მის საცხოვრებელ ადგილას ახლოს მდებარე სამედიცინო დაწესებულებაზე. შესაძლებელია, აღნიშნულ ახლო მანძილს წარმოადგენდეს კონკრეტული ქალაქის ერთი კონკრეტული უბანიც, თუმცა ნებისმიერ შემთხვევაში, ასეთ მანძილს წარმოადგენს ქალაქის მთლიანი ტერიტორია.

---

[30] *H.E. Frech III, James Langenfeld and R. Forrest McCluer*, Elzinga-Hogarty Tests and Alternative Approaches For Market Share Calculations In Hospital Markets, Antitrust Law Journal, Vol. 71, No. 3 (2004), გვ. 922.
[31] პარა. 2.3.

შესაბამისად, ქალაქ მარნეულისა და ქალაქ გარდაბანის მოსახლეობა ოჯახის ექიმის (ასევე, ამბულატორიული) მომსახურების მიღებისას ძირითადად არჩევანს გააკეთებს ადგილობრივ სამედიცინო დაწესებულებებს შორის და არსებითად სწორედ აღნიშნული დაწესებულებებისგან შეიძენს შესაბამის მომსახურებას. მეზობლად მდებარე სოფლებსა თუ დაბებში მაცხოვრებელ მოსახლეობასთან მიმართებით კი უნდა აღინიშნოს, რომ როგორც მოკვლევის პროცესში დადგინდა, გარდაბნისა და მარნეულის მუნიციპალიტეტების სოფლებსა და დაბებში არ ხორციელდება კერძო სადაზღვევო კომპანიების ოჯახის ექიმის მომსახურება. შესაბამისად, აღნიშნული მუნიციპალიტეტების სოფლებსა და დაბებში მცხოვრებ პირებს აღნიშნული მომსახურების, ე.ი. სადაზღვევო კომპანიის ოჯახის ექიმის მომსახურების მიღება შეუძლიათ მხოლოდ ქალაქ გარდაბანსა და ქალაქ მარნეულში.

მოცემული საქმის მოკვლევის არსიდან გამომდინარე, შესაბამისი ბაზრის გეოგრაფიულ საზღვრად მხოლოდ ქალაქის ტერიტორიის მიჩნევა სრულად შეესაბამება როგორც ამბულატორიული მომსახურების, ასევე აღნიშნულ მომსახურებაში შემავალი ოჯახის ექიმის მომსახურების (მათ შორის შაბათ დღეს) გაწევის/მიღების თავისებურებებს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შესაბამისი ბაზრების გეოგრაფიულ საზღვრად სააგენტოს მიერ დადგინდა ცალკე აღებული ქალაქ მარნეულისა და ცალკე აღებული ქალაქ გარდაბნის ტერიტორიები, ხოლო მოკვლევის მიზნებისთვის შესაბამის ბაზრებად განისაზღვრა:

1. ამბულატორიული და კერძო სადაზღვევო კომპანიების ბენეფიციართა ოჯახის ექიმით მომსახურება ქალაქ მარნეულში;
2. ამბულატორიული და კერძო სადაზღვევო კომპანიების ბენეფიციართა ოჯახის ექიმით მომსახურება ქალაქ გარდაბანში.

3.1.3 შესაბამისი ბაზრის დროითი ჩარჩოები

ამბულატორიული და კერძო სადაზღვევო კომპანიების ოჯახის ექიმის მომსახურება არ წარმოადგენს სეზონური ხასიათის ბაზარს და ფუნქციონირებს მთელი წლის განმავლობაში. ამ ბაზარზე არ შეინიშნება რაიმე სახის წყვეტა წელიწადის დროების მიხედვით, შესაბამისად, მას არ გააჩნია რაიმე სახის დროითი ჩარჩო.

3.2. შესაბამის ბაზარზე მოქმედი სუბიექტები და საბაზრო წილები

3.2.1. ამბულატორიული მომსახურება ქალაქ მარნეულსა და ქალაქ გარდაბანში

უპირველეს ყოვლისა აღსანიშნავია, რომ შესაბამისი ბაზრის პროდუქციული საზღვრის დადგენის პროცესში, სააგენტოს მიერ გამოირიცხა ის ეკონომიკური აგენტები, რომლებიც არ

იყვნენ რელევანტური მოკვლევის მიზნებიდან გამომდინარე. ასეთი ეკონომიკური აგენტების ჯამურმა რაოდენობამ შეადგინა - 15. კერძოდ, 4 სამედიცინო ლაბორატორია (შპს ,,მედ-დიაგნოსტიკა", შპს „სინევო საქართველო“, შპს ,,ჰელსილაბი" და შპს ,,ლაბორატორია 2016"), 4 სტომატოლოგიური კლინიკა (შპს ,,ჩემი კლინიკა", შპს ,,გოლდ დენტალი", ი/მ მაკა მახარაძე და ი/მ სარა მამედოვა), 4 არაფუნქციონირებადი სუბიექტი (შპს "კანი", შპს "მარნეულის სამკურნალო ცენტრი", შპს ,,მარნეულის ქალთა კონსულტაცია № 1" და შპს ,,ჰელს მედი"), 1 ეკონომიკური აგენტი, რომელიც ეწევა მხოლოდ საკონსულტაციო მომსახურებას (ი/მ თამარ ბიბილაშვილი) და 2 ეკონომიკური აგენტი, რომელიც ახორციელებს დედათა და ბავშვთა და ჰემოდიალიზის სეანსის სახელმწიფო პროგრამებს (შპს ,,მპს ფარმა“ და შპს ,,მად ი მედი“).

იმის გათვალისწინებით, რომ დომინანტური მდგომარეობის არსებობის ფაქტი გამოკვლეული და შეფასებული უნდა იქნეს ზედა დონის ბაზარზე, მიზანშეწონილად ჩაითვალა ზედა დონის ბაზრის ანალიზი მარნეულისა და გარდაბნის ქალაქების მიხედვით.

3.2.1.1. ქალაქი მარნეული

შპს ,,ჯეო ჰოსპიტალსის“ მხრიდან მოწოდებული ამბულატორიული მომსახურებების ჩამონათვალი სააგენტოს მიერ შედარებულ იქნა მოცემული ამბულატორიული მომსახურებების გამწევი სამედიცინო დაწესებულებების მიერ მოწოდებულ მსგავს ჩამონათვალთან და დადგინდა სულ მცირე 1 მომსახურების თანხვედრა მაინც დანარჩენ 9 ამბულატორიული მომსახურების გამწევ სუბიექტთან.

2020 წლის განმავლობაში ქ. მარნეულში პაციენტების ამბულატორიული მომსახურების 88% მოდის 3 ეკონომიკურ აგენტზე: 1. შპს „ავერსი კლინიკა“ - [redacted]% ([redacted] პაციენტი); 2. შპს „ჯეო ჰოსპიტალსი“ - [redacted]% ([redacted] პაციენტი) და 3. შპს ,,მედ X" - [redacted]% ([redacted] პაციენტი).

დიაგრამა N 1



2020 წლის განმავლობაში ქალაქ მარნეულში ამბულატორიული **მომსახურებების ჯამურმა ბრუნვამ** (სტომატოლოგიური მომსახურების არსებობის შემთხვევაში, მისი გამორიცხვით) შეადგინა [redacted] ლარი, საიდანაც: 1. შპს ,,ჯეო ჰოსპიტალსის“ ჯამური ბრუნვა შეადგენს [redacted]%-ს, რაც [redacted] ლარია (შპს ,,ჯეო ჰოსპიტალსი“ სამშობიარო და ამბულატორიული ცენტრი - [redacted] %, რაც [redacted] ლარია და შპს ,,ჯეო ჰოსპიტალსი“ მრავალპროფილური სამედიცინო ცენტრი - [redacted] %, რაც [redacted] ლარია); 2. შპს ,,ავერსი კლინიკას“ ჯამური ბრუნვა შეადგენს [redacted] %-ს, რაც [redacted] ლარია (შპს ,,ავერსი კლინიკა“ მარნეულის ფილიალი № 1 – [redacted] %, რაც [redacted] ლარია და შპს ,,ავერსი კლინიკა“ მარნეულის ფილიალი № 2 – [redacted] %, რაც [redacted] ლარია).

დიაგრამა N 2



წარმოდგენილი მონაცემებით დგინდება, რომ 2020 წელს შპს ,,ჯეო ჰოსპიტალსი“ არ იყო დომინანტი ქ. მარნეულში ამბულატორიული მომსახურების სფეროში (ზედა დონის ბაზარზე), როგორც პაციენტების რაოდენობის, ასევე ბრუნვის მიხედვით.

3.2.2.2. ქალაქი გარდაბანი

2020 წლის მონაცემებით, პაციენტების რაოდენობის მიხედვით ქ. გარდაბანში ამბულატორიული მომსახურების 100% განაწილებულია 2 ეკონომიკურ აგენტს შორის. კერძოდ, ეს კომპანიებია: 1. შპს „ჯეო ჰოსპიტალსი“ - [redacted] % ([redacted] პაციენტი) და 2. შპს ,,სამკურნალო დიაგნოსტიკური ცენტრი სანო“ - [redacted] % ([redacted] პაციენტი).

დიაგრამა N 3

2020 წლის განმავლობაში ქალაქ გარდაბანში ამბულატორიული მომსახურებების ჯამურმა ბრუნვამ (სტომატოლოგიური მომსახურების არსებობის შემთხვევაში, მისი გამორიცხვით) შეადგინა [redacted] ლარი, საიდანაც: შპს ,,ჯეო ჰოსპიტალსის“ ჯამური ბრუნვა შეადგენს [redacted] %-ს, რაც [redacted] ლარია, ხოლო შპს ,,სამკურნალო დიაგნოსტიკური ცენტრი სანოს“ ჯამური ბრუნვა შეადგენს [redacted] %-ს, რაც [redacted] ლარია.

დიაგრამა N 4



წარმოდგენილი მონაცემები ცხადყოფს, რომ 2020 წელს შპს ,,ჯეო ჰოსპიტალსი“ დომინანტი იყო ქ. გარდაბანში ამბულატორიული მომსახურების სფეროში (ზედა დონის ბაზარზე), როგორც პაციენტების რაოდენობის, ასევე ბრუნვის მიხედვით.

შუალედური დასკვნა:

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტომ შესაბამისი ბაზრის ანალიზის საფუძველზე, მოპასუხის - შპს ,,ჯეო ჰოსპიტალსის“ დომინანტური მდგომარეობის განსაზღვრისას, დაადგინა შემდეგი მოცემულობა:

1. 2020 წელს ქ. მარნეულში ამბულატორიული მომსახურების ბაზარზე - შპს ,,ჯეო ჰოსპიტალსს“ არ გააჩნდა დომინანტური მდგომარეობა. კერძოდ, პაციენტების რაოდენობის მიხედვით გამოანგარიშებული საბაზრო წილი შეადგენს - [redacted] %-ს, ხოლო ფინანსური ბრუნვის მიხედვით გამოანგარიშებული საბაზრო წილი შეადგენს - [redacted] %-ს.

2. 2020 წელს ქ. გარდაბანში ამბულატორიული მომსახურების ბაზარზე - შპს ,,ჯეო ჰოსპიტალსს“ გააჩნდა დომინანტური მდგომარეობა. კერძოდ, პაციენტების რაოდენობის მიხედვით გამოანგარიშებული საბაზრო წილი შეადგენს - [redacted] %-ს, ხოლო ფინანსური ბრუნვის მიხედვით გამოანგარიშებული საბაზრო წილი შეადგენს - [redacted] %-ს.

3.3 შაბათ დღესთან დაკავშირებული მონაცემები კერძო სადაზღვევო კომპანიების ოჯახის ექიმის მომსახურების შესახებ

საჩივრის შინაარსიდან და საქმეში არსებული მხარეთა პოზიციებიდან გამომდინარე აღსანიშნავია, რომ ერთ-ერთი არსებითი გარემოება, რომელზეც მომჩივანი აპელირებს ,,კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის შესაძლო დარღვევის კონტექსტში არის ის, რომ შპს ,,ჯეო ჰოსპიტალსის“ უფლებამოსილმა წარმომადგენელმა 2020 წლის 30 დეკემბერს წერილობით (ელექტრონული მიმოწერის ფარგლებში) უარი განუცხადა მომჩივანს ქ. მარნეულში შაბათ დღეს ოჯახის ექიმის მომსახურების დამატებაზე.

ზემოთ ხსენებულიდან გამომდინარე, სააგენტომ მოიძია, გამოითხოვა და დაამუშავა ინფორმაცია კონკრეტულად შაბათ დღეს ოჯახის ექიმის მიერ მომსახურების გაწევის თაობაზე ყველა იმ სუბიექტისგან, რომლებსაც მოკვლევის ფარგლებში დადასტურებული ჰქონდათ შაბათ დღეს ოჯახის ექიმის მომსახურების გაწევის შესაძლებლობა შესაბამისი სადაზღვევო კომპანიების ბენეფიციარებისთვის. მიღებული ინფორმაციის დამუშავების შედეგად დადგინდა შემდეგი:

1. ქ. მარნეულის 2020 წლის მონაცემების მიხედვით, შაბათ დღეს კერძო სადაზღვევო კომპანიის ოჯახის ექიმის მიერ გაწეული მომსახურების რაოდენობა:

   1.1. შპს ,,ჯეო ჰოსპიტალსი“ – [redacted]
   1.2. შპს ,,მედ X“ – [redacted]
   1.3 შპს ,,ავერსი კლინიკა“ – [redacted]

დიაგრამა N 5



2. ქ. მარნეულის 2021 წლის მონაცემების მიხედვით, შაბათ დღეს კერძო სადაზღვევო კომპანიის ოჯახის ექიმის მიერ გაწეული მომსახურების რაოდენობა:

   2.1 შპს ,,ჯეო ჰოსპიტალსი“ – [redacted]
   2.2 შპს ,,მედ X“ – [redacted]
   2.3 შპს ,,ავერსი კლინიკა“ – [redacted]

დიაგრამა N 6



3. ქ. გარდაბნის 2020 წლის მონაცემების მიხედვით, შაბათ დღეს კერძო სადაზღვევო კომპანიის ოჯახის ექიმის მიერ გაწეული მომსახურების რაოდენობა:

   3.1 შპს ,,ჯეო ჰოსპიტალსი“ – [redacted]
   3.2 შპს ,,სამედიცინო დიაგნოსტიკური ცენტრი სანო“ – [redacted]

დიაგრამა N 7



4. ქ. გარდაბნის 2021 წლის მონაცემების მიხედვით, შაბათ დღეს კერძო სადაზღვევო კომპანიის ოჯახის ექიმის მიერ გაწეული მომსახურების რაოდენობა:

4.1 შპს ,,ჯეო ჰოსპიტალსი“ – [redacted]
4.2 შპს ,,სამედიცინო დიაგნოსტიკური ცენტრი სანო“ – [redacted]

დიაგრამა N 8



როგორც ზემოთ მოცემული მსჯელობიდან და დიაგრამებიდან დგინდება, ქ. მარნეულის და ქ. გარდაბნის ტერიტორიებზე კერძო სადაზღვევო კომპანიებში დაზღვეული პაციენტების ოჯახის ექიმისადმი შაბათი დღის მიმართვიანობის შეფარდება ზოგად მიმართვიანობასთან უმნიშვნელოა. ეს გარკვეულწილად განპირობებულია იმით, რომ ამ შესაბამის ბაზრებზე მოქმედ სადაზღვევო კომპანიათა უმრავლესობას, მათგან მიღებული ინფორმაციის თანახმად, ოჯახის ექიმის შაბათი დღის მომსახურება სამედიცინო დაწესებულებებთან შეთანხმებული არ აქვთ. შესაბამისად, ისინი არ ითხოვენ ამბულატორიული მომსახურების გამწევი ეკონომიკური აგენტებიდან ოჯახის ექიმის შაბათი დღის მომსახურების მიღებას.

როგორც სააგენტოს ხელთ არსებული ინფორმაციიდან ირკვევა, ქვეყნის მასშტაბით ჯანმრთელობის დაზღვევის მომსახურეობას ეწევა - 14 სადაზღვევო კომპანია, საიდანაც ქ. მარნეულის ტერიტორიაზე საქმიანობს 13, ხოლო ქ. გარდაბანის ტერიტორიაზე - 11 სადაზღვევო კომპანია.

ამასთან, ქ. მარნეულის ტერიტორიაზე კერძო სადაზღვევო კომპანიების ბენეფიციართა ოჯახის ექიმით მომსახურების ბაზარზე (ქვედა დონის ბაზარზე) მოქმედი 13 სადაზღვევო კომპანიიდან - 5 სადაზღვევო კომპანია სარგებლობს ოჯახის ექიმის მომსახურებით შაბათ

დღეს, ხოლო რაც შეეხება დანარჩენ 8 ეკონომიკურ აგენტს, მათ აღნიშნული მომსახურების მიღების საკითხი არ დაუყენებიათ ამბულატორიული მომსახურების გამწევი ეკონომიკური აგენტების წინაშე.

დიაგრამა N 9



ანალოგიურად, ქ. გარდაბნის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კერძო სადაზღვევო კომპანიების ბენეფიციართა ოჯახის ექიმით მომსახურების ბაზარზე (ქვედა დონის ბაზარზე) მოქმედი 11 სადაზღვევო კომპანიებიდან - 3 სადაზღვევო კომპანია სარგებლობს ოჯახის ექიმის მომსახურებით შაბათ დღეს, ხოლო რაც შეეხება დანარჩენ 8 სადაზღვევო კომპანიას - ისინი არ სარგებლობენ და არც მიუმართავთ შესაბამისი სამედიცინო დაწესებულებებისთვის აღნიშნული მომსახურების დამატების თაობაზე.

დიაგრამა N 10



მიღებული მონაცემებით დასტურდება, რომ შაბათ დღეს კერძო სადაზღვევო კომპანიის ოჯახის ექიმის მიერ გაწეულ მომსახურებას შესაბამისი ბაზრის ფარგლებში არ გააჩნია ღირებული და ანგარიშგასაწევი ეკონომიკური მნიშვნელობა. დადგენილი ფაქტობრივი გარემოებაა, რომ ერთი მხრივ, სადაზღვევო კომპანიების უმრავლესობას არ გააჩნდა იმის საჭიროება, რომ ოჯახის ექიმის მომსახურება დაემატებინათ შაბათ დღეს, ხოლო მეორე მხრივ, ოჯახის ექიმის შაბათი დღის მომსახურებით მოსარგებლე დაზღვეული პაციენტების მიმართვიანობა შესაბამის ბაზრებზე და პერიოდში არის მინიმალური.

ამასთან გასათვალისწინებელია, სამუშაო დღეს ოჯახის ექიმის მომსახურების (ამბულატორიულ მომსახურებაში შემავალი) ანალიზი შაბათ დღეს ოჯახის ექიმის მომსახურებასთან მიმართებით, ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების მე-8 მუხლის კონტექსტში. კერძოდ:

1. **მომსახურების მახასიათებელი** - ოჯახის ექიმის მიერ შაბათს და ნებისმიერ სხვა სამუშაო დღეს გაწეულ მომსახურებათა მახასიათებლები იდენტურია. კერძოდ, ნებისმიერ ტერიტორიულ ერთეულში მყოფი ოჯახის ექიმი არ გამოიკვლევს პაციენტებს სხვადასხვანაირად იმისდა მიხედვით, თუ კვირის რომელ დღეს ახორციელებს შესაბამის მომსახურებას. ოჯახის ექიმის მიერ სამედიცინო მომსახურების გაწევის მახასიათებლები (მაგალითად, მკურნალობის მეთოდი, ექიმის მიერ წამლების გამოწერის წესი, პაციენტთან კომუნიკაციის ფორმა, ამბულატორიულ სექტორში პაციენტის გადამისამართების წესი და სხვა), როგორც შაბათს, ასევე სხვა სამუშაო დღეებშიც იდენტურია. შესაბამისად, მოცემული კრიტერიუმის მიხედვით სამუშაო დღეს ოჯახის ექიმის მომსახურება და შაბათ დღეს ოჯახის ექიმის მომსახურება ურთიერთჩანაცვლებადი მომსახურებებია და შესაბამისად ეს ორი მომსახურება ერთ საერთო ბაზარს განეკუთვნება.

2. **ფასები** - ანალიზის აღნიშნული კომპონენტის განხილვისას, აუცილებლად გასათვალისწინებელია, რომ პაციენტი ოჯახის ექიმის მომსახურების მიმღები ე.ი. საბოლოო მომხმარებელი და ბენეფიციარია. ამ უკანასკნელის მიერ შაბათ დღეს გადახდილი ოჯახის ექიმის მომსახურების საფასური არსებითად მსგავსია სამუშაო დღეს გადახდილი ოჯახის ექიმის მომსახურების საფასურისა. პაციენტი, იმისგან დამოუკიდებლად, თუ კვირის რომელ დღეს ისარგებლებს ოჯახის ექიმის მომსახურებით, გადაიხდის არსებითად მსგავსს, შესაძლოა, იდენტურ ფასსაც. შესაბამისად, მოცემული კრიტერიუმის მიხედვით სამუშაო დღეს ოჯახის ექიმის მომსახურება და შაბათ დღეს ანალოგიური მომსახურება ურთიერთჩანაცვლებადია და აღნიშნულიდან გამომდინარე ეს ორი მომსახურება ერთ საერთო ბაზარს განეკუთვნება.

3. **გამოყენების მიზნობრიობა** - გავრცელებული კომერციული პრაქტიკიდან გამომდინარე, განსახილველ მომსახურებათა გამოყენების მიზნობრიობის განმარტების პროცესში, შესაძლებელია 3 ნაწილის გამოყოფა:

1. ოჯახის ექიმის მიერ პაციენტის გადამისამართება ამბულატორიული მომსახურების სექტორში კონკრეტული პროფილის მქონე ექიმთან;
2. ოჯახის ექიმის მიერ პაციენტისათვის სამედიცინო მომსახურების გაწევა;
3. ოჯახის ექიმის მიერ პაციენტისათვის წამლების გამოწერა, რომლის საფუძველზეც პაციენტი შეძლებს შესაბამის სააფთიაქო ქსელში წამლის შეძენას.

აღნიშნული 3-ივე მიზანი ერთნაირად არის დამახასიათებელი შაბათს და სამუშაო დღეს ოჯახის ექიმის მიერ გაწეული მომსახურებისათვის. შესაბამისად, მოცემული კრიტერიუმის მიხედვით სამუშაო დღეს ოჯახის ექიმის მომსახურება და შაბათ დღეს ანალოგიური მომსახურება ურთიერთჩანაცვლებადია და აღნიშნულიდან გამომდინარე ეს ორი მომსახურება ერთ საერთო ბაზარს განეკუთვნება.

შესაბამისი ბაზრის განსაზღვრის თვალსაზრისით, მომჩივანმა სააგენტოში წარმოადგინა პოზიცია (რეგ: № 01/958; თარიღი: 25.05.2022), რომლის მიხედვით: 1. მომჩივანისთვის გაუგებარია, თუ რატომ არ იქნა სააგენტოს მიერ დეტალურად შესწავლილი ქვედა დონის ბაზარი, მიუხედავად მისი განსაზღვრისა; 2. მომჩივანისთვის ასევე გაუგებარია, თუ რამდენადაა შესაძლებელი ტენდერის დროს შაბათ დღეს მომსახურების მოთხოვნის არსებობისას ურთიერთჩანაცვლების განხორციელება ასეთ მომსახურებასა და ზოგადად ოჯახის ექიმის მომსახურებას შორის, ანუ მომჩივანი დაინტერესებულია - არის თუ არა სახელმწიფო შესყიდვების პროცესში ოჯახის ექიმის შაბათი დღის მომსახურება ცალკე არსებული ბაზარი.

სააგენტო მომჩივანის მიერ დაფიქსირებულ მოსაზრებებთან დაკავშირებით ხაზგასმით აღნიშნავს და განმარტავს, რომ:

1. საქმეში, სადაც განიხილება შესაძლო მიწოდებაზე უარისა და შესაძლო ექსკლუზიური გარიგების შემთხვევა, ყოველთვის დგას ქვედა დონის ბაზრის განსაზღვრის საჭიროება იმის გათვალისწინებით, რომ პოტენციურად განისაზღვროს, თუ რომელ ბაზარზე შეიძლება ჰქონდეს ადგილი ეკონომიკურ აგენტთა კონკურენტუნარიანობის შეზღუდვას. იმის გათვალისწინებით, რომ ქ. მარნეულის ნაწილში შპს ,,ჯეო ჰოსპიტალსს“ არ უკავია დომინანტური მდგომარეობა, ხოლო ქ. გარდაბნის ნაწილში არ დგინდება არც მიწოდებაზე უარისა და არც ექსკლუზიური გარიგების არსებობის ფაქტი, აღნიშნულიდან გამომდინარე, ერთმნიშვნელოვნად გამორიცხულია რომელიმე შესაძლო, პოტენციურ ქვედა დონის ბაზართან მიმართებაში ადგილი ჰქონოდა მისივე მონაწილეების კონკურენტუნარიანობის შეზღუდვას რაიმე ფორმით (ქ. მარნეულის შემთხვევაში შესაბამისი საბაზრო მოცემულობის, ხოლო ქ. გარდაბნის შემთხვევაში შესაბამისი ფაქტობრივი მოცემულობის არარსებობის გამო). შესაბამისად, ქვედა დონის ბაზრის დეტალური განსაზღვრისა და მისი სუბიექტების მონაცემების შესწავლის საჭიროებაც მოცემული საქმის ფარგლებში არ არსებობს.

2. რაც შეეხება საკითხს - არის თუ არა სახელმწიფო შესყიდვების პროცესში ოჯახის ექიმის შაბათი დღის მომსახურება ცალკე არსებული ბაზარი, სააგენტო განმარტავს, რომ უპირველეს ყოვლისა, მოცემული დავის არსის გათვალიწინებით, მომჩივანი დაობს შპს ,,ჯეო ჰოსპიტალსის“ შესაძლო დომინანტურ მდგომარეობასა და მის შესაძლო ბოროტად გამოყენებაზე. იმ შემთხვევაშიც, თუ სააგენტო სახელმწიფო შესყიდვების პროცესში ოჯახის ექიმის შაბათი დღის მომსახურებას ცალკე არსებულ ბაზრად მიიჩნევს, ცალსახაა და ერთმნიშვნელოვნად დგინდება, რომ შპს ,,ჯეო ჰოსპიტალსი“ არ არის აღნიშნული ბაზრის მონაწილე, რადგანაც ის არის სერვისის მიმწოდებელი, ხოლო აღნიშნული სერვისის მიმღები და შუალედური მომხმარებლები არიან სადაზღვევო კომპანიები, რომლებიც სახელმწიფო ტენდერებში მონაწილეობას იღებენ. აქედან გამომდინარე, შესაბამისი ბაზრის ასეთი ფორმით განსაზღვრა არავითარ გავლენას არ მოახდენს შპს ,,ჯეო ჰოსპიტალსის“ არც დომინანტური მდგომარეობის განსაზღვრაზე და არც მის ბოროტად გამოყენებაზე. სააგენტოს მიერ მომჩივანის პოზიციის რაიმე ფორმით გაზიარების შემთხვევაშიც კი სახელმწიფო ტენდერები შეიძლება მიჩნეულ იქნეს მხოლოდ ქვედა დონის ბაზრად, სადაც ზოგადად შესაძლოა სადაზღვევო კომპანიებს შეეზღუდოთ კონკურენცია, თუმცა აღნიშნული გარემოება მოცემული დავის ფარგლებში არ დგინდება. მიუხედავად ამისა, ყველა ის რისკი, რომელიც გამოიკვეთა მოკვლევის წარმოებისას, სააგენტომ გაითვალისწინა და ამავე გადაწყვეტილებით შესაბამისი რეკომენდაციები გასცა.

IV. სააგენტოს შეფასება

4.1. „ერთიანი ეკონომიკური სუბიექტის“ დოქტრინა

4.1.1. *ურთიერთდამოკიდებული პირების შესახებ*

მომჩივანის მიერ საჩივარში მითითებული ერთიანი ეკონომიკური სუბიექტის დადგენისა და შესაბამისი დოქტრინის გამოყენების მიზნით, უპირველეს ყოვლისა აუცილებელია, რომ მისაღებ გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით განსახილველ სუბიექტებს შორის არსებობდეს ზეგავლენის მოხდენის შესაძლებლობა საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული რომელიმე ფორმით. აქედან გამომდინარე, სააგენტომ შეისწავლა მოპასუხეთა ურთიერთდამოკიდებულების საკითხი.

„კონკურენციის შესახებ” საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ლ” ქვეპუნქტის შესაბამისად, ურთიერთდამოკიდებული პირები არიან პირები, რომელთა შორის განსაკუთრებულ ურთიერთობათა არსებობამ შეიძლება გავლენა მოახდინოს მათი ან/და მათ მიერ წარმოდგენილი პირების საქმიანობის პირობებზე ან ეკონომიკურ შედეგებზე. ურთიერთდამოკიდებულ პირებად ითვლებიან:

ლ.ა) პირი, რომელიც არის ერთი ეკონომიკური აგენტის სამეთვალყურეო საბჭოს წევრი ან ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი და იმავდროულად სხვა ეკონომიკური აგენტის სამეთვალყურეო საბჭოს წევრი ან ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირია, რაც მას საშუალებას აძლევს, განახორციელოს ამ ეკონომიკური აგენტის პირდაპირი ან არაპირდაპირი კონტროლი;

ლ.ბ) პირი, რომელიც არის ერთი ეკონომიკური აგენტის სამეთვალყურეო საბჭოს წევრი და იმავდროულად ფლობს სხვა ეკონომიკური აგენტის ხმის უფლების მქონე აქციების/წილის ისეთ ოდენობას, რომელიც მას საშუალებას აძლევს, განახორციელოს ამ ეკონომიკური აგენტის პირდაპირი ან არაპირდაპირი კონტროლი;

ლ.გ) პირი, რომელიც ფლობს ერთი ეკონომიკური აგენტის მნიშვნელოვან ხმის უფლებას და იმავდროულად – სხვა ეკონომიკური აგენტის მნიშვნელოვან ხმის უფლებას, რაც მას საშუალებას აძლევს, განახორციელოს ამ ეკონომიკური აგენტის პირდაპირი ან არაპირდაპირი კონტროლი;

ლ.დ) საქართველოს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული ურთიერთდამოკიდებული პირები.

აქვე, აუცილებელია აღინიშნოს, რომ საქართველოს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებულ ურთიერთდამოკიდებულ პირთა ჩამონათვალს ამავე კოდექსის მე-19 მუხლი განსაზღვრავს, რომლის პირველი ნაწილის თანახმად, ურთიერთდამოკიდებულ პირებად ითვლებიან ის პირები, რომელთა შორის განსაკუთრებულ ურთიერთობათა არსებობამ შეიძლება გავლენა მოახდინოს მათი ან მათ მიერ წარმოდგენილი პირების საქმიანობის პირობებზე ან ეკონომიკურ შედეგებზე. ამავე მუხლის მეორე ნაწილი კი ადგენს, თუ რა კავშირის მქონე პირები შესაძლოა ჩაითვალონ ურთიერთდამოკიდებულ პირებად. კერძოდ, საგადასახადო კოდექსის მე-19 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, განსაკუთრებულ ურთიერთობებს მიეკუთვნება ურთიერთობები, რომელთა დროსაც:

ა) პირები არიან ერთი საწარმოს დამფუძნებლები (მონაწილეები), თუ მათი ჯამური წილი არანაკლებ 20 პროცენტია;

ბ) ერთი პირი პირდაპირ ან არაპირდაპირ მონაწილეობს მეორე პირ საწარმოში, თუ ასეთი მონაწილეობის წილი არანაკლებ 20 პროცენტია;

გ) პირი ახორციელებს საწარმოს კონტროლს;

დ) ფიზიკური პირი თანამდებობრივად ექვემდებარება სხვა ფიზიკურ პირს;

ე) ერთი პირი პირდაპირ ან არაპირდაპირ აკონტროლებს მეორე პირს;

ვ) პირებს პირდაპირ ან არაპირდაპირ აკონტროლებს მესამე პირი;

ზ) პირები ერთად, პირდაპირ ან არაპირდაპირ აკონტროლებენ მესამე პირს;

თ) პირები ნათესავები არიან;

ი) პირები ამხანაგობის წევრები არიან.

იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ მოკვლევის პერიოდი მოიცავს 2020-2021 წლებს, სააგენტოს მიერ შეფასდა აღნიშნული ორი წლის განმავლობაში მოპასუხე ეკონომიკური აგენტების სამართლებრივი მდგომარეობა, წილობრივი მონაწილეობის ცვლილება და სხვა მნიშვნელოვანი ასპექტები.

თითოეულ ეკონომიკურ აგენტთან დაკავშირებული, მოკვლევის პერიოდის განმავლობაში მოქმედი - 1. სამეწარმეო რეესტრის ამონაწერების; 2. წესდებების; 3. სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის ოქმებისა და 4. პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებების დამუშავების შედეგად, სააგენტომ საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები დაადგინა:

შპს „ჯეო ჰოსპიტალსი“

- 2019 წლის ნოემბრიდან დღემდე, შპს „ჯეო ჰოსპიტალსის“ ერთადერთი მესაკუთრე და 100%-იანი წილის მფლობელია შპს „ქართულ ჰოსპიტალთა ჯგუფი“ (ს/ნ 405322182). თავის მხრივ, შპს „ქართულ ჰოსპიტალთა ჯგუფის“ დირექტორი, ანუ ხელმძღვანელობა/წამომადგენლობაზე უფლებამოსილი პირია დავით ბეჟუაშვილი (პ/ნ [redacted]. აღსანიშნავია, რომ დავით ბეჟუაშვილი (პ/ნ [redacted]) შპს „ქართულ ჰოსპიტალთა ჯგუფის“ პარტნიორიცაა. 2019 წლიდან 2020 წლის 18 მაისამდე იგი კომპანიის ერთადერთი პარტნიორი და 100%-იანი წილის მესაკუთრე იყო, ხოლო 2020 წლის 18 მაისიდან[32] დღემდე, იგი კომპანიის კაპიტალის 50%-იან წილს ფლობს. მოკვლევის პერიოდის განმავლობაში, შპს ,,ჯეო ჰოსპიტალსი“-ს პარტნიორის გადაწყვეტილებები მიიღებოდა დავით ბეჟუაშვილის (პ/ნ [redacted]) - შპს ,,ქართულ ჰოსპიტალთა ჯგუფის“ დირექტორის და არა ამ კომპანიის პარტნიორთა კრების მიერ. მაგალითად, შპს ,,ჯეო ჰოსპიტალსი“-ს პარტნიორის 2020 წლის 27 იანვრის, 2020 წლის 11 აგვისტოს და 2021 წლის 16 მარტის გადაწყვეტილებების ოქმები ხელმოწერილია - დავით ბეჟუაშვილის (პ/ნ [redacted]), როგორც შპს ,,ქართულ ჰოსპიტალთა ჯგუფის“ დირექტორის მიერ. წესდების 4.3 პუნქტის შესაბამისად კი შპს ,,ჯეო ჰოსპიტალსის“ საერთო კრება გადაწყვეტილებაუნარიანია თუ მასზე წარმოდგენილია ხმების საერთო რაოდენობის 75%-ზე მეტის მფლობელი პარტნიორი/პარტნიორები.

- წესდების 6.2.6 პუნქტის შესაბამისად, პარტნიორთა კრება ირჩევს და ათავისუფლებს სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს. შესაბამისად, 2019 წლის 25 ნოემბერს დავით ბეჟუაშვილმა (პ/ნ [redacted], როგორც შპს ,,ქართულ ჰოსპიტალთა ჯგუფის“ დირექტორმა, აირჩია სამეთვალყურეო საბჭოს 4 წევრი: ნინო კობახიძე (პ/ნ [redacted]), ქეთევან ბეთანელი (პ/ნ [redacted]), გიორგი რამიშვილი (პ/ნ [redacted]) და კახაბერ ლომსაძე (პ/ნ [redacted]) აქვე აღსანიშნავია, რომ წესდების

[32] სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან 2020 წლის 18 მაისის ამონაწერი.

იმავე პუნქტის მიხედვით, პარტნიორთა კრება უფლებამოსილია გაათავისუფლოს დირექტორთა საბჭოს წევრები და გენერალური დირექტორი.

- სამეთვალყურეო საბჭომ წესდების 6.3.2 პუნქტის შესაბამისად, საკუთარი შემადგენლობიდან, 2019 წლის 25 ნოემბერს თავმჯდომარედ აირჩია ნინო კობახიძე (პ/ნ [redacted], რომელსაც აღნიშნული პოზიცია დაკავებული ჰქონდა მოკვლევის მთელი პერიოდის განმავლობაში. აქვე აღსანიშნავია, რომ თავმჯდომარის მოადგილე, სამეთვალყურეო საბჭოს არ ჰყავს არჩეული. წესდების 6.3.3. პუნქტის მიხედვით, პარტნიორთა საერთო კრება უფლებამოსილია დაითხოვოს სამეთვალყურეო საბჭოს ნებისმიერი წევრი ნებისმიერ დროს მიზეზის გარეშე. აგრეთვე, წესდების 6.3.6 პუნქტის მიხედვით, სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ან მოადგილე აუცილებლად უნდა დაესწროს სხდომას იმისათვის, რომ გადაწყვეტილება იქნეს მიღებული (ამასთან, სხდომას უნდა ესწრებოდეს წევრთა ნახევარზე მეტი). წესდების 6.3.7 პუნქტის მიხედვით კი სამეთვალყურეო საბჭო გადაწყვეტილებებს იღებს დამსწრე ან წარმოდგენილი წევრების ხმათა უბრალო უმრავლესობით. ასევე აღსანიშნავია, რომ წესდების 6.3.12 პუნქტის შესაბამისად, სამეთვალყურეო საბჭოს შეუძლია განსაზღვროს გარკვეული სახის (არა წესდებით გათვალისწინებული) ტრანზაქციების განხორციელების შესაძლებლობა მხოლოდ მისი თანხმობით.

- 2020 წლის 06 მაისს, სამეთვალყურეო საბჭომ, კერძოდ დავით ბეჟუაშვილი (პ/ნ [redacted] მიერ არჩეულმა 3-მა წევრმა - ნინო კობახიძემ (პ/ნ [redacted]), ქეთევან ბეთანელმა (პ/ნ [redacted] და გიორგი რამიშვილმა (პ/ნ [redacted]) ერთობლივად აირჩიეს შპს ,,ჯეო ჰოსპიტალსის“ ის ორი დირექტორი, რომლებიც მოკვლევის პერიოდში საქმიანობდნენ - გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი, შემდგომში გენერალური დირექტორი ზურაბ ქიტოშვილი (06.05.2020-დან დღემდე) და საოპერაციო დირექტორი მაია მაღლაკელიძე-ხომერიკი (06.05.2020-დან დღემდე).[33]

- 2020 წლის 06 მაისს დავით ბეჟუაშვილმა (პ/ნ [redacted]), როგორც შპს ,,ჯეო ჰოსპიტალსის“ პარტნიორის, შპს „ქართულ ჰოსპიტალთა ჯგუფის“ (ს/ნ 405322182), დირექტორმა, წესდების 6.4.1 მუხლში შეიტანა ცვლილება, რომლის მიხედვით დირექტორების ერთობლივი უფლებამოსილება კომპანიის ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე შეიცვალა განცალკევებული უფლებამოსილებით.

- წესდების 6.4.2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დირექტორთა საბჭო, ასევე გენერალური დირექტორი, ვალდებულია შეასრულოს პარტნიორთა საერთო კრების ან სამეთვალყურეო საბჭოს მიერ მიღებული დადგენილება.

[33] გიორგი ჭოხონელიძე შპს ,ჯეო ჰოსპიტალსი“-ს გენერალური დირექტორი იყო 14.01.2020-დან-06.05.2020-მდე.

სს „რისკების მართვისა და სადაზღვევო კომპანია გლობალ ბენეფიტს ჯორჯია“

- ოთხმა დამფუძნებელმა აქციონერმა კომპანიის სადამფუძნებლო აქტით (თარიღი: 22.12.2016) აირჩია სამეთვალყურეო საბჭოს წევრები (თავდაპირველად 3 წევრი), მათ შორის თავმჯდომარე დავით ბეჟუაშვილი პირადი ნომრით [redacted], რომელსაც აღნიშნული პოზიცია დღემდე უკავია.

- სს „რისკების მართვისა და სადაზღვევო კომპანია გლობალ ბენეფიტს ჯორჯიას“ ერთ-ერთი დამფუძნებელი და კომპანიის ნებადართული კაპიტალის [redacted]-იანი წილის მფლობელია შპს „ჯეო ინვესტმენტს“ (ს/ნ 404524225). თავის მხრივ, შპს „ჯეო ინვესტმენტსის“ გენერალური დირექტორი და კომპანიის კაპიტალის 100%-იანი წილის მესაკუთრე, 2016 წლიდან დღემდე არის, დავით ბეჟუაშვილი (პ/ნ [redacted]).

- ნინო კობახიძე (პ/ნ [redacted]) არის სს „რისკების მართვისა და სადაზღვევო კომპანია გლობალ ბენეფიტს ჯორჯიას“ ერთ-ერთი დამფუძნებელი და კომპანიის ნებადართული კაპიტალის [redacted]%-იანი წილის მესაკუთრე. გარდა ამისა, მოკვლევის პერიოდში, ნინო კობახიძეს დაკავებული ჰქონდა სს „რისკების მართვისა და სადაზღვევო კომპანია გლობალ ბენეფიტს ჯორჯიას“ სამეთვალყურეო საბჭოს მოადგილის/წევრის პოზიცია.

- 2019 წლის 06 დეკემბერს, აქციონერთა რიგგარეშე კრების ოქმი N1-ის მიხედვით, აქციონერებმა შპს ,,ჯეო ინვესტმენტსის“ სასარგებლოდ უარი განაცხადეს მოცემული გადაწყვეტილების საფუძველზე გამოშვებულ კუმულირებად აქციებთან დაკავშირებულ უპირატესი შესყიდვის უფლებაზე.

- 2020 წლის 06 ივლისს, მაჟორიტარი აქციონერის - შპს ,,ჯეო ინვესტმენტსის“ გენერალურმა დირექტორმა - დავით ბეჟუაშვილმა (პ/ნ [redacted]) სამეთვალყურეო საბჭოდან გაათავისუფლა ზურაბ გელენიძე (პ/ნ [redacted] და მის ნაცვლად თეა ბასიაშვილი (პ/ნ [redacted]) დანიშნა.

- კომპანიის წესდების 4.7 პუნქტის თანახმად, საერთო კრების კვორუმისათვის საკმარისია მასზე წარმოდგენილი იყოს საერთო ხმების რაოდენობის 51%. საერთო კრების ხელმეორედ მოწვევის შემთხვევაში - 35%. გადაწყვეტილებები ჩვეულებრივ მიიღება საერთო კრებაში მონაწილე (ანუ დამსწრე) ხმის უფლების მქონე აქციათა უბრალო უმრავლესობით (წესდების 4.8. პუნქტი), თუმცა ცალკეულ საკითხებთან დაკავშირებით, წესდება შეიძლება განსხვავებულ კვორუმს ადგენდეს. ნებისმიერ აქციონერს, თუ მას გააჩნია საზოგადოების კაპიტალში აქციების სულ მცირე 5%, შეუძლია დღის წესრიგს დაამატოს განსახილველი საკითხი (წესდების 4.5 პუნქტი).

- სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს ირჩევს და ათავისუფლებს საერთო კრება (წესდების 4.10 პუნქტის ,,პ“ და ,,ჟ“ ქვეპუნქტები)

- აღსანიშნავია, რომ მოქმედ წესდებას 2021 წლის 18 აგვისტოს დაემატა - 4.11.2 პუნქტი, რომლის მიხედვით საერთო ხმათა რაოდენობის 75%-ზე მეტის მფლობელი აქციონერის მიერ მიღებული გადაწყვეტილება განსახილველ საკითხთან დაკავშირებით, აქციონერთა საერთო კრების გადაწყვეტილებად მიიჩნევა და ასეთ შემთხვევაში კრების მოწვევის აუცილებლობა არ დგას.

- რაც შეეხება კომპანიის დირექტორატს (წესდების 5.1 პუნქტი) - საზოგადოებას ჰყავს 3 დირექტორი. ყველა დირექტორს ირჩევს სამეთვალყურეო საბჭო, გარდა დაფუძნებისას თავდაპირველად არჩეული დირექტორებისა, რომელიც აირჩია საერთო კრებამ. ეს დირექტორები საერთო კრების წინაშე აგებდნენ პასუხს.

- ყველა დირექტორი უნდა აკმაყოფილებდეს მზღვეველის დირექტორებისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ შესაფერისობის კრიტერიუმს (წესდების 5.3 პუნქტი); გენერალური დირექტორი უზრუნველყოფს საერთო კრების და სამეთვალყურეო საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესრულებას (წესდების 5.6.7. პუნქტი); დირექტორთა უფლებამოსილებათა ფარგლები განსხვავებულია, კერძოდ, სრული ხელმძღვანელობითი და წარმომადგენლობითი უფლებამოსილება გააჩნია მხოლოდ გენერალურ დირექტორს, რომელსაც დანარჩენ დირექტორებზე უფლებამოსილებათა დელეგირებისა (წესდების 5.5. პუნქტი) და ფუნქციების განაწილების შესაძლებლობა გააჩნია (წესდების 5.6.10 პუნქტი); დირექტორების დანიშვნისა და გათავისუფლების შესახებ ნებისმიერ აქციონერს შეუძლია საკითხის დაყენება, თუმცა გადაწყვეტილებას იღებს სამეთვალყურეო საბჭო (წესდების 5.8 პუნქტი).

- სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს ირჩევს საერთო კრება (წესდების 6.1 პუნქტი); წევრები უნდა აკმაყოფილებდნენ მზღვეველისათვის კანონმდებლობით დადგენილ შესაფერისობის კრიტერიუმს (წესდების 6.2 პუნქტი); სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის კვორუმი არსებულ წევრთა უბრალო უმრავლესობას შეადგენს, ხოლო სხდომის ხელმეორე მოწვევისას კვორუმისათვის ნებისმიერი რაოდენობა საკმარისია (წესდების 6.8 პუნქტი); გადაწყვეტილებები მიიღება დამსწრე წევრთა უბრალო უმრავლესობით, ხოლო ხმების თანაბარი განაწილების შემთხვევაში თავმჯდომარეს ექნება გადამწყვეტი ხმის უფლება (წესდების 6.10 პუნქტი).

- დირექტორის დანიშვნა და გათავისუფლება სამეთვალყურეო საბჭოს კომპეტენციაა, ასევე - მათი უფლებებისა და ვალდებულებების განსაზღვრა, დირექტორების კონტროლი, ზედამხედველობა, მათი ანგარიშების დამტკიცება (წესდების 6.12 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტი, ,,დ“ ქვეპუნქტი, ,,ე“ ქვეპუნქტი).

- აღსანიშნავია, რომ 2021 წლის 18 აგვისტოს წესდებას დაემატა 6.12 პუნქტის ,,ნ“ ქვეპუნქტი, რომლის თანახმადაც ურთიერთდამოკიდებულ პირებთან (საგადასახადო კოდექსის მე-19

მუხლის გაგებით) განსახორციელებელი ტრანზაქცია სამეთვალყურეო საბჭოს მხრიდან საჭიროებს დადასტურებას.

სააგენტო დამატებით აღნიშნავს, რომ საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ წარმოდგენილი წერილის (რეგ: № 01/691; თარიღი: 07.04.2022) დანართის თანახმად (სს ,,გლობალ ბენეფიტს ჯორჯიას“ აქციათა რეესტრის ამონაწერები - 2020-2021 წლების პერიოდი) შპს ,,ჯეო ინვესტმენტს“ მოკვლევის პერიოდის ფარგლებში ყოველთვის მაჟორიტარ აქციონერს წარმოადგენდა როგორც ჩვეულებრივი, ასევე პრივილეგირებული აქციების გათვალისწინებით.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, აშკარაა, რომ სს „რისკების მართვისა და სადაზღვევო კომპანია გლობალ ბენეფიტს ჯორჯიას“ და შპს „ჯეო ჰოსპიტალსს“ ერთმანეთთან აკავშირებს ფიზიკური პირები ნინო კობახიძე (პ/ნ [redacted]) და დავით ბეჟუაშვილი (პ/ნ [redacted]) (იხ., სქემა 1).

სქემა 1 - *შპს ,,ჯეო ჰოსპიტალსის“ და სს „რისკების მართვისა და სადაზღვევო კომპანია გლობალ ბენეფიტს ჯორჯიას“ ურთიერთდაკავშირებულობის შესახებ*[34]



ამდენად, როგორც ირკვევა ,,კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის შესაბამისად, შპს „ჯეო ჰოსპიტალსი“ და სს „რისკების მართვისა და სადაზღვევო კომპანია გლობალ ბენეფიტს ჯორჯია“ ურთიერთდამოკიდებული პირები არიან როგორც დავით ბეჟუაშვილის (პ/ნ [redacted]), ისე ნინო კობახიძის (პ/ნ [redacted]) ნაწილში.

[34] წარმოდგენილ სქემაში მითითებულია დავით ბეჟუაშვილი პირადი ნომრით [redacted]

აღსანიშნავია, რომ მომჩივანიც უთითებს იმ გარემოებაზე, რომლის მიხედვითაც შპს ,,საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფის“ (ს/ნ 404927610) დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარეა დავით ბეჟუაშვილი (პ/ნ [redacted]), რომელიც ასევე არის სს „რისკების მართვისა და სადაზღვევო კომპანია გლობალ ბენეფიტს ჯორჯიას“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე. სააგენტო ადასტურებს აღნიშნული გარემოების სისწორეს, თუმცა, დამატებით აღნიშნავს, რომ:

1. დავით ბეჟუაშვილი პირადი ნომრით [redacted] და დავით ბეჟუაშვილი პირადი ნომრით [redacted] წარმოადგენენ ნათესავებს. კერძოდ, საქმის მასალებში არსებული დავით ბეჟუაშვილის (პ/ნ [redacted]) წერილით (რეგ: № 01/604; თარიღი: 25.03.2022) დგინდება, რომ დავით ბეჟუაშვილი (პ/ნ [redacted]) მისი ბიძაა, კერძოდ მამის ძმა. თუმცა მხოლოდ მოცემული გარემოება (ნათესაური კავშირი) არ არის საკმარისი ერთიანი ეკონომიკური სუბიექტის დასადგენად, სხვა დამატებითი მტკიცებულების გარეშე, მოპასუხეთა მიმართ.

სააგენტომ შპს ,,ჯეო ინვესტმენტსისგან“ (ს/ნ 404524225) გამოითხოვა (რეგ: № 02/264; თარიღი: 23/03/2022) 2020-2021 წლების განმავლობაში სს „გლობალ ბენეფიტს ჯორჯიას“ აქციონერთა საერთო კრების (გარდა სამეწარმეო რეესტრში ატვირთული დოკუმენტაციისა), მათ შორის მაჟორიტარი აქციონერის - შპს ,,ჯეო ინვესტმენტსის“ მიერ მიღებული (რეესტრში აუტვირთავი) გადაწყვეტილებები ან/და დადგენილებები, ამასთან იმავე პერიოდში შპს ,,ქართულ ჰოსპიტალთა ჯგუფის“ (ს/ნ 405322182), როგორც შპს ,,ჯეო ჰოსპიტალსის“ 100%-იანი პარტნიორის მიერ მიღებული (გარდა სამეწარმეო რეესტრში ატვირთული დოკუმენტაციისა) გადაწყვეტილებები ან/და დადგენილებები (ასეთის არსებობის შემთხვევაში). ადრესატის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად (რეგ: № 01/853; თარიღი: 04.05.2022): 1. მითითებულ პერიოდში სს ,,გლობალ ბენეფიტს ჯორჯიას“ საერთო კრების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები (მათ შორის შპს ,,ჯეო ინვესტმენტსის“ მიერ მიღებული) შეეხებოდა ისეთ საკითხებს, როგორიცაა საზოგადოების კაპიტალის გაზრდა პრივილეგირებული აქციების გამოშვების გზით, საზოგადოების წესდების ახალი რედაქციის დამტკიცება, აქციონერთა საერთო კრების ჩატარების ახალი წესის დამტკიცება, დირექტორთა პოზიციების დასახელებების ცვლილება, სახაზინო აქციათა გაუქმება თუ სხვა. აღნიშნული გადაწყვეტილებები მიღებულია დავით ბეჟუაშვილის (პ/ნ [redacted]) მიერ ერთპიროვნულად. 2. მითითებულ პერიოდში შპს ,,ჯეო ჰოსპიტალსის“ 100%-იანი პარტნიორის - შპს ,,ქართულ ჰოსპიტალთა ჯგუფის“ მიერ მიღებული გადაწყვეტილებები შეეხებოდა ისეთ საკითხს, როგორიცაა საბანკო კრედიტის პირობების შეთანხმება ისეთ იურიდიულ პირებს შორის, რომლებიც მოცემულ მოკვლევასთან არ არიან რაიმე ფორმით დაკავშირებულნი. აღნიშნული გადაწყვეტილებები მიღებულია დავით ბეჟუაშვილის (პ/ნ [redacted]) მიერ ერთპიროვნულად.

ამასთან, აღნიშნული გარემოებების გარეშეც, **შპს ,,ჯეო ჰოსპიტალსი“ და სს „რისკების მართვისა და სადაზღვევო კომპანია გლობალ ბენეფიტს ჯორჯია“ მაინც წარმოადგენენ ურთიერთდამოკიდებულ პირებს.**

2. მომჩივანის ინფორმაციით, შპს ,,საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფი“ და სს „რისკების მართვისა და სადაზღვევო კომპანია გლობალ ბენეფიტს ჯორჯია“ ასევე წარმოადგენენ ურთიერთდამოკიდებულ პირებს, რადგანაც დავით ბეჟუაშვილს პირადი ნომრით [redacted]

მოკვლევის პერიოდში ეკავა/დღეის მდგომარეობითაც უკავია სს „რისკების მართვისა და სადაზღვევო კომპანია გლობალ ბენეფიტს ჯორჯიას“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის/წევრის პოზიცია და იმავდროულად მოკვლევის პერიოდში ეკავა/დღეის მდგომარეობითაც უკავია შპს ,,საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფის“ დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარის/წევრისა და ასევე გენერალური დირექტორის პოზიციები. გარდა აღნიშნულისა, სს „რისკების მართვისა და სადაზღვევო კომპანია გლობალ ბენეფიტს ჯორჯიას“ უფლებამოსილმა წარმომადგენელმა ინდივიდუალურ ახსნა-განმარტებით სხდომაზე (სხდომის ოქმი N2; თარიღი: 07.03.2022) აღნიშნა, რომ შპს ,,ჯეო ინვესტმენტსსა“ (ს/ნ 404524225) და შპს ,,საქართველოს ინდუსტრიულ ჯგუფს“ (ს/ნ 404927610) საერთო დამფუძნებელი ჰყავთ - დავით ბეჟუაშვილის სახით (თუმცა მას არ ახსოვდა პირადი ნომერი). მიუხედავად ამისა, მოკვლევის პერიოდის შესაბამისი სამეწარმეო რეესტრის ამონაწერებით, ეს გარემოება სააგენტოს ხელთ არსებული ინფორმაციით არ დგინდება - რეესტრის მონაცემებით, აღნიშნულ კომპანიებში წარმოადგენილია ორი სხვადასხვა დავით ბეჟუაშვილი (პ/ნ [redacted] და პ/ნ [redacted]).

3. გარდა ამისა, უშუალოდ შპს ,,ჯეო ჰოსპიტალსს“ და შპს ,,საქართველოს ინდუსტრიულ ჯგუფს“ შორის რაიმე სახის სამეწარმეო-სამართლებრივი კავშირი არ დგინდება. ერთადერთი გარემოება, რომლის არსებობაც დაადასტურა შპს ,,ჯეო ჰოსპიტალსის“ უფლებამოსილმა წარმომადგენელმა ინდივიდუალურ ახსნა-განმარტებით სხდომაზე (სხდომის ოქმი N1; თარიღი: 02.03.2022), არის ის, რომ შპს ,,ჯეო ჰოსპიტალსსა“ და შპს ,,საქართველოს ინდუსტრიულ ჯგუფს“ (ს/ნ 404927610) შორის დადებულია იჯარის ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც, ქ. თბილისში მდებარე ერთ-ერთი შენობა დროებით სარგებლობაში (სამედიცინო საქმიანობის განხორციელების მიზნით) გადაეცა შპს ,,ჯეო ჰოსპიტალსს“.

ასევე, დამატებით, სს „რისკების მართვისა და სადაზღვევო კომპანია გლობალ ბენეფიტს ჯორჯიას“ უფლებამოსილმა წარმომადგენელმა ინდივიდუალურ ახსნა-განმარტებით სხდომაზე (სხდომის ოქმი N2; თარიღი: 07.03.2022) აღნიშნა, რომ შპს ,,ჯეო ჰოსპიტალსის“ საბოლოო დამფუძნებელი შპს ,,საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფია“ (ს/ნ 404927610). მიუხედავად ამისა, მოკვლევის პერიოდის შესაბამისი სამეწარმეო რეესტრის ამონაწერებით ეს გარემოება არ დგინდება. კერძოდ, მოცემულ პერიოდში შპს ,,ჯეო ჰოსპიტალსის“ ერთადერთი პარტნიორი და 100%-იანი წილის მფლობელია შპს ,,ქართულ ჰოსპიტალთა ჯგუფი“ (ს/ნ 405322182), რომელსაც თავის მხრივ ჰყავს 3 პარტნიორი: 1. დავით ბეჟუაშვილი პირადი ნომრით [redacted] – 50 %-იანი წილით; 2. შპს ,,მეიდანზე“ (ს/ნ 404541484) – 25 %-იანი წილით; 3. შპს ,,ჰიპ რისერჩი“ (ს/ნ 400192938) – 25%-იანი წილით. მოცემული იურიდიული პირების პარტნიორები კი არიან: 1. შპს ,,მეიდანზე“ - ზაზა ნიშნიანიძე (პ/ნ [redacted] - 100 %-იანი წილის მფლობელი და 2. შპს ,,ჰიპ რისერჩი“ - კახაბერ ლომსაძე (პ/ნ [redacted] - 100%-იანი წილის მფლობელი.

შესაბამისად, სააგენტო განმარტავს, რომ აღნიშნული გარემოება არ ადასტურებს იმ სახის კავშირის არსებობას შპს ,,ჯეო ჰოსპიტალსსა“ და შპს ,,საქართველოს ინდუსტრიულ ჯგუფს“ შორის, რომელზეც მომჩივანი უთითებს საჩივარში.

4.1.2 *ერთიანი ეკონომიკური სუბიექტის ცნების განმარტება ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოსა და სააგენტოს პრაქტიკაში*

ერთიანი ეკონომიკური სუბიექტის დოქტრინა, ძირითადად, ეკონომიკურ აგენტებს შორის შეთანხმებასთან დაკავშირებულ საქმეებში გამოიყენება, თუმცა, არცთუ იშვიათია შემთხვევები, როდესაც ერთიანი ეკონომიკური სუბიექტის დოქტრინა ევროკომისიამ თუ ევროსასამართლომ დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენებასთან დაკავშირებული საქმეების განხილვისას გამოიყენა[35]. ეს გამომდინარეობს იქიდან, რომ ევროკავშირის კონკურენციის სამართალში, ისევე, როგორც ქართულ კონკურენციის სამართალში, მე-6 (დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენება)[36] და მე-7 (კონკურენციის შემზღუდველი ხელშეკრულება, გადაწყვეტილება, შეთანხმებული ქმედება)[37] მუხლები მიემართება ეკონომიკურ აგენტებს, ხოლო ეკონომიკური აგენტი განიმარტება, როგორც ფიზიკური პირი, იურიდიული პირი, სხვა გაერთიანება ან ასოციაცია, რომელიც ახორციელებს ეკონომიკურ საქმიანობას, განურჩევლად რეზიდენტობისა, იურიდიული პირის სამართლებრივი ფორმისა[38]. სხვა სიტყვებით, ეკონომიკური აგენტი შესაძლებელია შედგებოდეს რამდენიმე ფიზიკური ან იურიდიული პირისაგან, რაც, თავის მხრივ, შესაძლებელია „ერთიან ეკონომიკურ სუბიექტს“ ქმნიდეს.

ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ ფიზიკური ან/და იურიდიული პირების ერთიან ეკონომიკურ სუბიექტად მიჩნევა, „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლთან მიმართებით შემდეგ მიზანს ატარებს: **თუ დადგინდება, რომ სს „გლობალ ბენეფიტს ჯორჯია“ და შპს „ჯეო ჰოსპიტალსი“ ერთიან ეკონომიკურ სუბიექტს წარმოადგენს, შემდგომ, უნდა გაანალიზდეს, რამდენად გამოიყენეს დასახელებულმა კომპანიებმა, როგორც ერთიანმა სუბიექტმა, ბოროტად დომინანტური მდგომარეობა და რამდენად უნდა დადგეს ორივე კომპანიის პასუხისმგებლობის საკითხი.**

ერთიანი ეკონომიკური სუბიექტის ცნების საკანონმდებლო განმარტებას ქართული კანონმდებლობა, მართალია, არ იცნობს, თუმცა ევროკავშირის კანონმდებლობა და სასამართლო პრაქტიკა გვაძლევს მისი დეფინიციისა და გამოყენების სათანადო მაგალითებს. **აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კომპანიებს შორის ურთიერთდამოკიდებულების დადგენა ავტომატურად არ ნიშნავს მათ მიჩნევას „ერთიან ეკონომიკურ სუბიექტად“.** ხსენებული საჭიროებს დამატებით მსჯელობას და სხვა მნიშვნელოვანი გარემოებების დადგენას, რაზეც

[35] მაგალითად, საქმეში ECLI:EU:C:2021:238, Case C-152/19 P, „*Deutsche Telekom*“.
[36] შეესაბამება TFEU-ს 102-ე მუხლს.
[37] შეესაბამება TFEU-ს 101-ე მუხლს.
[38] „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი.

ქვემოთ არის საუბარი. „ერთიანი ეკონომიკური სუბიექტის“ ცნებასთან დაკავშირებით სააგენტომ უკვე იმსჯელა *„სიტროენ ჯორჯიას* საქმეში“ და მიიჩნია, რომ განცალკევებული სამართლებრივი სტატუსის მქონე ეკონომიკური აგენტები შესაძლოა მოვიაზროთ ერთ სუბიექტად, თუკი მათ შორის არსებობს **მჭიდრო ეკონომიკური კავშირი** და **ურთიერთზემოქმედების ის ხარისხი, რაც მათი დამოუკიდებლად განხილვის შესაძლებლობას არ იძლევა.**[39]

ერთი პირის მიერ დაფუძნებულ ან ერთი პირის მიერ მართულ ურთიერთდამოკიდებულ პირებთან დაკავშირებით მნიშვნელოვან ინსტრუქციას შეიცავს ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს პრეცედენტული გადაწყვეტილება საქმეზე 170/83, Hydrotherm v. Compact[40], საიდანაც იკვეთება, რომ სასამართლო **ერთი ფიზიკური პირის მიერ სრულად კონტროლირებულ ეკონომიკურ აგენტებს** განიხილავს ერთ ეკონომიკურ სუბიექტად. ასევე, საქმეში C-73/95 P, Viho Europe v. Commission[41] ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლომ, ერთიანი ეკონომიკური სუბიექტის დოქტრინაზე მსჯელობისას ყურადღება გაამახვილა შემდეგ საკითხებზე: **ჰქონდათ თუ არა შვილობილ კომპანიებს „რეალური ავტონომია“** და **საკუთარი მოქმედების კურსის დამოუკიდებლად არჩევის შესაძლებლობა,** თუ ისინი ასრულებდნენ მაკონტროლებელი მშობელი კომპანიის ინსტრუქციებს. საგულისხმოა, ასევე, რომ კავშირის დასადგენად არ არის აუცილებელი კონკრეტული შეთანხმების არსებობა, არამედ, საკმარისია სხვა მაკავშირებელი ფაქტორების არსებობა ეკონომიკურ ანალიზსა და, განსაკუთრებით, ბაზრის სტრუქტურის ანალიზთან ერთად.[42]

შესაბამისად, ევროპული მართლმსაჯულების სასამართლო პრაქტიკის განვითარების შედეგად[43], მშობელი კომპანიის მიერ შვილობილზე განხორციელებული კონტროლის დადგენის სტანდარტს წარმოადგენს ორი ალტერნატიული გზა: იმის დასაბუთება, რომ **მშობელ კომპანიას გააჩნდა შესაძლებლობა შვილობილ კომპანიაზე განეხორციელებინა არსებითი ზეგავლენა, რაც ნამდვილად იქნა გამოყენებული,** ან მტკიცება, რომ **შვილობილი კომპანია საკუთარ ქმედებებზე გადაწყვეტილებებს დამოუკიდებლად არ იღებს და ყოველ მატერიალურ ასპექტში ასრულებს მაკონტროლებელი მშობელი კომპანიის ინსტრუქციებს,** რა დროსაც განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ეკონომიკურ, ორგანიზაციულ და სამართლებრივ კავშირებს ამ ორ კომპანიას შორის.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტოს შეფასებით, ორი ან მეტი პირის ერთიან ეკონომიკურ სუბიექტად შერაცხვის საკითხის განხილვისას შესამოწმებელ უმთავრეს კრიტერიუმს წარმოადგენს **კონკრეტული კომპანიის რეალური ავტონომიისა და კომპანიის**

---

[39] კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2018 წლის 06 ივლისის N04/166 ბრძანება (სიტროენ ჯორჯიას საქმე), გვ.16

[40] ECLI:EU:C:1984:271, Case 170/83 "*Hydrotherm Gerätebau"*

[41] ECLI:EU:C:1996:405, Case C-73/95 P. "*Viho Europe"* § 1.

[42] EU:C:2000:132, Cases C-395 and 396/96 P "*Compagnie Maritime Belge"*§ 45.

[43] ECLI:EU:C:2021:238, Case C-152/19 P „*Deutsche Telekom"* §§ 95-96.

მოქმედების კურსის დამოუკიდებლად არჩევის შესაძლებლობა. ზოგიერთ შემთხვევაში ავტონომიის მაღალი ხარისხის არსებობა შესაძლებელია სახეზე იყოს მაშინაც, თუკი დაკმაყოფილებულია ურთიერთდამოკიდებულების წინაპირობები კანონის მე-3 მუხლის ,,ლ" ქვეპუნქტის შესაბამისად. ეს გამომდინარეობს იქიდან, რომ ურთიერთდამოკიდებული პირების ცნების ქვეშ კანონი მოიაზრებს პირთა საკმაოდ ფართო წრეს, ნათესავებისა და მათ მიერ დაფუძნებული კომპანიების ჩათვლით და ისინი ავტომატურად, ყველა შემთხვევაში ვერ იქნებიან მიჩნეული ერთიან ეკონომიკურ სუბიექტად.

4.1.3 *ზეგავლენის არსებობა და მისი შესაძლო გამოყენების ფაქტი*

როგორც უკვე აღინიშნა, 2019 წლის ნოემბრიდან დღემდე, შპს „ჯეო ჰოსპიტალსის" ერთადერთი მესაკუთრე და 100%-იანი წილის მფლობელია შპს „ქართულ ჰოსპიტალთა ჯგუფი" (ს/ნ 405322182). თავის მხრივ, შპს „ქართულ ჰოსპიტალთა ჯგუფის" დირექტორი, ანუ ხელმძღვანელობა/წამომადგენლობაზე უფლებამოსილი პირია დავით ბეჟუაშვილი (პ/ნ [redacted]). დავით ბეჟუაშვილი შპს „ქართულ ჰოსპიტალთა ჯგუფის" პარტნიორიცაა. კომპანიას ჯამში ჰყავს სამი პატნიორი, რომელთაგან დავით ბეჟუაშვილი (პ/ნ [redacted]) ფლობს აქციათა 50% -ს.

შპს „ქართულ ჰოსპიტალთა ჯგუფის" წესდების შესაბამისად, საზოგადოების მმართველობის ორგანოებია პარტნიორთა საერთო კრება და დირექტორი. პარტნიორთა კრება გადაწყვეტილებაუნარია, თუ მას ესწრება ხმის უფლების მქონე პარტნიორთა 75%, თუმცა, პარტნიორთა კრება გადაწყვეტილებას იღებს კენჭისყრაში მონაწილეთა ხმების უბრალო უმრავლესობით. აღნიშნულის გათვალისწინებითა და იმ ფაქტის მხედველობაში მიღებით, რომ დავით ბეჟუაშვილი (პ/ნ [redacted]) არის კომპანიის დირექტორიც, დავით ბეჟუაშვილს შეუძლია შპს „ქართულ ჰოსპიტალთა ჯგუფის" გადაწყვეტილებებზე ზემოქმედება, ხოლო შპს „ქართულ ჰოსპიტალთა ჯგუფი" შპს „ჯეო ჰოსპიტალსის" ერთადერთი მესაკუთრე და 100%-იანი წილის მფლობელია, ამდენად დავით ბეჟუაშვილს (პ/ნ [redacted]) შესაძლებლობა აქვს, გავლენა მოახდინოს ამ უკანასკნელის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე.

სს „რისკების მართვისა და სადაზღვევო კომპანია გლობალ ბენეფიტს ჯორჯიას" შემთხვევაში, როგორც უკვე აღინიშნა, კომპანიის ერთ-ერთი დამფუძნებელი და ნებადართული კაპიტალის [redacted]%-იანი წილის მფლობელია შპს „ჯეო ინვესტმენტს" (ს/ნ 404524225). თავის მხრივ, შპს „ჯეო ინვესტმენტსის" გენერალური დირექტორი და კომპანიის კაპიტალის 100%-იანი წილის მესაკუთრე, 2016 წლიდან დღემდე, არის ზემოაღნიშნული დავით ბეჟუაშვილი (პ/ნ [redacted]). ამასთან, 2020 წლიდან დღემდე, მეორე მოქალაქე დავით ბეჟუაშვილს (პ/ნ [redacted]) უკავია სს „რისკების მართვისა და სადაზღვევო კომპანია გლობალ ბენეფიტს ჯორჯიას" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის/წევრის პოზიცია.

ასევე, სს „რისკების მართვისა და სადაზღვევო კომპანია გლობალ ბენეფიტს ჯორჯიას" ერთ-ერთი დამფუძნებელი და სამეთვალყურეო საბჭოს მოადგილე/წევრი - ნინო კობახიძე (პ/ნ

[redacted]) - შპს „ჯეო ჰოსპიტალსის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე/წევრია. ამ უკანასკნელ შემთხვევაში ის აუცილებლად უნდა დაესწროს საბჭოს სხდომებს იმისათვის, რომ დაგეგმილი გადაწყვეტილებები იქნეს მიღებული. ამ თვალსაზრისით ნინო კობახიძეს (პ/ნ [redacted]) აქვს შპს ,,ჯეო ჰოსპიტალსის“ სამეთვალყურეო საბჭოს მიერ მისაღებ გადაწყვეტილებებზე მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენის შესაძლებლობა.

აღსანიშნავია, რომ დავით ბეჟუაშვილის (პ/ნ [redacted]) მონაწილეობა სს „რისკების მართვისა და სადაზღვევო კომპანია გლობალ ბენეფიტს ჯორჯიასა“ და შპს „ჯეო ჰოსპიტალსში“ ამ კომპანიებს ე.წ. „დედმამიშვილ“ კომპანიებად აქცევს, თუმცა არატრადიციული გაგებით. უფრო კონკრეტულად, კომპანიებს შორის „დედმამიშვილური“ ურთიერთობა სახეზეა, როდესაც ორ ან რამოდენიმე დამოუკიდებელ იურიდიულ პირს ჰყავს საერთო მესაკუთრე.[44]

გარდა ამისა, როგორც ევროსასამართლომ *Deutsche Telecom*-ის საქმეში დაადგინა, ერთი სუბიექტის მიერ მეორე სუბიექტის მისაღებ გადაწყვეტილებაზე ზეგავლენის მოხდენის შესაძლებლობის არსებობა არ არის საკმარისი გარემოება ორივე სუბიექტისათვის ერთობლივად პასუხისმგებლობის შესარაცხად. კონკურენციის უწყება ვალდებულია დაადგინოს, რომ ასეთი ზეგავლენა ნამდვილად იქნა გამოყენებული.

ზეგავლენის შესაძლო გამოყენების ფაქტის დადგენისა და შეფასების ნაწილში, აღსანიშნავია, რომ მოცემულ ეტაპზე საქმეში არსებული მტკიცებულებებითა და მასალებით, მათ შორის, სააგენტოს მიერ დღეის მდგომარეობით გამოთხოვილი ინფორმაციის დამუშავების შედეგად, **არ დგინდება რომელიმე/ნებისმიერ მიღებულ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით (2020-2021 წლების პერიოდზე) რაიმე სახის ზეგავლენის გამოყენების ფაქტის არსებობა სს „რისკების მართვისა და სადაზღვევო კომპანია გლობალ ბენეფიტს ჯორჯიას“ მხრიდან შპს ,,ჯეო ჰოსპიტალსის“ მიმართ და არც პირიქით.** უფრო მეტიც, საქმეში არსებულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით დგინდება ისეთი გარემოებების არსებობა, რომლებიც მოპასუხეთა ერთმანეთისგან დამოუკიდებელი საქმიანი კურსის წარმოებაზე მიუთითებენ. კერძოდ, აღნიშნული გარემოებებია შემდეგი:

1. სს „რისკების მართვისა და სადაზღვევო კომპანია გლობალ ბენეფიტს ჯორჯიას“ და შპს ,,ჯეო ჰოსპიტალსს“ შორის მართალია 2018 წლის 15 ივნისის და 2019 წლის 01 იანვრის პროვაიდერული მომსახურების ხელშეკრულებებით (რომელიც დღეის მდგომარეობითაც მოქმედია) შეთანხმებულია ოჯახის ექიმის მიერ მომსახურების გაწევა შაბათ დღეს ქ. გარდაბანსა და ქ. მარნეულში, თუმცა აღნიშნული მომსახურების მიღების სანაცვლოდ სადაზღვევო კომპანია იხდის დამატებით საფასურს. ეს გარემოება დადასტურებულია ორივე მოპასუხის შესაბამისი უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ, ინდივიდუალურ ახსნა-განმარტებით სხდომებზე (1. სხდომის ოქმი N1; თარიღი: 02.03.2022; 2. სხდომის ოქმი N2; თარიღი: 07.03.2022) და ასევე დგინდება საქმეში არსებული ხელშეკრულებებით. კერძოდ, ა) ქ. გარდაბანში შაბათ დღეს ოჯახის ექიმის მომსახურების

[44] *Odudu, O., Bailey, D.*, The Single Economic Entity Doctrine in EU Competition Law, Common Market Law Review, 2014 Jan 1;51(6):1721-175 p. 1731

დამატება 2018 წლის 15 ივნისს განხორციელდა და მოცემულ ნაწილში მომსახურების ფასი გაიზარდა [redacted] ლარით და შეადგინა [redacted] ლარი.[45] ბ) ქ. მარნეულში შაბათ დღეს ოჯახის ექიმის მომსახურების დამატება 2019 წლის 01 იანვარს განხორციელდა და ამ ნაწილში მომსახურების ფასი გაიზარდა [redacted] ლარით [redacted] და შეადგინა [redacted] ლარი [redacted]. აღსანიშნავია, რომ დამატებითი საფასურის შეთანხმება მხარეთა თავისუფალი ნებისა და კერძო ავტონომიის სფეროს განეკუთვნება. შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში, შპს ,,ჯეო ჰოსპიტალსი" არ იყო ვალდებული, აღნიშნული დამატებითი საფასური შეეთანხმებინა სს „რისკების მართვისა და სადაზღვევო კომპანია გლობალ ბენეფიტს ჯორჯიასთან", მიუხედავად ამისა, აღნიშნულ კომპანიებს შორის ეს შეთანხმება წერილობით დაიდო. შესაბამისად, იმ შემთხვევაში, თუ დავუშვებთ, რომ მოპასუხეები ერთიან ეკონომიკურ სუბიექტს წარმოადგენენ, მაშინ მათ შორის დამატებითი ანაზღაურების სანაცვლოდ შესაბამისი მომსახურების შეთანხმების არსებობა ნაკლებად სავარაუდო/გონივრული იქნებოდა.

2. საქმეში არსებული მასალებიდან ასევე დგინდება, რომ ოჯახის ექიმის მომსახურების მიღება შაბათ დღეს ქ. მარნეულსა და ქ. გარდაბანში შპს ,,ჯეო ჰოსპიტალსის" შესაბამის სამედიცინო დაწესებულებებში შესაძლებელია სს „დაზღვევის საერთაშორისო კომპანია ირაოს" (ს/ნ 205023856) დაზღვეული პირებისთვისაც (1. რეგ: № 01/365; თარიღი: 28.02.2022; 2. რეგ: № 01/419; თარიღი: 10.03.2022). ცხადია, აღნიშნული გარემოება სააგენტოს მიერ ცალკე შეფასების საგანი იქნება საჩივარში მითითებული შესაძლო დარღვევების კონტექსტშიც, თუმცა, მოცემულ ეტაპზე, აღნიშნული გარემოება, ასევე, დამატებით მიუთითებს იმაზე, რომ 2020 და 2021 წლების განმავლობაში მხოლოდ სს „რისკების მართვისა და სადაზღვევო კომპანია გლობალ ბენეფიტს ჯორჯიას" ბენეფიციარები არ სარგებლობდნენ შაბათ დღეს ოჯახის ექიმის მომსახურებით და შესაბამისად, ეს გარემოებაც ეჭვქვეშ აყენებს მოპასუხეების ერთიან ეკონომიკურ სუბიექტად მიჩნევის შესაძლებლობას.

3. ასევე, დამატებით აღსანიშნავია, რომ საქმეში არსებული წერილის (რეგ: № 01/951; თარიღი: 18.06.2021) დანართი N 3-ის (თანდართული წერილის შიდა ნომერი: 20-002-726; თარიღი: 02.12.2020) მიხედვით, შპს ,,ჯეო ჰოსპიტალსმა" არ მიაწოდა გამოთხოვილი დოკუმენტაცია/ინფორმაცია სს „რისკების მართვისა და სადაზღვევო კომპანია გლობალ ბენეფიტს ჯორჯიას" კლინიკის მიერ სხვა სადაზღვევო კომპანიებთან დადებული პროვაიდერული მომსახურების ხელშეკრულებების თაობაზე იმ მოტივით, რომ ის განეკუთვნება კონფიდენციალურ ინფორმაციას. აღნიშნული გარემოებაც დამატებით ეჭვქვეშ აყენებს მოპასუხეების ერთიან ეკონომიკურ სუბიექტად მიჩნევის შესაძლებლობას.

4. გარდა ზემოთ აღნიშნულისა, კომპანიათა წესდებებით გათვალისწინებული რეგულაციების ანალიზიდან გამომდინარე, ხაზგასასმელია ის გარემოებაც, რომ შპს ,,ჯეო ჰოსპიტალსის" სამეთვალყურეო საბჭო, ისევე, როგორც სს „რისკების მართვისა და

[45] შენიშვნა: აღნიშნული ფასის ზრდა განხორციელდა 2018 წლის 1 მარტის ხელშეკრულებასთან მიმართებით, რადგან 2018 წლის 01 მაისის მდგომარეობით არსებულ ხელშეკრულებაში ქ. გარდაბანი ამოღებულია.

სადაზღვევო კომპანია გლობალ ბენეფიტს ჯორჯიას“ ანალოგიური მმართველობითი ორგანო გაცილებით ფართო და უფრო მნიშვნელოვანი უფლებამოსილებების მატარებელია, ვიდრე ორივე კომპანიაში არსებული დირექტორატი. ამის მიუხედავად, ქ. მარნეულსა და ქ. გარდაბანში ოჯახის ექიმის მომსახურების შაბათ დღეს დამატებასთან ან/და რაიმე ექსკლუზიური ხელშეკრულების დადებასთან/შეთანხმების მიღწევასთან დაკავშირებით საქმის მასალებში არც ერთი მოპასუხე კომპანიის მხრიდან არ მოიპოვება სამეთვალყურეო საბჭოს (შესწავლილი პერიოდი: 2018-2021 წლები) ან/და საერთო კრების გადაწყვეტილება (შესწავლილი პერიოდი: 2020-2021 წლები).

ყველა ზემოთ დასახელებული გარემოების ერთობლიობისა და ასევე დამატებით იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ სს „გლობალ ბენეფიტს ჯორჯიას“ მხრიდან შპს ,,ჯეო ჰოსპიტალსის“ მიმართ და არც პირიქით არ დგინდება რომელიმე გადაწყვეტილების მიღების მიზნით (2020 და 2021 წლების პერიოდის განმავლობაში) ზეგავლენის მოხდენის ფაქტი, მიუხედავად ზეგავლენის მოხდენის შესაძლებლობის არსებობისა, მოპასუხეები ვერ იქნებიან მიჩნეულნი ერთიან ეკონომიკურ სუბიექტად.

შესაბამისად, დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენების შესაძლო ფაქტის დადგენა სააგენტოს მხრიდან მოხდება მხოლოდ შპს „ჯეო ჰოსპიტალსის“ მიმართ.

4.2 დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენება - ზოგადი მიმოხილვა

შპს „ჯეო ჰოსპიტალსის“ დომინანტური მდგომარეობის შეფასებისას უნდა დადგინდეს, წარმოადგენს თუ არა ის კანონის მე-6 მუხლით დადგენილი აკრძალვების უშუალო სუბიექტს. აღსანიშნავია, რომ კონკურენციის კანონმდებლობა ეკონომიკურ აგენტებს არ უკრძალავს ბაზარზე დომინანტური მდგომარეობის ფლობას. კონკურენციის სამართალი აწესებს აკრძალვებს მხოლოდ დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენების ფაქტებთან მიმართებით, რათა დაცულ იქნეს ჯანსაღი კონკურენტული გარემო, რომელიც, თავის მხრივ, საბოლოო მომხმარებლების კეთილდღეობის უზრუნველყოფის საფუძველს წარმოადგენს.

უშუალოდ კანონის მე-6 მუხლის ანალიზისა და სადავო ქმედებების შეფასებამდე, მოცემულ შემთხვევაში, სააგენტო მიზანშეწონილად მიიჩნევს, ყურადღება გამახვილდეს სამოქალაქო სამართალში დამკვიდრებულ სახელშეკრულებო თავისუფლების პრინციპსა და ე.წ. კონტრაჰირების იძულებაზე. მნიშვნელოვანია, ზუსტად განისაზღვროს, თუ რა ადგილი შეიძლება ჰქონდეს სახელშეკრულებო თავისუფლების კერძოსამართლებრივ პრინციპს დომინანტური მდგომარეობის მქონე ეკონომიკური აგენტის კონკრეტული ქმედებების კანონის მე-6 მუხლთან მიმართებაში შეფასებისას.

ხელშეკრულების დადების თავისუფლება სახელშეკრულებო ურთიერთობის წარმოშობის საფუძველია. ხელშეკრულების თავისუფლების სამართლებრივ საფუძველს

წარმოადგენს სსკ-ის 319-ე მუხლი.[46] კერძოდ, სსკ-ის 319-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, „კერძო სამართლის სუბიექტებს შეუძლიათ, კანონის ფარგლებში თავისუფლად დადონ ხელშეკრულებები და განსაზღვრონ ამ ხელშეკრულებათა შინაარსი.“ აღნიშნული ნორმა ასახავს სამოქალაქო სამართლით აღიარებული ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპს, რომელიც ხელშეკრულების დადების თავისუფლებასთან ერთად მოიცავს ხელშეკრულების შინაარსის განსაზღვრის თავისუფლებას. ეს უკანასკნელი გულისხმობს, რომ მხარეებს შეუძლიათ თავისუფლად განსაზღვრონ ხელშეკრულების შინაარსი.[47] ხელშეკრულების დადების თავისუფლება პირის უმოქმედობასაც მოიცავს - უფლებას არ დადოს ხელშეკრულება. ამიტომ, მას ხელშეკრულების დადების ნეგატიურ თავისუფლებასაც უწოდებენ.[48] ამასთან, სახელშეკრულებო თავისუფლება არ წარმოადგენს აბსოლუტურ სამართლებრივ კატეგორიას[49] და იგი არსებობს დადგენილი წესრიგის ფარგლებში.[50] ხელშეკრულების თავისუფლების შეზღუდვა ვრცელდება არა მხოლოდ სამოქალაქოსამართლებრივ, არამედ მთლიანად კერძოსამართლებრივ ურთიერთობებზე.[51] შეზღუდვა შესაძლოა ვრცელდებოდეს როგორც შინაარსის განსაზღვრის, ასევე კონტრაჰენტის არჩევის თავისუფლებაზე და ა.შ.

კანონმდებელი აღნიშნული თავისუფლების შემზღუდველ ერთ-ერთ გარემოებას სწორედ ეკონომიკური აგენტის დომინანტურ მდგომარეობას უკავშირებს. კერძოდ, დომინანტური მდგომარეობის მქონე ეკონომიკური აგენტის საბაზრო ძალაუფლების გათვალისწინებით, კანონმდებელი კანონის მე-6 მუხლით მას განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას აკისრებს და უკრძალავს გარკვეული სახისა და ფორმის ქმედებების განხორციელებას. აღნიშნული აკრძალვა კი, ბუნებრივია, გარკვეულ ჩარჩოებში აქცევს დომინანტური მდგომარეობის მქონე ეკონომიკური აგენტის სახელშეკრულებო თავისუფლებას. შესაბამისად, კანონის მე-6 მუხლი წარმოადგენს ეკონომიკური აგენტის სახელშეკრულებო თავისუფლების შეზღუდვის ერთ-ერთ თვალსაჩინო გამოვლინებას.

ამასთან, სააგენტო განმარტავს, რომ **კონკურენციის კანონმდებლობის გადმოსახედიდან, შესაბამის ბაზარზე დომინანტური მდგომარეობის ქონა, უპირველეს ყოვლისა, უკავშირდება აღნიშნული ეკონომიკური აგენტის მომეტებულ პასუხისმგებლობას.** სააგენტო იზიარებს დომინანტური მდგომარეობის მქონე ეკონომიკური აგენტის სპეციალურ ვალდებულებებთან მიმართებით ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს მიერ ჩამოყალიბებულ ერთგვაროვან პრაქტიკას, რომლის მიხედვითაც, ეკონომიკურ აგენტს, საკუთარი საბაზრო ძალაუფლებიდან გამომდინარე, შესაბამის ბაზარზე მომეტებული პასუხისმგებლობა

[46] საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატა, გადაწყვეტილება №ას-664-635-2016.
[47] საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №ას-1300-1320-2011.
[48] საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, 17.10.2017, წიგნი III, კარი I, თავი I, მუხლი 319-ე.
[49] *ჯულელი, გ.(რედ),* სახელშეკრულებო სამართალი, გამომცემლობა „მერიდიანი“ თბილისი, 2014, გვ. 56.
[50] საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, 17.10.2017, წიგნი III, კარი I, თავი I, მუხლი 319-ე.
[51] საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, 17.10.2017, წიგნი III, კარი I, თავი I, მუხლი 319-ე.

ეკისრება, რომლის ფარგლებიც, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, განსაკუთრებული გარემოებების გათვალისწინებით უნდა განისაზღვროს.[52] TFEU 102-ე მუხლით განსაზღვრული ვალდებულებიდან გამომდინარეობს, რომ დომინანტური მდგომარეობის მქონე ეკონომიკურ აგენტს ჩამორთმეული აქვს უფლება, განახორციელოს კონკრეტული ხასიათის ქმედებები, რომლებიც შესაძლოა, დასაშვები იყოს იმ შემთხვევაში, თუ იგი განხორციელდებოდა დომინანტური მდგომარეობის არმქონე ეკონომიკური აგენტის მიერ.[53] კონკრეტული ეკონომიკური აგენტის მიმართ დომინანტური მდგომარეობის ფაქტის დადგენა თავისთავად არ წარმოდგენს კონკურენციის კანონმდებლობის დარღვევას, მაგრამ ნიშნავს იმას, რომ აღნიშნულ ეკონომიკურ აგენტს აკისრია სპეციალური ვალდებულება, არ განახორციელოს ისეთი ქმედება, რომელიც შესაბამის ბაზარზე საფრთხეს შეუქმნის ჯანსაღ კონკურენტულ გარემოს.[54] ამასთან, დომინანტური მდგომარეობა არ ართმევს ეკონომიკურ აგენტს უფლებას, დაიცვას საკუთარი კომერციული ინტერესები, თუმცა აღნიშნული ქმედებები დაუშვებელი და აკრძალულია, **თუ მათ ძირითად მიზანს ან შედეგს წარმოადგენს დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენება.[55]** დომინანტური მდგომარეობის მქონე ეკონომიკურ აგენტს ეკრძალება მიიღოს ისეთი ზომები, რომელიც ზღუდავს კონკურენტების სამეწარმეო საქმიანობას და აფერხებს ჯანსაღი კონკურენტული გარემოს მდგრად განვითარებას.[56] სწორედ ამიტომ, კანონმდებელი კერძოსამართლებრივ ურთიერთობებში დომინანტური მდგომარეობის მქონე ეკონომიკური აგენტის მოქმედების თავისუფლებისთვის კანონის მე-6 მუხლში მოცემული დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენების აკრძალვის გზით აწესებს აღნიშნული თავისუფლების ლიმიტს.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო განმარტავს, რომ სამოქალაქო სამართალში არსებული სახელშეკრულებო თავისუფლების პრინციპი არ არის აბსოლუტური და აღნიშნული თავისუფლების ერთ-ერთ ზღვარს წარმოადგენს კანონის მე-6 მუხლი, რომელიც დომინანტური მდგომარეობის მქონე ეკონომიკური აგენტებისთვის აწესებს კონკრეტულ აკრძალვებს. ამდენად, ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპი არ წარმოადგენს დომინანტური მდგომარეობის მქონე ეკონომიკური აგენტის მხრიდან მიწოდებაზე უარის გამამართლებელ საფუძველს, ვინაიდან **დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენება არის სწორედ ის ზღვარი, რომელზეც გადის მსგავსი საბაზრო ძალაუფლების მქონე ეკონომიკური აგენტების სახელშეკრულებო თავისუფლების ფარგლები. შესაბამისად, სააგენტო განმარტავს, რომ დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენების**

---

[52] ECLI:EU:C:1983:313, Case 322/81, *"Michelin"*, § 57; ECLI:EU:T:1994:246, Case T-83/91; *"Tetra Pak International SA"*, §57; ECLI:EU:T:1994:246, Case T-83/91 *„Tetra Pak II"*, §114; ECLI:EU:T:1998:183, Case T-111/96, *„ITT Promedia"*, §139, ECLI:EU:T:1999:246, Case T-228/97, *„Irish Sugar"*, §112. ECLI:EU:T:2003:250, Case T-203/01, *„Michelin"*, § 97

[53]ECLI:EU:T:1998:183, Case T-111/96, *„ITT Promedia"*, §139; Case 322/81 Michelin v Commission [1983] ECR 3461, paragraph 57.

[54] ECLI:EU:C:1983:313, Case 322/81, "*Michelin"*, §57

[55] ECLI:EU:T:1999:246, Case T-228/97, *„Irish Sugar,"*§112

[56] *Frédéric, M.,* Politiques européennes de concurrence et économie sociale de marché, Document de travail OFCE, n° 2010-30, novembre 2010 გვ.12, ხელმისაწვდომია: https://www.ofce.sciences-po.fr/pdf/dtravail/WP2010-30.pdf

შეფასებისას ხელშეკრულების დადების თავისუფლების პრინციპზე დაყრდნობა მოითხოვს განსაკუთრებით გონივრულ დასაბუთებასა და გამართლებას.

მიმდინარე მოკვლევის ფარგლებში, შპს „ჯეო ჰოსპიტალსის“ სადავო ქმედებებს სააგენტო აფასებს კანონის მე-6 მუხლის მეორე პუნქტში მოცემულ ქმედებებთან მიმართებაში. ამდენად, აუცილებელია განისაზღვროს, თუ რამდენად ემთხვევა შესაფასებელი სადავო ქმედებები კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტში მოცემულ ქმედებათა რომელიმე შემადგენლობას.

სააგენტო განმარტავს, რომ კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტში მოცემულ ქმედებათა შემადგენლობის განმარტება და მათი ზუსტი შინაარსის განსაზღვრა უნდა მოხდეს საქართველოს კონკურენციის კანონმდებლობის ამოცანების, დასახელებული ნორმის მიზნებისა და ამ ნორმით დაცული სამართლებრივი სიკეთეების გათვალისწინებით. ამდენად, აუცილებელია ზუსტად განისაზღვროს ერთი მხრივ, მთლიანად კანონითა და მეორე მხრივ, კანონის მე-6 მუხლით დაცული სამართლებრივი სიკეთეები.

დასახელებული ნორმის განმარტებისა და შესაბამისი სამართლებრივი სიკეთეების იდენტიფიცირების პროცესში სააგენტო, უპირველეს ყოვლისა, ხელმძღვანელობს მეწარმეობის თავისუფლებასა და კონკურენციასთან დაკავშირებით საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ განვითარებული მნიშვნელოვანი პრაქტიკით. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით „მეწარმეობის თავისუფლება წარმოადგენს სამოქალაქო ბრუნვის თავისუფლების მნიშვნელოვან გამოვლინებას, ეკონომიკური მართლწესრიგის, ჯანსაღი და სიცოცხლისუნარიანი საბაზრო ურთიერთობების საფუძველს. აღნიშნული ვალდებულებით სახელმწიფო მხარს უჭერს თავისუფალი ეკონომიკის პრინციპს, რომელშიც არა მარტო მეწარმეობის ასპარეზია თავისუფალი ნებისმიერი ქმედუნარიანი სუბიექტისათვის, არამედ თავად მეწარმეობაა თავისუფალი. მხოლოდ თავისუფალი მეწარმეობის დროსაა შესაძლებელი, მეწარმე სუბიექტი გახდეს კომერციული ურთიერთობების სრულფასოვანი თანამონაწილე და შეძლოს თავისი საქმიანი უნარ-ჩვევების სრულყოფილი გამოვლინება.“ თავისუფალი მეწარმეობის დაცვა და კონკურენციის განვითარება უზრუნველყოფს ბაზარზე სიცოცხლისუნარიანი ეკონომიკური აგენტების საქმიანობას, რაც თავისუფალი ბაზრის ჩამოყალიბების არსებითი წინაპირობაა. აღნიშნულის მისაღწევად სახელმწიფო ვალდებულია, შექმნას სათანადო საკანონმდებლო მოწესრიგება.[57] საკონსტიტუციო სასამართლო მიუთითებს, რომ მეწარმეობისადმი სახელმწიფოს მხარდაჭერა არ გულისხმობს მხოლოდ ინსტიტუციურად ამ საქმიანობის თავისუფლების ნორმატიულ აღიარებას. სახელმწიფო ვალდებულია შექმნას ისეთი ნორმატიული გარემო, რომელიც წაახალისებს და ბაზრიდან არ განდევნის სიცოცხლისუნარიან სუბიექტებს.[58]

---

[57] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 14 დეკემბრის N2/11/747 გადაწყვეტილება გვ. 6, § 1 და შემდგომი.

[58] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 19 დეკემბრის N1/2/411 გადაწყვეტილება, გვ.11-12, § 2-3.

სააგენტო განმარტავს, რომ სახელმწიფოს სწორედ აღნიშნული ვალდებულების შესრულება წარმოადგენს კანონის ერთ-ერთ (მაგრამ არა ერთადერთ) მიზანს.[59] კანონი ადგენს თავისუფალი და სამართლიანი კონკურენციის არამართლზომიერი შეზღუდვისაგან დაცვის პრინციპებს, რაც თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენტუნარიანი ბაზრის განვითარების საფუძველია (კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტი). მის ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენს თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის ხელშეწყობა, ეკონომიკური აგენტების ბაზარზე დაშვებისათვის სათანადო პირობების უზრუნველყოფა და ა.შ. გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს ასევე ის ფაქტი, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, თავისუფალი კონკურენცია ორგანულადაა დაკავშირებული მეწარმეობის თავისუფლებასთან.[60]

ჯანსაღი და თავისუფალი კონკურენციის ერთ-ერთ გამოხატულებას წარმოადგენს ეკონომიკური აგენტების მიერ საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული სამეწარმეო საქმიანობის კონკურენტულ გარემოში თავისუფლად და დამოუკიდებლად განხორციელების შესაძლებლობა. სამეწარმეო საქმიანობის თავისუფლებისა და ჯანსაღი კონკურენტული გარემოს ერთ-ერთ ელემენტსა და გამოხატულებას კი ნედლეულისა და გასაღების ბაზრებზე თავისუფალი წვდომისა და დაშვების შესაძლებლობა წარმოადგენს.

სწორედ ნედლეულისა და გასაღების ბაზრებზე თავისუფალი დაშვების შესაძლებლობა, როგორც ჯანსაღი კონკურენტული გარემოს განმაპირობებელი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი, წარმოადგენს კანონის მე-6 მუხლით დაცულ ერთ-ერთ მნიშვნელოვან სამართლებრივ სიკეთეს იმდენად, რამდენადაც იგი იცავს ბაზარს დომინანტური მდგომარეობის მქონე ეკონომიკური აგენტის მიერ ბაზრის ცალმხრივი შეზღუდვისაგან. მსგავსი ეფექტისა თუ შედეგის მქონე ცალმხრივი ქმედება კი შესაძლოა გამოიხატებოდეს ბაზარზე შესვლის ბარიერებისა და დისკრიმინაციული პირობების დაწესებაში, რაც უდავოდ ზღუდავს კონკრეტული სუბიექტების სამეწარმეო საქმიანობის თავისუფლებას და საფრთხეს უქმნის ჯანსაღ კონკურენტულ გარემოს. შესაბამისად, თუ დომინანატური მდგომარეობის ბოროტად გამოყენებით ხდება შესაბამის ბაზარზე თავისუფალი დაშვების შესაძლებლობის რაიმე ფორმით შეზღუდვა ან დისკრიმინაციული პირობების დაწესება, იგი უდავოდ უნდა შეფასდეს კანონის მე-6 მუხლთან მიმართებაში.

უნდა აღინიშნოს ასევე ის გარემოება, რომ კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტში მოცემული ქმედების შემადგენლობათა ჩამონათვალი სრულ თანხვედრაშია ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების (შემდგომში - „TFEU“) 102-ე მუხლში მოცემულ

[59] სააგენტოს თავმჯდომარის 7 აგვისტოს N04/216 ბრძანებით დამტკიცებული გადაწყვეტილება „სს „სადაზღვევო კომპანია უნისონის“ საჩივრის საფუძველზე განხორციელებული საქმის მოკვლევის თაობაზე. გვ. 27-28.
[60] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 19 დეკემბრის N1/2/411 გადაწყვეტილება, გვ. 12, § 5.

აკრძალულ ქმედებათა ნუსხასთან. ამდენად, კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტში მოცემული ქმედებათა აკრძალული შემადგენლობების განმარტებისას, ქართული კანონმდებლობისა და პრაქტიკის გათვალისწინებით, სააგენტო ხელმძღვანელობს TFEU 102-ე მუხლთან მიმართებაში ევროკავშირის შესაბამისი ორგანოების მიერ ჩამოყალიბებული პრაქტიკით.

საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ არც კანონის მე-6 და არც TFEU 102-ე მუხლი პირდაპირ მითითებას არ შეიცავს ბაზარზე შესვლის ბარიერების დაწესებასთან დაკავშირებით. თუმცა, დასახელებული ნორმები შეიცავენ პირდაპირ მითითებას ბაზრის შეზღუდვის აკრძალვასთან დაკავშირებით. კერძოდ, კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ და TFEU 102-ე მუხლის მე-2 პუნქტის “b” ქვეპუნქტების მიხედვით, აკრძალულია „ბაზრების მომხმარებელთა ინტერესების საზიანოდ შეზღუდვა.“

4.3 მიწოდებაზე უარი

სააგენტო განმარტავს, რომ დომინანტური მდგომარეობის მქონე ეკონომიკური აგენტის მიერ ბაზრის შეზღუდვა შესაძლოა განხორციელდეს სხვადასხვა ქმედებებისა თუ მეთოდების საშუალებით. ბაზრის შეზღუდვის ერთ-ერთ საშუალებას წარმოადგენს დომინანტური მდგომარეობის მქონე ეკონომიკური აგენტის მიერ სხვა ეკონომიკურ აგენტებთან სახელშეკრულებო ურთიერთობაში შესვლაზე უარის თქმა - „Refusal to Deal“ / „Geschäftsverweigerung“. სახელშეკრულებო ურთიერთობაში შესვლაზე უარის თქმა შეიძლება სხვადასხვა ფორმით იყოს გამოხატული. კერძოდ, მსგავს შემთხვევას შესაძლოა ადგილი ჰქონდეს გარიგების დადებაზე უარის თქმის, წინასახელშეკრულებო ურთიერთობის არაგონივრული ვადით გაჭიანურების („Delaying Tactics“ / „Verzögerungstaktik“), უკვე არსებული სახელშეკრულებო ურთიერთობის შეწყვეტის („Geschäftsabbruch“) და სხვა შემთხვევებში.

სახელშეკრულებო ურთიერთობაში შესვლაზე უარის თქმის ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს ე.წ. „მიწოდებაზე უარი“ (Refusal to Supply / Lieferverweigerung), რომელიც ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს ერთგვაროვანი პრაქტიკის მიხედვით, ექცევა TFEU 102-ე მუხლის “b” ან/და “c” ქვეპუნქტებში, ვინაიდან მსგავსი შინაარსის ქმედება მომხმარებელთა საზიანოდ ზღუდავს ბაზრებს.[61] იგი შესაძლოა შეიცავდეს დისკრიმინაციული მიდგომის ნიშნებსაც, რამაც, საბოლოო ჯამში, შესაძლოა მოახდინოს სავაჭრო პარტნიორის შესაბამისი ბაზრიდან გამორიცხვა.[62] მიწოდებაზე უარის ქვეშ შეიძლება გაერთიანდეს ისეთი სახის ქმედებები, როგორიცაა მაგალითად: არსებული ან ახალი მომხმარებლებისათვის

[61] ECLI:EU:C:1978:22, Case 27/76, „*United Brands*“, § 183.
[62] ECLI:EU:T:2007:289, Case T-201/04, „*Microsoft Corp*“, §§ 632, 647, 664, 648, 709; ECLI:EU:C:1978:22, Case 27/76, „*United Brands*“, § 183.

პროდუქციის მიწოდებაზე უარი,[63] ინტელექტუალური საკუთრების უფლების ლიცენზიაზე უარი,[64] ქსელზე დაშვებაზე უარი[65] და ა.შ.

მიწოდებაზე უარის გზით დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენებას ხშირ შემთხვევაში ადგილი აქვს დომინანტური მდგომარეობის მქონე მიმწოდებელსა და მის მომხმარებელს შორის არსებულ ვერტიკალურ ურთიერთობებში. თუმცა, მიწოდებაზე უარს შესაძლებელია ასევე ადგილი ჰქონდეს ჰორიზონტალურ ურთიერთობებშიც.

მოცემულ შემთხვევაში, სახეზეა მოთხოვნისა და მიწოდების ჯაჭვის ორ სხვადასხვა დონეზე მოქმედ ეკონომიკურ აგენტებს - შპს ,,ჯეო ჰოსპიტალსსა“ და მომჩივანს შორის ურთიერთობა.

ევროკომისიის პრაქტიკაზე დაყრდნობით, სააგენტო განმარტავს, რომ ნებისმიერ ეკონომიკურ აგენტს, დომინანტია იგი თუ არა, აქვს სავაჭრო პარტნიორის არჩევის თავისუფლება.[66] აღნიშნული თავისუფლების ნებისმიერი შეზღუდვა, რომელიც კონკურენციის სამართლის ნორმებიდან მომდინარეობს, მოითხოვს ფაქტობრივი გარემოებებისა და ეკონომიკური კონტექსტის ფრთხილ და სიღრმისეულ ანალიზს, რადგან, ასეთ შემთხვევებში, დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენების ამკრძალავი ნორმების გამოყენება იწვევს დომინანტი ეკონომიკური აგენტისათვის კონკრეტული ქმედების განხორციელების (მიწოდების) პირდაპირი თუ ირიბი ვალდებულების დაკისრებას. აქედან გამომდინარე, მიმდინარე მოკვლევის ფარგლებში მნიშვნელოვანია ზუსტად განისაზღვროს ის წინაპირობები, რომელთა არსებობის შემთხვევაშიც, მიწოდებაზე უარის გზით დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენებასა და კანონის მე-6 მუხლის დარღვევას აქვს ადგილი.

შესაბამისად, ევროკავშირის პრაქტიკაზე დაყრდნობით, სააგენტომ მოახდინა ძირითადი საშუალების მიწოდებაზე უარის, როგორც დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენების კვალიფიკაციისათვის აუცილებელი წინაპირობების გამოკვეთა და მათი სიღრმისეული ანალიზი. კერძოდ, **სააგენტო განმარტავს, რომ მიწოდებაზე უარის დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენებად მიჩნევისათვის აუცილებელია დაკმაყოფილებული იყოს შემდეგი წინაპირობები: ა) აუცილებელი საქონელი/მომსახურება; ბ) მიწოდებაზე უარი ვიწრო გაგებით; გ) ზიანი; დ) ობიექტური გამართლების შეუძლებლობა.**[67]

---

[63] ECLI:EU:C:1974:18, Joined Cases 6/73, 7/73 *"Commercial Solvents".*

[64] ECLI:EU:C:1995:98, Joined Cases C-241/91 P, C-242/91 P, *"Radio Telefis Eireann;"* ECLI:EU:C:2004:257, Case C-418/01, *"IMS Health".*

[65] 94/19/EC, Case IV/34.689, *"Sea Containers"*; 92/213/EEC, Case IV/33.544, *"British Midland".*

[66] ECLI:EU:C:2004:257, Case C-418/0, "IMS Health" Opinion of AG Tizzano § 62.

[67] სააგენტოს ანალოგიური პრაქტიკა აქვს დადგენილი 2020 წლის 19 თებერვლის გადაწყვეტილებით, შპს ,,ჯევერს დეველოპმენტის“ საჩივრის საფუძველზე განხორციელებული მოკვლევის თაობაზე.

სააგენტო ადგენს, რომ აღნიშნული წინაპირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში, დომინანტური მდგომარეობის მქონე ეკონომიკური აგენტის კონკრეტული ქმედება წარმოადგენს მიწოდებაზე უარის გზით ბაზრის შეზღუდვას, არღვევს კანონის მე-6 მუხლით დადგენილ აკრძალვებს და ეწინააღმდეგება საქართველოს კონკურენციის კანონმდებლობას.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო განმარტავს, რომ ზემოთ მოცემული ტესტის გამოყენება რელევანტურია მხოლოდ იმ შემთხვევებში, როდესაც ეკონომიკურ აგენტს შესაბამის ბაზარზე დომინანტური მდგომარეობა გააჩნია. უპირველეს ყოვლისა აუცილებლად აღსანიშნავია, რომ როგორც წესი მიწოდებაზე უარის დასადგენად ერთ-ერთი უმთავრესი წინაპირობა - **ზედა დონის ბაზარზე** ეკონომიკური აგენტის მიერ დომინანტური მდგომარეობის ფლობაა.[68] აგრეთვე, იმის განსაზღვრა, ზღუდავს თუ არა მიწოდებაზე ან დაშვებაზე უარი კონკურენციას **ქვედა დონის ბაზარზე**.[69] აღნიშნული დადასტურებულია ევროკომისიის პრაქტიკით. მაგალითად, მიწოდებაზე უარის დასადგენად ერთ-ერთი აუცილებელი წინაპირობაა, რომ არსებობდეს ზედა დონის ბაზარზე მოქმედი ეკონომიკური აგენტის უარი იმ პროდუქტის მიწოდებაზე, რომელიც აუცილებელია ქვედა დონის ბაზარზე მიმოქცევაში მყოფი პროდუქტის საწარმოებლად.[70] ამასთან, ზედა დონის ბაზარზე მყოფი პირი შესაძლოა ფლობდეს ქვედა დონის ბაზარზე ფუნქციონირებისთვის აუცილებელ ინფრასტრუქტურას და დაშვებაზე უარს ეუბნებოდეს ქვედა დონის ბაზრის მონაწილეებს.[71]

იმის გათვალისწინებით, რომ შესაბამისი ბაზრების გეოგრაფიულ საზღვრებად, სააგენტომ ქ. მარნეულისა და ქ. გარდაბნის ტერიტორიები დაადგინა, შპს ,,ჯეო ჰოსპიტალსის“ დომინანტური მდგომარეობაც აღნიშნული ბაზრების მიხედვით ცალ-ცალკე შეფასდება. კერძოდ:

1. ქ. მარნეული - აღნიშნულ ტერიტორიაზე, ამბულატორიული მომსახურების ე.ი. ზედა დონის ბაზარზე, 2020 წელს შპს ,,ჯეო ჰოსპიტალსი“ არ წარმოადგენდა დომინანტ ეკონომიკურ აგენტს არც პაციენტთა რაოდენობის და არც ფინანსური ბრუნვების მიხედვით, რადგანაც ორივე შემთხვევაში შპს ,,ჯეო ჰოსპიტალსის“ საბაზრო წილი ჩამოუვარდება კანონით დადგენილ 40 %-იან ზღვარს. შესაბამისად, შპს ,,ჯეო ჰოსპიტალსის“ მხრიდან 2020 წლის 30 დეკემბერს ელექტრონული მიმოწერის ფარგლებში განხორციელებული და მასთან დაკავშირებული ნებისმიერი ქმედება, ისევე როგორც ტენდერის ფარგლებში განხორციელებული ნებისმიერი ქმედება ვერ იქნება შეფასებული

---

[68] *ჯაფარიძე, ლ., და სხვ.* საქართველოს კონკურენციის სამართალი, თბილისი, 2019, გვ. 443; აგრეთვე: In a number of cases the European Court of Justice has decided that where a dominant firm refuses to supply an existing customer that may be a competitor **in a downstream market**, resulting in that customer being eliminated from the market, the refusal to supply will amount to an abuse of a dominant position if there is no objective justification - იხ., Competition Authority Guidance Note – Refusal to Supply, December 2005, pg. 8.

[69] საქართველოს კონკურენციის სამართალი, თბილისი, 2019, გვ. 443.

[70] საქმე 6/73, ***Commercial Solvents vs. Commission***.

[71] საქმე IV/34.689, ***Sea Continental Ltd/Stena Sealink***.

დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენებად, მიწოდებაზე უარის კონტექსტში. თუმცა სააგენტო დამატებით აღნიშნავს, რომ დომინანტური მდგომარეობის დადგენის შემთხვევაშიც, ცალკე შეფასების საგანი იქნებოდა მიწოდებაზე უარის საკანონმდებლო შემადგენლობის განხორციელების საკითხი.

2. ქ. გარდაბანი - აღნიშნულ ტერიტორიაზე, ამბულატორიული მომსახურების ე.ი. ზედა დონის ბაზარზე, 2020 წელს შპს ,,ჯეო ჰოსპიტალსი" წარმოადგენდა დომინანტ ეკონომიკურ აგენტს, როგორც პაციენტთა რაოდენობის, ასევე ფინანსური ბრუნვების მიხედვით, რადგანაც ორივე შემთხვევაში შპს ,,ჯეო ჰოსპიტალსის" საბაზრო წილი აღემატებოდა კანონით დადგენილ 40 %-იან ზღვარს. მიუხედავად აღნიშნულისა, ქ. გარდაბნის ნაწილში, საქმეში არსებული მტკიცებულებების საფუძველზე, მიწოდებაზე უარის ფაქტი არ დგინდება.

კერძოდ, მომჩივანმა სააგენტოში წერილობით მიუთითა იმ გარემოებაზე, რომ თავდაპირველად მასსა და შპს ,,ჯეო ჰოსპიტალსს" შორის შედგა ზეპირი კომუნიკაცია, რომლის ფარგლებშიც ქ. მარნეულსა და ქ. გარდაბანში შაბათ დღეს ოჯახის ექიმის მომსახურების დამატების თაობაზე ზეპირსიტყვიერი თანხმობა მიიღო. თუმცა 2020 წლის 30 დეკემბრის ელექტრონული მიმოწერით დგინდება, რომ მომჩივანის მიერ შპს ,,ჯეო ჰოსპიტალსისთვის" შეთავაზებულ იქნა შაბათ დღეს ოჯახის ექიმის მომსახურების დამატება მხოლოდ ქ. მარნეულში. ამასთან, ახსნა-განმარტებით სხდომაზე, მომჩივანმა ვერ დაადასტურა, თუ რა გარემოებამ/გარემოებებმა განაპირობა მის მიერ შეთავაზებულ ხელშეკრულების ტექსტში მხოლოდ ქ. მარნეულის ჩამატება იმის გათვალისწინებით, რომ მისივე მითითებით ზეპირსიტყვიერად ქ. გარდაბანზეც არსებობდა მხარეთა შორის შეთანხმება.

მიუხედავად აღნიშნულისა, მოკვლევის პროცესში გამოიკვეთა ის გარემოება, რომ შპს ,,ჯეო ჰოსპიტალსი" გამოთქვამს მზაობას, განიხილოს მომჩივანის მხრიდან პოტენციური შეთავაზება ხელშეკრულებაში ოჯახის ექიმის მომსახურების შაბათ დღეს დამატებასთან დაკავშირებით.[72] სააგენტო ითვალისწინებს მოცემულ გარემოებას და წინამდებარე გადაწყვეტილების ფარგლებში მიიღებს სამართლებრივ ზომას ,,კონკურენციის შესახებ" საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის ,,ზ" ქვეპუნქტის შესაბამისად, რომლის საფუძველზეც სააგენტო უფლებამოსილია, ეკონომიკურ აგენტს მოსთხოვოს განხორციელებული ქმედების ამ კანონთან შესაბამისობის უზრუნველყოფა. კერძოდ, საქმის მოკვლევის პროცესში, საკონსულტაციო შეხვედრაზე შპს ,,ჯეო ჰოსპიტალსის" საოპერაციო სამსახურის უფროსისგან მიღებული ინფორმაციის შედეგად დადგინდა, რომ ქ. მარნეულში ოჯახის ექიმის მომსახურების დამატება შაბათ დღეს ვერ მოხერხდა ფორსმაჟორულ გარემოებებში გადაწყვეტილების მიღების გართულების გამო, უპირველეს ყოვლისა იმის

[72] შპს ,,ჯეო ჰოსპიტალსის" წერილი (რეგ: № 01/493; თარიღი: 17.03.2022).

გათვალისწინებით, რომ მომჩივანს იმავე დღეს ესაჭიროებოდა აღნიშნული პირობის შეთანხმება (ეს უკანასკნელი გარემოება, დადასტურებულია მომჩივანის წარმომადგენლების მიერაც, მათთან გამართულ ახსნა-განმარტებით სხდომაზე). შესაბამისად, სააგენტოს პოზიციით, აუცილებელია, რომ მომჩივანს, ისევე როგორც ნებისმიერ სხვა დაინტერესებულ სადაზღვევო კომპანიას მიეცეს შესაძლებლობა, მისი შეთავაზება ნებისმიერი მომსახურების ხელშეკრულებაში დამატებასთან დაკავშირებით, გონივრული ფორმითა და ვადით იქნეს განხილული შპს ,,ჯეო ჰოსპიტალსის" მიერ, ხოლო უარყოფითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, არსებობდეს საამისოდ აუცილებელი ობიექტური გამამართლებელი გარემოებები.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტოს შეფასებით, ქ. მარნეულის ტერიტორიაზე შპს ,,ჯეო ჰოსპიტალსი" 2020 წელს ე.ი. ქმედების/ქმედებათა განხორციელების დროს არ წარმოადგენდა დომინანტ ეკონომიკურ აგენტს, ხოლო ქ. გარდაბანთან მიმართებით არ დგინდება ფაქტობრივი მოცემულობა - მიწოდებაზე უარი.

4.4 ექსკლუზიური გარიგება

მომჩივანი თავის საჩივარში აგრეთვე უთითებს შპს ,,ჯეო ჰოსპიტალსის" მხრიდან კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაძლო დარღვევის თაობაზე. აღნიშნული ნორმის ანალოგს TFEU 102-ე მუხლის "a" ქვეპუნქტი წარმოადგენს, რომელიც კრძალავს შესყიდვის ან გაყიდვის არასამართლიანი ფასის ან სხვა არასამართლიანი სავაჭრო პირობების პირდაპირ ან არაპირდაპირ დადგენას.

ექსკლუზიური ხასიათის გარიგებები ძირითადად წარმოადგენს ვერტიკალური ხასიათის შეთანხმებებს, კერძოდ, იდება ორი დონის ბაზარზე მოქმედ სუბიექტებს შორის – მიმწოდებელს (რომელიც წარმოდგენილია ზედა დონის ბაზარზე) და მომხმარებელს (რომელიც წარმოდგენილია ქვედა დონის ბაზარზე) შორის. ექსკლუზიური გარიგება შეიძლება იყოს როგორც ზეპირი, ასევე, წერილობითი ფორმის.[73] გარიგების ექსკლუზიური ხასიათი შესაძლოა გამოხატულ იყოს როგორც პროდუქციის ექსკლუზიურ შეძენაში, ასევე ექსკლუზიურ მიწოდებაში.[74]

კონკურენციის სამართლის თვალსაზრისით, ექსკლუზიური ხასიათის შეთანხმება შეიძლება კანონსაწინააღმდეგო/ბათილი იყოს, თუ ეკონომიკურ აგენტს შესაბამის ბაზარზე დომინანტური მდგომარეობა უკავია და აღნიშნული შეთანხმება კონკურენციას ზღუდავს. იმისათვის, რომ დადგინდეს ექსკლუზიური ხელშეკრულება ეწინააღმდეგება თუ არა

[73] ტიგრანიანი, ჰასმიკ და ქურთაული, სოფიო, ,,დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების აკრძალვა: საქართველოს, სომხეთის და ევროკავშირის კონკურენციის კანონმდებლობების შედარებითი ანალიზი", გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ), 2018, N5 (2018), გვ. 83.
[74] *Whish, R; Bailey, D,* Competition Law, 10th ed., Oxford University Press, 2021, გვ. 723.

კონკურენციის სამართალს, უნდა გაანალიზდეს კონკრეტული ხელშეკრულების დებულებები, ეკონომიკური აგენტების საბაზრო წილი ან/და საბაზრო ძალაუფლება, შეთანხმების გავლენა შესაბამის ბაზარზე და ა.შ.[75]

ევროსასამართლოს პრაქტიკაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საქმეა *Hoffman la Roche v Commission*,[76] რომელშიც სასამართლომ განმარტა, რომ ექსკლუზიური გარიგებები წარმოადგენდა კონკურენციის თავისთავად (Per Se) დარღვევას და მათი კონკურენციის შემზღუდველი ეფექტის შეფასება აღარ იყო საჭირო, თუმცა, აღნიშნული მიდგომა არ არის ცალსახა. მაგალითად, საქმეში *Intel v Commission,* რომელიც შეეხებოდა ფასდათმობებს ექსკლუზიურობის პირობით, სასამართლომ მიიჩნია, რომ გარიგება არ გამოიწვევდა TFEU-ს 102-ე მუხლის დარღვევას, თუ დომინანტ ეკონომიკურ აგენტს ექნებოდა ობიექტური გამართლება ან ეს ქმედება იწვევდა ეკონომიკური ეფექტიანობის ზრდას.[77]

სასამართლომ ასევე გააკეთა მნიშვნელოვანი განმარტება იმასთან დაკავშირებით, რომ ქმედების მე-6 მუხლის ქვეშ კვალიფიკაციისთვის, არ აქვს მნიშვნელობა, ვინ იყო ექსკლუზიურობის შესახებ შეთანხმების ინიციატორი. თუნდაც შემბოჭავი პირობა შემსყიდველის მოთხოვნით ჩადებულიყო, ეს მაინც დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენება იქნებოდა, რადგან არსებითი ფაქტორი იყო ამ გარიგებით ბაზრის ჰორიზონტალური შეზღუდვის ფაქტი.[78]

საქმეში არსებულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით დგინდება, რომ შპს ,,ჯეო ჰოსპიტალსსა“ და სს ,,გლობალ ბენეფიტს ჯორჯიას“ შორის 2020 წელს არსებული კორესპონდენციის ფარგლებში, 02/12/2021 წერილში მითითებულია შემდეგი შინაარსის მქონე ტექსტი: *„2020 წლის განმავლობაში და 2021 წელს მოქმედი ხელშეკრულების ფარგლებში, მხოლოდ სს „გლობალ ბენეფიტს ჯორჯიას“ დაზღვეულები სარგებლობენ/ისარგებლებენ ექსკლუზიურად ოჯახის ექიმის მომსახურებით შპს „ჯეო ჰოსპიტალსის“ - მარნეულის სამშობიარო და ამბულატორიულ ცენტრში, ასევე, გარდაბნის მრავალპროფილურ ცენტრში, შაბათ დღეს 10 სთ-დან 17 სთ-მდე.“* აღნიშნულ გარემოებასთან დაკავშირებით, შპს ,,ჯეო ჰოსპიტალსის“ წარმომადგენელმა სააგენტოში გამართულ ახსნა-განმარტებით სხდომაზე შემდეგი სახის ინფორმაცია წარმოადგინა:

- 2020 წელთან მიმართებით - მხოლოდ სს „გლობალ ბენეფიტს ჯორჯიას“ დაზღვეულები სარგებლობდნენ ფაქტობრივად ოჯახის ექიმის მომსახურებით შაბათ დღეს, რაც მოცემული წლის მიმდინარე მდგომარეობა იყო.

---

[75] სააგენტოს 2016 წლის 28 მარტის გადაწყვეტილება შპს ,,დუთი ფრი ჯორჯიას“ საჩივრის საფუძველზე განხორციელებული მოკვლევის თაობაზე.
[76] Case C-85/76, Hoffmann-La Roche & Co. AG v Commission [1979].
[77] Case C-413/14 P, Intel Corp. v European Commission [2017].
[78] Case 85/76, Hoffmann-La Roche & Co. AG v Commission, [1979].

- 2021 წელთან მიმართებით - მხარეები აპირებდნენ ექსკლუზიური შეთანხმების გაფორმებას, თუმცა აღნიშნული ხელშეკრულება მათ შორის დღემდე არ არის დადებული და მეტიც, ეს საკითხი დღის წესრიგიდანაც მოხსნილია.

ანალოგიურად, ექსკლუზივის შესაძლო შეთანხმების ფაქტი უარყვეს სს ,,გლობალ ბენეფიტს ჯორჯიას“ წარმომადგენლებმაც, როგორც მათთან გამართულ ახსნა-განმარტებით სხდომაზე, აგრეთვე, წერილობით.

გარდა იმისა, რომ შპს ,,ჯეო ჰოსპიტალსს“ და სს ,,გლობალ ბენეფიტს ჯორჯიას“ შორის, 2020 წლის კორესპონდენციიდან გამომდინარე, არ დგინდება წერილობითი თუ ზეპირი ექსკლუზიური შეთანხმების დადების ფაქტი, სააგენტო დამატებით აღნიშნავს, რომ მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულებებიდან (2017 წლის 01 აგვისტოდან დღემდე) არც ერთი მათგანი არ წარმოადგენს ექსკლუზიური ხასიათის შეთანხმებას, მათ შორის, არც 2018 წლის 15 ივნისის ცვლილება (ქ. მარნეულში, შაბათ დღეს ოჯახის ექიმის მომსახურების დამატების თაობაზე) და არც 2019 წლის 01 იანვრის ცვლილება (ქ. გარდაბანში, შაბათ დღეს ოჯახის ექიმის მომსახურების დამატების თაობაზე).

ამასთან, საქმეში არსებული მასალებით დგინდება, რომ სს ,,ირაოს“ ბენეფიციარები მოკვლევის პერიოდის განმავლობაში როგორც ქ. მარნეულში, ასევე ქ. გარდაბანში ოჯახის ექიმის მომსახურებით სარგებლობდნენ შაბათ დღეს. აღნიშნული გარემოება დადასტურებულია, როგორც სს ,,ირაოს“ წარმომადგენლებთან გამართულ საკონსულტაციო შეხვედრაზე, ასევე წერილობით. შესაბამისად, მართალია შპს ,,ჯეო ჰოსპიტალსსა“ და სს ,,ირაოს“ შორის აღნიშნულთან დაკავშირებით არ არსებობს წერილობითი შეთანხმება, თუმცა მოცემული ფაქტობრივი გარემოება, კიდევ ერთხელ გამორიცხავს შპს ,,ჯეო ჰოსპიტალსსა“ და სს ,,გლობალ ბენეფიტს ჯორჯიას“ შორის რაიმე სახის ექსკლუზიური შეთახმების არსებობას, შაბათ დღეს ოჯახის ექიმის მომსახურების ნაწილში.

2020 წლის 01 დეკემბრის სს ,,გლობალ ბენეფიტს ჯორჯიას“ წერილით დგინდება, რომ მხარეთა შორის ექსკლუზიურ შეთანხმებას უნდა მოეცვა როგორც პროვაიდერული მომსახურების, აგრეთვე ოჯახის ექიმების მომსახურების შესყიდვა. შესაბამისად, ერთი მხრივ, აღნიშნული გარემოება ვერ იქნება განხილული *Post Factum* და, მით უფრო, ვერ იქნება შეფასებული კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის კონტექსტში. მეორე მხრივ, იმისათვის, რომ სააგენტოს მსჯელობას გააჩნდეს პრევენციული მიზანი, უპირველეს ყოვლისა აუცილებელია დგინდებოდეს სამომავლო შესაძლო ექსკლუზიური შეთანხმების პირობების შინაარსი. როგორც ზემოთაც აღინიშნა, ევროკომისიის პრაქტიკაზე დაყრდნობით, ექსკლუზიური გარიგების კონკურენციის სამართლის დარღვევად მიჩნევასთან დაკავშირებით ორი ერთმანეთისგან განსხვავებული მიდგომა არსებობს:

1. **ექსკლუზიური გარიგება კონკურენციის თავისთავად (per se) დარღვევას წარმოადგენს და მისი კონკურენციის შემზღუდველი ეფექტის შეფასება აღარ არის საჭირო** - აღნიშნული მიდგომა მოცემული დავის ფარგლებში ვერ იქნება გაზიარებული სააგენტოს მიერ, რადგანაც ექსკლუზიური გარიგების არსებობა საქმეში მოცემული მტკიცებულებების საფუძველზე არ დგინდება. შესაბამისად, ლოგიკურად გამორიცხულია ჰიპოთეტური გარიგების კონკურენციის შემზღუდველ ეფექტზე მსჯელობა.

2. **ექსკლუზიური გარიგების დადებას დომინანტი ეკონომიკური აგენტის მხრიდან შეიძლება ობიექტური გამართლება ჰქონდეს ან აღნიშნულმა ქმედებამ გამოიწვიოს ეკონომიკური ეფექტიანობის ზრდა** - მოცემული მიდგომის გათვალისწინებითაც, განუსაზღვრელი სახელშეკრულებო პირობების ობიექტურ გამართლებაზე ან ეკონომიკურ ეფექტიანობაზე მსჯელობა გამორიცხულია.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტოს შეფასებით, როგორც ქ. მარნეულთან, ასევე ქ. გარდაბანთან მიმართებით არ დგინდება ფაქტობრივი მოცემულობა - შპს ,,ჯეო ჰოსპიტალსს“ და სს ,,გლობალ ბენეფიტს ჯორჯიას“ შორის ექსკლუზიური გარიგების არსებობა, როგორც პროვაიდერული, ასევე ოჯახის ექიმის (მათ შორის, შაბათი დღის) მომსახურების მხრივ.

გარდა ზემოთ ხსენებულისა, მომჩივანმა სააგენტოში წარმოადგინა პოზიცია (რეგ: № 01/958; თარიღი: 25.05.2022), სადაც აღნიშნულია, რომ შპს ,,ჯეო ჰოსპიტალსის“ (სავარაუდოდ მომჩივანი უთითებს 02/12/2020 წერილზე) წერილთან დაკავშირებით სააგენტო არანაირ შეფასებას არ აკეთებს. სააგენტო განმარტავს, რომ ამ წერილის შინაარსის ცალკე შეფასების საჭიროება არ დგას და კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღნიშნავს: 1. ქ. მარნეულის შესაბამის ბაზარზე შპს ,,ჯეო ჰოსპიტალსს“ არ უკავია დომინანტური მდგომარეობა. აქედან გამომდინარე, ამ ნაწილში გამორიცხულია მისი მხრიდან დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენება. 2. ქ. გარდაბანის შესაბამის ბაზარზე შპს ,,ჯეო ჰოსპიტალსს“ მართალია უკავია დომინანტური მდგომარეობა, თუმცა საქმეში არსებული მასალებითა და მომჩივანის მხრიდან წარმოდგენილი მტკიცებულებებით, არ დგინდება რაიმე სახის ექსკლუზიური გარიგების არსებობის ფაქტი მოპასუხეთა შორის. უფრო მეტიც, სააგენტოში მოპასუხეთა წარმომადგენლებთან გამართულ ახსნა-განმარტებით სხდომებზე არ გამოკვეთილა რაიმე სახის გარემოება, რომელზე დაყრდნობითაც სააგენტოს შემდგომი ეჭვი გაუჩნდებოდა შესაძლო ექსკლუზიური გარიგების არსებობის თაობაზე (სამედიცინო მომსახურების ნებისმიერ დონეზე), მით უფრო დადგინდა, რომ მოკვლევის პერიოდში სს ,,ირაოს“ ბენეფიციარებიც სარგებლობდნენ ოჯახის ექიმის მომსახურებით შაბათ დღეს, რაც დამატებით გამორიცხავს მოპასუხეთა შორის ექსკლუზიური გარიგების არსებობის ფაქტს.

სააგენტო მიუთითებს, რომ ზემოთ ხსენებულ წერილთან დაკავშირებით მის მიერ შპს ,,ჯეო ჰოსპიტალსთან“ დაზუსტდა ცალკეული დეტალები (გასული წერილი - რეგ: № 02/163;

თარიღი: 09.03.2022; შემოსული წერილი - რეგ: № 01/494; თარიღი: 17.03.2022), რის შემდეგაც, საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე რომელიმე დამატებითი ფაქტობრივი გარემოების დადგენის საჭიროება აღარ არსებობს. სააგენტო კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ მომჩივანის მხრიდან მთელი მოკვლევის პერიოდის განმავლობაში წარმოდგენილი არ იყო საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე რაიმე სახის დამატებითი მტკიცებულება/მტკიცებულებები, გარდა იმისა, რაც წარმოდგენილია საჩივრის დასაშვებობის ეტაპზე და რომლითაც აღნიშნული ეტაპისთვის გათვალისწინებული გონივრული ეჭვის სტანდარტი დაკმაყოფილდა, ხოლო მტკიცების ტვირთი მოცემულ შემთხვევაში ერთმნიშვნელოვნად მომჩივანს ეკისრება.

გარდა მომჩივანის მიერ წარმოდგენილი, ზემოთ განხილული წერილობითი პოზიციისა, სააგენტო აგრეთვე ყურადღებას ამახვილებს მოკვლევის მხარეებთან 2022 წლის 20 ივნისს გამართულ შემაჯამებელ სხდომაზე მომჩივანის წარმომადგენლების მიერ გამოთქმულ მოსაზრებებთან დაკავშირებით.[79] კერძოდ, შემაჯამებელ სხდომაზე მომჩივანის წარმომადგენლები შესაძლო ექსკლუზიური შეთანხმების ნაწილში, აპელირებდნენ სს ,,გლობალ ბენეფიტს ჯორჯიას“ 2020 წლის 17 დეკემბრის სატენდერო საჩივარზე, რომელიც შეეხებოდა ტენდერს შესყიდვის ნომრით: SPA200002568.

უპირველეს ყოვლისა, სააგენტო აღნიშნავს, რომ მითითებული საჩივარი თანდართულ მტკიცებულებებთან ერთად მოკვლევის ფარგლებშიც იყო მოძიებული და სააგენტო გაეცნო მათ შინაარსს, რაც დგინდება წინამდებარე გადაწყვეტილების მე-4 გვერდიდანაც, ხოლო გადაწყვეტილების პროექტი მომჩივანს წერილობით გაეგზავნა და ჩაბარდა.[80] შესაბამისად, აღნიშნული ფაქტი არ წარმოადგენს ახლად აღმოჩენილ გარემოებას. გარდა აღნიშნულისა, მომჩივანის წარმომადგენლები აპელირებდნენ იმ გარემოებაზე, რომ სახელმწიფო შესყიდვების დავების განხილვის საბჭოს მიერ აღნიშნული საჩივრის განხილვის პროცესში განვითარებული მოვლენების გამო, სააგენტოს დამატებით უნდა გამოეკვლია (ან სულაც დაედგინა) ექსკლუზიური შეთანხმების არსებობა მოპასუხეებს შორის.

თავდაპირველად სააგენტო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მის უფლებამოსილებას არ განეკუთვნება მხარეთა ქმედებების შეფასება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონმდებლობის შესაბამისად, თუმცა ის აუცილებლად მიუთითებს იმ ფაქტობრივ გარემოებებზე, რომ წინამდებარე გადაწყვეტილებით დადგენილია ორი სხვადასხვა გეოგრაფიული საზღვრის მქონე შესაბამისი ბაზარი - ქ. მარნეული და ქ. გარდაბანი. ამავე გადაწყვეტილებით დადგენილია, რომ ქ. მარნეულში ამბულატორიული მომსახურების ბაზარზე 2020 წელს შპს ,,ჯეო ჰოსპიტალსს“ არ ეკავა დომინანტური მდგომარეობა. შესაბამისად, სააგენტო კიდევ ერთხელ განმარტავს, რომ როდესაც ეკონომიკურ აგენტს არ გააჩნია დომინანტური მდგომარეობა შესაბამის ბაზარზე, მისი ბოროტად გამოყენების საკითხის შეფასება ვერ განხორციელდება.

---

[79] შემაჯამებელი სხდომის ოქმი, თარიღი: 20.06.2022; მოხსენებითი ბარათი N 03/120, თარიღი: 21.06.2022.
[80] სააგენტოს წერილი (რეგ: № 02/328; თარიღი: 19.04.2022).

რაც შეეხება ქ. გარდაბნის ნაწილს - სააგენტო დამატებით განმარტავს იმ წინაპირობების კუმულატიურად არსებობის საჭიროებას, რომლის შემთხვევაშიც ექსკლუზიური გარიგების დადება ჩაითვლება ,,კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მეორე პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის დარღვევად. კერძოდ: 1. ეკონომიკურ აგენტს შესაბამის ბაზარზე უნდა ეკავოს დომინანტური მდგომარეობა; 2. დომინანტ ეკონომიკურ აგენტსა და ქვედა დონის ბაზრის სუბიექტს შორის უნდა შეთანხმდეს ექსკლუზიური გარიგება, ზეპირი ან წერილობითი ფორმით; 3. აღნიშნული შეთანხმება არსებითად უნდა ზღუდავდეს კონკურენციას ქვედა დონის ბაზარზე; 4. დომინანტ ეკონომიკურ აგენტს არ უნდა გააჩნდეს რაიმე სახის ობიექტურად გამამართლებელი გარემოება, რომლის დასაბუთების შემთხვევაშიც ეკონომიკური სარგებლიანობის ეფექტი გადაწონის კონკურენციის შემზღუდველ ეფექტს.

მოცემული დავის ფარგლებში, ზემოთ ხსენებული წინაპირობებიდან დგინდება მხოლოდ ერთი გარემოების არსებობა - შპს ,,ჯეო ჰოსპიტალსს“ უკავია დომინანტური მდგომარეობა ქ. გარდაბანში, ამბულატორიული მომსახურების ბაზარზე. რაც შეეხება მოპასუხეთა შორის შესაძლო ექსკლუზიური გარიგების არსებობის ფაქტს - აღნიშნული გარემოება არ დგინდება არც სააგენტოს მიერ მოკვლევის განმავლობაში მოპოვებული რომელიმე მტკიცებულებით და არც მომჩივანის მიერ სააგენტოში წარმოდგენილი მტკიცებულებებით. აღნიშნულის გათვალისწინებით, მომჩივანის წარმომადგენლები შემაჯამებელ სხდომაზე შეეცადნენ დაესაბუთებინათ ექსკლუზიური გარიგების არსებობა სხვადასხვა არგუმენტაციით. კერძოდ, მომჩივანის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მოპასუხეთა შორის ექსკლუზიური ხელშეკრულება იყო გაფორმებული, თუმცა სააგენტოს თანამშრომლის შეკითხვაზე, რომ მას დაეკონკრეტებინა და იდენტიფიცირება მოეხდინა, თუ რომელ ხელშეკრულებაზე საუბრობდა, მომჩივანის წარმომადგენელმა აღნიშნული გარემოება ვერ დაადასტურა და შემდგომ გაიზიარა სააგენტოს თანამშრომლის მითითება იმის თაობაზე, რომ შპს ,,ჯეო ჰოსპიტალსის“ 02/12/2020 წერილი სხდომის მონაწილეებისათვის ცნობილი ერთადერთი საბუთი იყო, სადაც ნახსენები იყო ტერმინი ,,ექსკლუზივი“. ამის შემდგომ მომჩივანი შეეცადა იგივე გარემოება დაესაბუთებინა სს ,,გლობალ ბენეფიტს ჯორჯიას“ ზემოთ ხსენებულ საჩივარზე მითითებით, თუმცა, სააგენტოს შეფასებით, ამ შემთხვევაში, არსებითია შემდეგი გარემოებები:

1. სს ,,გლობალ ბენეფიტს ჯორჯიას“ არგუმენტი, რომელიც სატენდერო საჩივარშია წარმოდგენილი, ემყარება არა რაიმე სახის ექსკლუზიური შეთანხმების არსებობას მასსა და შპს ,,ჯეო ჰოსპიტალსს“ შორის, არამედ შპს ,,ჯეო ჰოსპიტალსის“ წერილობით პასუხს სს ,,გლობალ ბენეფიტს ჯორჯიას“ მიერ დასმულ წერილობით შეკითხვაზე, საიდანაც დგინდება, რომ მოპასუხეებს შორის მართლაც მიმდინარეობდა 2020 წლის სექტემბრიდან მოლაპარაკებები ექსკლუზიური პირობების შეთანხმებასთან დაკავშირებით (რაც იმასაც ადასტურებს, რომ 2020 წლის ბოლომდე მხარეთა შორის ექსკლუზიური შეთანხმება არ არსებობდა) და იმავე წლის ბოლოს შპს ,,ჯეო ჰოსპიტალსი“ მართლაც აპირებდა 2021 წლიდან ექსკლუზიური შეთანხმების გაფორმებას სს ,,გლობალ ბენეფიტს ჯორჯიასთან“ - ამ ნაწილში კი ექსკლუზიური შეთანხმების დამადასტურებელი რაიმე სახის

მტკიცებულება საქმის მასალებით არ დასტურდება. შესაბამისად, უშუალოდ ექსკლუზიური შეთანხმების არსებობის ფაქტი მოპასუხეთა შორის, მოცემული წერილისა და საჩივრის შინაარსით არ დგინდება. გარდა აღნიშნულისა, გასათვალისწინებელია ის გარემოებებიც, რომ ხსენებულ შემთხვევაში გასაჩივრების ვადა იყო გასული, რის გამოც სს ,,გლობალ ბენეფიტს ჯორჯიას" საჩივარი არ იქნა დაკმაყოფილებული, მით უფრო რომ აღნიშნული გადაწყვეტილება სს ,,გლობალ ბენეფიტს ჯორჯიას" მიერ სასამართლოში არ იქნა გასაჩივრებული.

2. სააგენტო დამატებით აღნიშნავს, რომ მოკვლევის პერიოდთან მიმართებით (2020-2021 წლები) არ დგინდება რომელიმე სადაზღვევო კომპანიის მხრიდან შპს ,,ჯეო ჰოსპიტალსის" მიმართ როგორც ამბულატორიული, ასევე ოჯახის ექიმის (მათ შორის შაბათი დღის) მომსახურების დამატების თაობაზე ქ. გარდაბანში მიმართვის თუნდაც ერთი შემთხვევა. აქედან გამომდინარე, არ დგინდება არც შპს ,,ჯეო ჰოსპიტალსის" მხრიდან რომელიმე სადაზღვევო კომპანიის მიმართ ქ. გარდაბანში მომსახურების დამატებაზე უარის თქმის ფაქტი, რაც შესაძლოა ყოფილიყო მოპასუხეთა შორის ექსკლუზიური გარიგების არსებობის დამადასტურებელი ერთ-ერთი მტკიცებულება.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ქ. გარდაბნის ნაწილში შესაძლო ექსკლუზიური გარიგების არსებობასთან დაკავშირებით, მოცემულია შემდეგი ფაქტობრივი გარემოება:

1. 2020 წლის სექტემბრიდან შპს ,,ჯეო ჰოსპიტალსს" და სს ,,გლობალ ბენეფიტს ჯორჯიას" შორის მიმდინარეობდა მოლაპარაკებები ექსკლუზიური გარიგების პირობების შეთანხმების თაობაზე;

2. 2020 წლის დეკემბრის თვის მდგომარეობით, არსებობდა შპს ,,ჯეო ჰოსპიტალსის" მხრიდან დასტური იმასთან დაკავშირებით, რომ მოლაპარაკებების დასრულებისთანავე - 2021 წლის იანვრიდან მხარეთა შორის გაფორმდებოდა ექსკლუზიური შეთანხმება, რომელიც უნდა შეხებოდა ოჯახის ექიმის მომსახურებას შაბათ დღეს ქ. მარნეულსა და ქ. გარდაბანში;

3. 2021 წლიდან მოყოლებული დღემდე, როგორც სააგენტოს მიერ მოპოვებული, აგრეთვე მომჩივანის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით არ დგინდება ზეპირი ან წერილობითი ფორმით მოპასუხეთა შორის ექსკლუზიური შეთანხმების გაფორმების ფაქტი.

სააგენტო დამატებით, ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მოცემული საქმის მოკვლევის ფარგლებში განისაზღვრა ორდონიანი ბაზარი - ამბულატორიული მომსახურება (ზედა დონის) და კერძო სადაზღვევო კომპანიების ბენეფიციართა ოჯახის ექიმით მომსახურება (ქვედა დონის). მიუხედავად აღნიშნულისა, ქ. მარნეულის შემთხვევაში არ დადგინდა შპს ,,ჯეო ჰოსპიტალსის" დომინანტური მდგომარეობა (საბაზრო მოცემულობა), ხოლო ქ. გარდაბნის შემთხვევაში არ დადგინდა ფაქტობრივი მოცემულობა - მიწოდებაზე უარის ან/და ექსკლუზიური გარიგების დადების მხრივ. შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში, შეფასებას არ საჭიროებს მომჩივანის მიერ საჩივარში აღწერილი კანონის სავარაუდო

დარღვევის კონკურენტული ეფექტი, ქვედა დონის ბაზარზე კონკურენციის შესაძლო შეზღუდვის გათვალისწინებით. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტომ, მოცემული დავის მიზნებისათვის, მიზანშეწონილად არ მიიჩნია ქვედა დონის ბაზრის საზღვრების დადგენა და აღნიშნულ ბაზარზე მოქმედ სუბიექტთა საბაზრო პოზიციების იდენტიფიცირება.

V. სარეზოლუციო ნაწილი

,,კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის, მე-17[1] მუხლის მე-4 პუნქტის, მე-18 მუხლის პირველი პუნქტის ,,ზ“ ქვეპუნქტის, მე-18 მუხლის პირველი პუნქტის ,,ზ[2] “ ქვეპუნქტის, 25-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტების, ,,საქმის მოკვლევის წესის და პროცედურის დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 28 ოქტომბრის № 40 ბრძანებით დამტკიცებული საქმის მოკვლევის წესისა და პროცედურის მე-6 მუხლის პირველი და მეორე პუნქტების შესაბამისად, სააგენტომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. არ დადასტურდეს შპს ,,ჯეო ჰოსპიტალსის“ (ს/ნ 404907730) მხრიდან კონკურენციის შესახებ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის დარღვევის ფაქტი.
2. არ დადასტურდეს სს „რისკების მართვისა და სადაზღვევო კომპანია გლობალ ბენეფიტს ჯორჯიას“ (ს/ნ 404526777) მხრიდან კონკურენციის შესახებ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის დარღვევის ფაქტი.
3. ,,კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის ,,ზ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, შპს ,,ჯეო ჰოსპიტალსმა“ (ს/ნ 404907730) სს ,,საქართველოს სადაზღვევო ჯგუფის“ (ს/ნ 405206566) მიმართვის შემთხვევაში, განიხილოს ამ უკანასკნელისთვის შაბათ დღეს ოჯახის ექიმის მომსახურების მიწოდების საკითხი და შესაბამის კომერციულ პირობებზე შეთანხმების მიღწევის შემთხვევაში, თანაბარ და არადისკრიმინაციულ პირობებში, უზრუნველყოს შესაბამისი ხელშეკრულების დადება.
4. შპს ,,ჯეო ჰოსპიტალსს“ დაევალოს, სარეზოლუციო ნაწილის მე-3 პუნქტის შესაბამისად განხორციელებული ქმედების თაობაზე საქართველოს კონკურენციის ეროვნულ სააგენტოს მიაწოდოს ინფორმაცია შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში.
5. ,,კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის ,,ზ[2]“ ქვეპუნქტის საფუძველზე, საქართველოში მოქმედი ყველა სამედიცინო დაწესებულების (ამბულატორიული მომსახურების ნაწილში) მიმართ გაიცეს განსახილველად სავალდებულო რეკომენდაციები.

VI. რეკომენდაციები

1. საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტო, როგორც საქართველოში კონკურენციის პოლიტიკის განმახორციელებელი ორგანო, მიმდინარე მოკვლევის ფარგლებში, საქართველოს კონკურენციის კანონმდებლობის აღსრულების პროცესში მიზანშეწონილად მიიჩნევს ყურადღება გამახვილდეს შაბათ დღეს ოჯახის ექიმის მომსახურების მნიშვნელობაზე სახელმწიფო შესყიდვების სფეროში. კერძოდ, მოკვლევის ფარგლებში გამოიკვეთა გარემოება, რომლის მიხედვით, გარკვეულ ტენდერებში სადაზღვევო კომპანიებს მოეთხოვებათ ოჯახის ექიმის მომსახურების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა შაბათ დღეს სატენდერო პირობებით განსაზღვრულ კონკრეტულ ლოკაციებზე. აღნიშნულის გათვალისწინებით, სამედიცინო დაწესებულებების მხრიდან სადაზღვევო კომპანიების მიმართ ხსენებული მომსახურების ხელშეკრულებაში დამატებაზე უარის თქმის შემთხვევაში, აგრეთვე რომელიმე კონკრეტულ სადაზღვევო კომპანიასთან ექსკლუზიური წესით აღნიშნული მომსახურების შეთანხმებისას, სააგენტოს შეფასებით, წარმოიშვება რისკი იმისა, რომ ტენდერში მონაწილე პრეტენდენტმა (სადაზღვევო კომპანიამ) მონაწილეობა ვერ მიიღოს კონკრეტულ ტენდერში ან დისკვალიფიცირებულ იქნეს სატენდერო პირობის შეუსრულებლობის გამო. აქედან გამომდინარე, სააგენტოს პოზიციით, აუცილებელია, რომ განსახილველი მომსახურების მხარეთა შორის შეთანხმების პროცესში, ზემოთ ხსენებული გარემოება გაითვალისწინონ სამედიცინო დაწესებულებებმა (მათ შორის, შპს ,,ჯეო ჰოსპიტალსმა“) და მიწოდებაზე უარის შემთხვევაში, აგრეთვე ექსკლუზიური წესით მოცემული მომსახურების შეთანხმებისას, იმოქმედონ მხოლოდ ობიექტურად გამამართლებელ გარემოებებზე დაყრდნობით. წინააღმდეგ შემთხვევაში, ასეთმა პრაქტიკამ შესაძლოა განაპირობოს სადაზღვევო კომპანიების კონკურენტუნარიანობის გაუმართლებელი შეზღუდვა, ყოველგვარი კანონიერი საფუძვლის გარეშე. სააგენტო განმარტავს, რომ მოცემული რეკომენდაცია ასევე ვრცელდება საქართველოში მოქმედი ყველა სამედიცინო დაწესებულების მიმართ ამბულატორიული მომსახურების სფეროში, სრულად და შეუზღუდავად.

2. მოკვლევის ფარგლებში დამატებით გამოიკვეთა, რომ სს ,,გლობალ ბენეფიტს ჯორჯია“ შაბათ დღეს ოჯახის ექიმის მომსახურებით სარგებლობის სანაცვლოდ შპს ,,ჯეო ჰოსპიტალსს“ დამატებით საფასურს უხდის, თუმცა ანალოგიური მომსახურებით ფაქტობრივად სარგებლობენ სს ,,ირაოს“ ბენეფიციარებიც, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული სადაზღვევო კომპანია რაიმე სახის საფასურს ზემოთ ხსენებულ კლინიკას არ უხდის. აქედან გამომდინარე, სააგენტოს შეფასებით, წარმოიშვება რისკი იმისა, რომ სადაზღვევო კომპანიების მიმართ კლინიკა ახორციელებდეს არათანაბარ და დისკრიმინაციულ მოპყრობას. აღნიშნულის გათვალისწინებით, სააგენტოს პოზიციით, აუცილებელია, რომ სამედიცინო დაწესებულებებმა (მათ შორის, შპს ,,ჯეო ჰოსპიტალსმა“)

ყველა სადაზღვევო კომპანიასთან მიმართებით უზრუნველყონ თანაბარი პირობების შეთანხმება სახელშეკრულებო ურთიერთობის პროცესში, ხოლო ერთმანეთისგან განსხვავებული პირობების დადგენისას იმოქმედონ მხოლოდ ობიექტურად გამამართლებელ გარემოებებზე დაყრდნობით. წინააღმდეგ შემთხვევაში, ასეთმა პრაქტიკამ შესაძლოა განაპირობოს სადაზღვევო კომპანიების კონკურენტუნარიანობის გაუმართლებელი შეზღუდვა, ყოველგვარი კანონიერი საფუძვლის გარეშე.